

ზვად ქუანუ

განვიკვირებ

ქუთაისი, 2015

ავტორისაგან

ლექსების წერა გრძნობებმა დამაწყებინეს.

ათიოდე წლის წინ, რატომღაც მომინდა, სულის ანარეკლი ფურცლებზე გადამეთანა. ვერც კი ვავიგე, როგორ მოვედი ამ, რიგით მეოთხე კრებულამდე.

ხშირად მეკითხებიან, რაზე ვწერ. ვფიქრობ, ჩემი ლექსების თემა ხშირად აბსტრაქტული და უბოლოოა. ვწერ ემოციებზე, ლამეებზე, მართობაზე, სიყვარულსა და ლალატზე, ჩვენს ენა-მამულზე, ღმერთზე, ანგელოზებზე, ხეებზე, ფოთლებზე, მთებსა, ტყეებსა და გამოქვაბულებზე, იხადნარევ სიზმრებზე, სულის მარადიულობაზე, შიშებსა თუ სამომავლო ხილვებზე, რომლებსაც წარმოვიდგენ, ან მეწვევიან ხოლმე. არ მიყვარს ლექსი, სადაც ნათქვამია, რომ ცხოვრება მშვენიერია, რადგან ცხოვრება, მშვენიერი, უბრალოდ არ არის და ამის მტკიცება სხვა არაფერია, თუ არა აშკარა სიყალბე.

მე ვწერ ყველაფერზე.

ჩემი ლექსი, ხან, ვაღიარებ, სენტემენტალურია, ან პირიქით, ცინიზმითაა გაჟღენთილი, ან გაბრაზებულია ცხოვრებასავით; მე ხომ წმინდანი არ ვარ.

რედაქტორი

და კორექტორი: ზვიად მეფარე

მხატვარი: ქრისტინე რობაქიძე

ოპერატორები: ეთერ ქემხაძე, ნინო ქომეთიანი

ისეთი ენა მაქვს

04.10.2014.

ისეთი ენა მაქვს, ისეთი მინა მაქვს,
ისეთი ზეცა და მთები,
ისეთი წარსული, როცა მაგონდება,
მათი სიყვარულით ვკრთები.

ციხე-კოშკებიდან გუმბათი დამყურებს,
ფიქრობს უძველესი ციხე,
ისე მიზიარებს, რამდენი უნახავს,
რომ სულის ბორკილებს მიხევს.

მიდამო მანვდიდა ხვამლივით ხვავრიელ,
იდუმალ, საოცარ ფერებს
და ანგელოზები მაცხოვრის დალოცვილ
ფსალმუნებს ყოველდღე წერენ.

ისეთი სოფელი, ისეთი ქალაქი,
ძვალთაშესალაგი პაპის,
ისეთი მდინარე, გიჟი, მოცინარე,
ისეთი ქათქათა ქაფით,

ღია დარაბების მეშლება სურათი,
სუნთქვა წვიმისფერი მოდის,
კლდეთა ქარაფების ნაფიქრალ მოლოდინს
აკლდება სიმძიმე ლოდის.

ისეთი ქვეყანა, ისეთი ფესვები,
ისეთი სისხლსავსე სივრცე,
ისეთი ველები, რომ ველარ ველევი
და მინდა, სიცოცხლე მივცე!

ოთახში რუკას ეკედლება ჭრელი სამყარო,
ოთხივე კუთხეს ფარატინა ქალაღი იტევს,
მინდა, რომ სული მონოტონურ მინას გავყარო,
ვხედავ მთებს, ტბებს, ზღვებს, უდაბნოებს და პირამიდებს.

მოჩანს სიმდიდრე ოაზისის, გვერდით ხრიოკი,
ვცურავ მორევში, ან დავყურებ მთათა მწვერვალებს,
ოკეანეთა ქარიშხლები ავანიოკე,
ბნელ სასახლეთა დერეფნები ავაელვარე.

მადლიან მინას ორ ზღვას შორის, შვილად ვერგები,
გარშემო მოჩანს ცეცხლოვანი, ლალი ნალკოტი,
ჩანს ჩრდილოეთით ვერაგობა აისბერგების,
სამხრეთით მითრევს მისტიური ალიაქოთი.

4

მზერას იტაცებს ევერესტის ცაში თარეში,
თრთოდა წვიმების მარათონი მწვანე სავანის,
მფლობდა მუსიკა მირაჟებში, მოელვარეში
და ვარსკვლავებით ივსებოდა ზეცის თავანი.

ფარულის წვდომის უნარს ვფლობდი; ვიყავი ყოვლის
მნახველი, რადგან ბნელ ველებზე ვკრეფდი მომოზებს,
ვხედავდი, როგორ თამაშობდა სამუმის თოვლი
აბობოქრებულ იორდანეს სანაპიროზე!

ტვინში უკრავდნენ ორკესტრები, ტკბილი ნანინა,
მე მამუნჯებდა ჯადოსნური ჯანყი ჯაზ-ბენდის,
ნილოსის ორთქლი მეღვრებოდა ადრენალინად,
დაცემულ აქლემს ხელადიდან წყალს რომ ვასმევდი.

ვმოგ ზაურობდი თეთრ ლაქებში ველური მინის
და მაოგნებდნენ ბრინჯაოსფერ ქალთა ბავენი,
უერთდებოდა ჩემი ღრენა შემლილთა სიცილს,
რადგან სარკეში ორსახოვან თავს მივაგენი!

ვყვინთავდი ღველფში უძველესი პომპეის შიგნით,
მე პლებეების მეთაური გამხადა ბედმა,
მეჭირა ცისკრის ვადაშლილი ყვავილის ნიგნი
და როკაპების წინამძღოლთან მიწევდა შებმა!

ვეტმასნებოდი მეზოზოურ ერის ტრამალებს,
ცეცხლით ვმართავდი აკივლებულ მანქანებს დროის,
ძველმა ფურცლებმა გმირები რომ ვერ გადაამალეს,
ქუსლით ვეძებდი ჩასაფრებულ მებისრეს ტროის!

ვიყავ ხელმწიფე, მანანნალა, მდიდარი, გლეხი,
ვაჭარი, მუშა, ხელოსანი, ლორდი, ყაჩალი,
ყოველ უჯრედში ჯირითობდა ჯიუტი მეხი
და სამომავლო პოეზიაც მე გავაჩაღე!

ჰეფესტოს ცეცხლი მე მოვპარე, პრომეთე ვიყავ,
ღმერთს ცაში შებმა დავუპირე, დამედგა მაგრამ
კლდეს მიჯაჭვული ამირანის ეკლების ჯილა,
როცა კაცთათვის უცხო ძალა მეჭირა მაგრად!

მგრძნობდა მედეა აიაში, იფში – ფარია,
კოლიზეუმში ბორკილებით ლომებს ველოდი,
იმ გონებაში, სადაც მძიმე ოქროს ზარია,
მე ტაეპებით ავაშენე სხვა კამელოტი!

თევზის მუცელში მოფართხალებს მერქვა იონა,
ყრუ მსოფლიოსთვის ვაჟღერებდი მთვარის სონატებს,
მაშინ ჰადესის სამფლობელოც მეალიონა,
რომ ვუძღვებოდი კოლხეთისკენ ბრგე არგონავტებს!

მუდამ უცნობი სამყაროსკენ მივყავდი გემებს,
ვერ მაშინებდა დამპყრობელთა წითელი რკინა,
ძველ კასრში მცხოვრებს მიწოდებდნენ ბრძენ დიოგენეს,
ვიყავი ზევსი, ოლიმპოზე დამედო ბინა!

თუ ჩემს ოთახში სამყაროთა კარიბჭეს ვხედავ,
ველებს სიმწვანე, ოკეანეს სილურჯე ხატავს,
რისთვის მიშვილე აუხსნელო სიზმრების დედავ,
როცა ვასკდები მატერიის მინიერ ტატამს?

ხაფი ხმაური ხრიალებდა ჩემს ტვინში მაშინ,
ყველა ხორციელს მიეხატა სახეზე ჩონჩხი,
ვიძირებოდი მდინარეში, ცივში და ღრმაში,
სარკმლების მიღმა უმკაცრესი ხაოდა კონცხი.

უცებ ავმალლდი ღრუბლებამდე, როგორც ტიბეტი,
ზიზლით ვუმზერდი უსასრულო მსოფლიო-ჭაობს,
ზეცას ვწვდებოდი გაქონილი ძვლების კიბეთი,
კიბეთი, მინის ხერხემალთან რომელიც დაობს.

გარშემო ხალხი მახვევია, მაგრამ გავედი
გვერდზე და ვეძებ ადამიანს საკუთარ მეში,
ვარ დატვირთული სხვა ხილვით და სხვა სიბრმავეთი
და თავზე ბასრი ნაპერწკლების მატყდება თქეში!

6

ტალღად მომდევნა ნიაღვარი, სისხლით უძღები,
წვიმდა და წვიმდა, მზე გაშავდა, მთვარე კიოდა,
მე მხრავს ხრიალი საკუთარი და ვისუსხები
ეკლის გვირგვინით და ცეცხლი მხრავს საიქიოდან!

ვეომებოდი ჩემს ორეულს მთელი ცხოვრება
და სიბნელეში დავეძებდი პერსონაჟს ზღაპრის,
მე მხოლოდ ჩემი ანარეკლი მემათხოვრება
შენდობის მაღლს და დანას ვუქნევ ცხოვრების აპრილს.

დაბლა ჩამგრაგნა ბოროტების ბილწმა ნაჯახმა
ვარ უხილავი და ხილული წარსულში ვჩანდი,
ვგავარ უდაბნოს, გამომაშრო ცრემლმა და ჩახმა
თვალეებში, რადგან სიყვარულიც გამხდარა ლანდი...

მსტუმრობდა ძილში გადავარდნილს ვარდი ორსახა,
სისხლს მიყინავდა შუალამის ჩხავილი ყვავის,
ჩემთან ახლოა დალუპვა და შენ კი შორსა ხარ
ჩემო ოცნებავ... ბაღში შავი ყვავილი ყვავის!

ყველა სულიერს შეელება სიფათი შავად,
მაშინ სხეულში ხროტინებდა ხმაური თეთრი,
ახლა მწვერვალზე ავა ხორცი და სული ჩავა
მინაში, სადაც კვლავ ტიტვლდება დემონი მდედრი.

ცაში აწვდილი მანვიმს გრნობა, ისე მალლა ვარ,
მსოფლიო-ჭაობს უსასრულო დავცქერი ზიზლით,
თუნდაც დევნილი, მე სიყვარულს მაინც ვახლავარ
და მასზე დავწერ, თუ გათავდა მელანი, სისხლით!

ნითელ დარბაზში

19.11.2014.

ნითელ დარბაზში ქალის სუნთქვამ როცა აზიდა
ბასრი მუსიკა, აღრენილი კონტრაბასიდან,

7

მივხვდი, ისეთი რამ ვიგრძენი, რაც არასოდეს
მეგრძნო; მონყენას თითქოს კარი გადარაზოდეს.

ქვაზე მცხოვრები ძონძებს თითქოს გულში ვიკრავდი,
მღუმარებიდან მუსიკაში ვარ ემიგრანტი.

მუსიკავ, მძაფრი ფოთოლცვენის! ო, ჩემო დაო,
ღმერთს ეთანხმები და ბოროტთან ყოველთვის დაობ,

ის ხარ, რომელიც უკვდავების სხეულით იშვა
და ვინც ვერასდროს დაამარცხა დუმილის შიშმა.

ხანდახან გვერდით თითქოს მესმის ქოფაკის ყეფა:
ლაუზინყარი კომმარები ისევ იწყება...

გაჟღენთილია სული ჩემი სიტყვების გესლით!
ღე, მეშადრევნეთ, არ მალელვებს, მეტს ველარ შემშლით:

უკვე ბოლომდე შეშლილი ვარ, რადგან ქაოსებს
ვისვრი და ქვეყნად ვერაფერი ველარ მაოცებს.

ქარი ხარხარებს ბნელ სარდაფში. ყინულის ნკრიალს როგორც ორკესტრებს ბრმა თევზები, უსმენენ ისე, ჭინკები ტანჯვით მოპოვებულს უფსკრულში ყრიან, კატის თვალეში გულგრილობა მეფობდა ისევ.

ჩემს ზურგზე ისევ ეკლიანმა იხტუნა ჯოხმა, ვილაც მაჩეჩებს შელოცვებით სულში დათესილ კოცონს და ამ დროს ალაგლავდა ჰადესის ბოლმა და სერობიდან მეტალების სიქათქათეში

ვილაც უცნაურსახიანი ადგება ახლა...

მამალი ყივის და კარს ამტვრევს პილატეს კეტი!...
უდარდელ შუბლზე, ვიცი, მელის იმ სიტყვის დახლა,
ჯვარცმის ტკვილზე ვერიქნება რომელიც მეტი.

8

ოთახის ცენტრში თოვლზე ვწერდი დუმილის დუმილს, მეკარე ნვალობს, ჩემთვის ბალის ჭიშკარს ვერაღებს, სურათზე ბრაზით ბუტბუტებდა ჩუმი ქურუმი, ჩემს გზაზე კვალი ებნეოდათ მავან ვერაგებს.

ხმას ვერვილებდი და ვიტანდი ზურგზე მორიელს, ერთმანეთს მედა მარტოობა ვხსნიდით უესტებით...
დღემდე არ ვიცი, რატომ ვეტრფი ეიფორიებს და ღრუბლის ღრუში ღრენით რატომ ვინტერესდები.

სტალაქტიტები

22.09.2014.

ტკაცანი ძვლების. სტალაქტიტებს ემტვრევით ტანი, დღევანდელი დღეც გვერდით წერილს ჩქარა მოიღებს, ფობია ჯიჯგნის ქუსლებიდან ტვინში ატანილ კივილს და უსმენს თვალგახელილ პარანოიდებს.

თვალეებზე შავად მეფარება ქარის ქოჩორი,
ზრდის მთვარე ჭიდან ამოსული ჩრდილის ხარისხებს,
ვარ ისე მშვიდად, რომ ყურს ვუგდებ ჭრაქის მოჭორილ
ზლაპარს და ვიცი, ვერაფერი ვერ გამარისხებს.

მე მკვეთენ ფეხებს და მოკლეა ჩემი საბანიც!
ჩემი სტუმრობა მოშვიდებათ ბრმათა ბანაკებს:
მე ვხედავ, ქრისტე თავის ხელით ფეხებდაბანილ
და ჯვარზე გაკრულ მოციქულთა სულებს განაგებს.

სააქაოს მემორიალი

15.09.2014.

კვლავ შემანუხა დაგდებულმა მინაზე ბეჭმა,
სულს ვეჭიდები უსხეულოს, ბნელი ბრიალებს.
ისევ მღუმარე ჩემი თავის მომინევს შეჭმა,
თვალს თვალში ვუყრი სააქაოს მემორიალებს.

მეხვევა ცეცხლი, გაულებლად ვყვიროდი პირის:
„ერთ ყრუ ადგილას გაიკეთეთ თქვენი ტახტები!“
გავწყვიტე ბოროტ სამყაროსთან კავშირი ხშირი
და მოღრიალე სამარეში თავით ჩავხტები!

ძალიან მინდა, იმ უპოვარს ვგავდე, რომელსაც
თეთრი ლითონის არ აღელვებს ძველი ფანდები...
მე აჩრდილების მხიარული ღრენა მომესმა,
მე გალაქტიკის ილუზიის ფსკერზე ვბრძანდები!

ჩემს ანარეკლთან შუბოსანი ვდგავარ ფიგურა,
სარკის მინები მესობიან და ვიშხამები,
ეს იყო ადრე: პოეზიის სუნთქვამ მიყურა
და ახარხარდნენ სულში ლექსის ქარიშხალები.

მე რომ შემედლოს, ნავიდოდი, სადაც ნავიდა ჩემამდე ყველა, სიგიჟემდე ვისაც უყვარდა, (მთის სალოცავი მოჩანს ბარის სალოცავიდან, მე კი მცხივა და უგუნური, ვთბები ბუხართან)

მე რომ შემედლოს, ჩავტყორცნიდი დაბლა ქაოსებს, მაგრამ არ მინდა, ყოვლისშემძლე ვიყო, უბრალოდ სააქაოში ხორცზე ზრუნვა ველარ მოაცებს, ქვის და რკინისგან ნაგებ სხეულს აღარ ვუგალობ.

შემედლოს, ნეტავ, ავაჟღერო წვიმის გამები და აქეთ-იქით შავი ღრუბლის ვყარო ბელტები, ადამიანად ყოფნის ქსელში რადგან გავები და ალიონის ბურუსივით ავზესკნელდები.

დალლილის ვედრება

16.11.2014.

დალლილს მომეცი მოსვენება, მძინარს – სიმშვიდე, ძლიერს მომეცი ხის ჩაქუჩი, სახედარს – ხურმა, საკუთარ გულში დანის ჩარტყმას მუდამ მიშლიდე, ბნელი გონება გამინათოს არსობის პურმა.

მკერდში სიცოცხლედ მეჩანჩქერე, ისევ დაბლიდან წამომაყენე, მომღერალი ჩემი დაცემის, შემინდე ცოდვა, ეს სული რომ წვრილად დაფლითა, არ გამიმეტო ქარიშხლების ფრთებით ნაცემი...

არ გთხოვ ბედ-იღბალს, არც სიმდიდრეს, მხოლოდ მწაღია, მუდამ მახსოვდეს ჩემი მტერი, ტაძარი როგორც, მუდამ იყავი მაცხოვარო ჩემი გაღია და მამზერინე სასუფევლის გაუშლელ კოკორს.

ყვავი წყვდიადთან უსიცილო ფერებს ახამებს,
მთვარეულივით ტყეში დავძრნი ნაშუალამევს.

რომ არა მთვარე, აქ რა მინდა ასეთ დროს აბა?
ავად შრიალებს შავი ჭალის მუქმწვანე კაბა.

ვიცი: სხვა მინამ მომაკუთვნა პირქუშს ეს როლი,
მე არსად არ ვარ, ვუცქერ ცისკენ ხელებშესროლილ,

დაჩოქილ აჩრდილს და ტუჩები ქარიშხლებს ხვრებენ
და მოქვითინე სტიქსი ისვრის ლორწოვან შხეფებს...

შევიძენ ნეტავ ლაპარაკის როდის ჩვევას მე,
ან ღმერთის სიტყვას საკუთარ თავს როდის შევასმენ?...
11

მუდამ ლამეა! კუშტად დგანან შავი ბალები,
მარადი ხსოვნის ცეცხლით ვთვრები და ვიდალები,

ვიდრე დაბორკილ ჩემს ცხოვრებას ნახავენ დღისით
და გაუმქრალი განთიადის გავხდები ღირსი.

დღეს ხომ სიყალბე ფარისევლურ სახეებს ნიღბავს,
მგონი, კაცებიც ნითელ წიგნში შედიან ლამის,
იქ დაეძებენ უგუნურნი დაკარგულ იღბალს,
სადაც ეშმაკმა ჩაფლა იგი, წუთებში ლამის.

ნეტავ, რას ხედავს ღრმა წყვდიადში, თვალებს რომ ახელს?!...
ფურთხი მათ! კუპრის ტბის ბილიკზე მწარე რიგია
ხალხის, რომელსაც უფარავენ შენიღბულ სახეს
ღირსი მამები, წმინდანები და რელიგია.

ცრუ დემონებმა ჯურღმულისკენ კუდიით დამქაჩეს, ნანგრევში ყეფა აეტეხათ ვამპირ ლამურებს. მუდამ გაეურბი აღრენილი ძაღლის დამქაშებს, სისხლიან ხორხში ხერხის ხვრინვა ისალამურებს.

ქვა-ლორღზე ვლოღავ ღრმა მღვიმეში, ღრენდა ფულურო თავდავინყების ჭრელ მორევში, სადაც პილატეს უთრთის ნიკაპი და თვალეებში მინდა, ვუყურო, ფართო გზა ნითელ ზღვას რომ გაყოფს და მინილადებს.

მკერდდაკორტნილი ამირანიც უქშევდა არწივს და ბოლო ხმაზე შებლაოდა ღმერთის განაჩენს: „ღმერთო, გამიშვი! აქ, მწვერვალზე, ხან თოვს და ხან ნვიმს, ღმერთო, გამიშვი და გინოდებ შემდეგ მამაჩემს!“

12

მე განვიცდიდი იმ ტკივილებს, არასდროს რომ არ არსებობდნენ და ვერასოდეს ვიტანდი მაინც, განდევილივით საუკუნე მინევდა დგომა და ვთამაშობდი ლატაკს, მეფეს, ყაჩაღს და რაინდს.

ნეტავ, შემეძლოს, იქ აღმოვჩნდე, სადაც გისოსებს სუნთქვა ბეზრდებათ და იმსხვრევა ბოქლომი ყველა, იქ ღამის ფუნჯი გომბეშოებს ამუსიკოსებს და შავ ჰორიზონტს გადააქცევს უმშვიდეს გველად.

ალარ მალეღვებს, იხმაუროს სისხლის აუზმა, ტვინში აგავაგარჭობილმა იკვილოს კლდემაც, ხალხის გაგებას ხალხმაც მწარე ენა აუსვა და უდაბნოთა წყაროსავით დაიკლებს კლდემაც.

ველოდი დილას, მოვიდოდა შუქი როდესაც და მომირჩენდა ძველ ჭრილობებს სუსტი სხეულის, ცაში ისვრიან ქვებთან ერთად მაგრამ ლოდებსაც და ხალხის ნება დაბლა ფორთხავს ტვინდანთხეული.

ახლა ის დროა (ჭირთამთმენი რადგან არ ავებს)
რომ მოვითმინოთ, დაცემულებს როდესაც ყვლეფენ
მუხლებს ქვა-ლორლი... მივანვდინოთ მზე სხვა ქალაქებს,
რადგან ჩვენს ქალაქს უგუნური განაგებს მეფე.

ეს სხვა ძილია, აქ ცხოვრების ნაკუნებს ვზიდავთ,
ფრთხილად! არ ვიცით გაცხარება მუდამ ცხვარული!...
ღმერთო, არასდროს აგვაცდინო მაცხოვრის გზიდან,
რომ ველარასდროს მოერიოთ თვალებს სხვა რული...

მე ვარ უსახო, უსახელო, ვისი არსებაც
მსგავსია მათი, ვინც იზრდება ბოლომდე ჩრდილში,
ჩემი არსება კიდევ ერთხელ დაითარსება:
როდესაც ხალხის დავინყების ნამილებს შიში.

გველის ხარისხი

02.08.2014.

ჩვენ ეკლიანი ბილიკების გვინევეს გაგნება,
თუ ომში მეფე დაბლა გდია და იგრაგნება.

კვლავ ისტორიის შეცდომების ქსელში გავებით,
რადგან აფთრებმა კვლავ მოირგეს კრავთა ტყავები.

შურისგების და ძმათა ხოცვის ნიოდა ჟამი,
შავი ზეციდან თითის სიმსხოდ წვეთავდა შხამი.

დრო მოვა, მუხლებს გადაგვიყვლევს მძიმე ზარის ხმა,
ჭაობის ფსკერზე ჩავვითრია გველის ხარისხმა

და თუ იქ დავრჩით, ბელზებელთან მოგვინევეს შებმა,
თორემ ჩავგნინხლეს ნაქცეულნი უღმერთო მტრებმა...

დროა, ნამოვდგეთ მძიმე შტორმში, ვიდრე აგვიტანს
კანკალის ფრენა და კიდობნის მოვკლავთ კაპიტანს.

პირი სპირიტებს აჯირითებს თავისში, რადგან
ვილაც შემლილმა მაგიური სპექტაკლი დადგა.

იქ ისე ბნელა და სველია კედლები ისე,
მითხოვენ სარკის გუბებში, მღვრიე და მქისე...

სარკის სიღრმიდან ანარეკლი ხტება უსახო,
რომ საკუთარი ილუზია დავატუსალო.

საათს დაამსხვრევს, რომ წამოდგეს, დროის ლაზარე,
(ჩემს მტრედებს სველი წერილები ვერ შევაზარე...)

ზეციდან თოვლი გადაათოვს ხვეულ პარიკებს,
სულის სიკვდილთან ვერაფერი ვერ შემარიგებს!

14

ვერ შემარიგებს, რადგან ვირგებ სახეებს თამამ,
ჩემთან სტუმრობა გადანყვიტა სიცივის მამამ

და ქვამარილით გავაჩაღებ სმას და ჰარალეს,
რალაც ქალღმირი და მეტალი ვერ მაზარალებს!

ყველამ ლირივით მიმატოვეთ! აწყვეტილი სმა
მინდება მხოლოდ და იბრწყინებს მკერდზე თილისმა,

უჭორიზონტო სივრცეს ვეძებ, ვიპოვო იქნებ,
მე ვემტერები რეალობის უბილწეს ჯიქნებს,

ჩემი ცხოვრება (უსახური!) რატომ არ აგებს
პასუხს, როდესაც გველთა მოდგმა ყველა არაკებს?!...

ვიყო, განგებაში ვინც დამზადა, ჯობია უფრო:
სხვა ზმანებების ჩემს ნიაღში მხოლოდ მე ვსუფრობ.

ვისაც არ ესმის ჩონგურის ხმა, ველარც გაიგებს,
ჩრდილოეთისკენ თუ შეხარის ბალაღაიკებს

და თუ შიგ გულში უქრისტეო გვიკბინა ბზიკმა,
შუბლზე, ხელებზე და ფეხებზე დაგვანდა სტიგმა,

გვსურდა, გაგვევსო ოქრო-ვერცხლით ღამის ქოთანი
– მუდამ გვაკლდება ნაღდი ხალხი, დარჩენ ცოტანი...

აღარაფერი აღარ არის წესი და დოგმა,
ასე ნაგველეკა დემონების ურიცხვმა ჯოგმა,

აღბათ, ამაყი მამა-პაპა საფლავში გოდებს,
ჩვენ ვცეკვავთ, როცა უცხო ტომი გვიკითხავს ნოტებს!...

ემშაკის ცოლის მეანობას რადგან ვაბარებთ,
ჩირქის ჩანჩქერის ჩაიხუვლებს სულში კაბარე,

სისხლისგან მინა ინრიტება, ღრიალებს იქ ცა,
ის, რაც ყიოდა ჩვენს ძარღვებში, ტალახად იქცა

და როცა ყველგან და ყოველთვის, ფული გვაბოდებს,
სული ლოდივით ჩაასკდება ტბის კალაპოტებს.

შორს ქალაქიდან

20.08.2014.

მე ახლა ჩემი ქალაქიდან ნასვლა შორს მინდა,
რადგან ქუჩები დიდხანს დუმან უბარაქონი,
მინდა, რომ ვნახო თეთრი მთები და ნიკორწმინდა,
ვნახო შაორი, მრავალძალი, თუ ბარაკონი.

რომ იფრიალონ თეთრი ნისლის ღრუბლებმა ცაში
და თავზე მედგას მოოქროვილ გვირგვინად ღრმა მზე,
რადგან ყოველთვის ბედნიერი ვიქნები მაშინ,
მთაში რომ ავალ და ვიცეკვებ სიკვდილის გვამზე!

რალაც გამოჩნდა გაფრენილი ზმანების მიღმა,
სადლაც მღვიმეში დამიტოვა ოცნების ჩიხმა.

მამუნჯებს, რასაც მოკვდავთათვის ენოდა სევდა,
ვეძებდი მზეს და ვერ ვიპოვე. ღამე მეძებდა

და მპოულობდა; ჩემს თვალებში მეფობდა შავი,
ვუსმენ გალობას იმქვეყნიურს და გულში ვბლავი,

როგორ მომბეზრდა ირგვლივ ხმები! ყრუ მინდა, ვიყო,
უძლები მინის პატიმარი, მე ვარ უციხო,

სასაკლავოზე დაჩოქილი ვმეგობრობ კრავთან,
ცაში არნივი მუსიკალურ კამარებს კრავდა,

16

ო, რა რთულია ჩემი სუნთქვა ფურცლებში, ღრმაში...
როდესაც გავჩნდი, ბედისწერას დავცინე მაშინ.

არ ვმონებ ეშმაკს, რაც არ უნდა ამავსოს ვერცხლით,
მაგრამ რაც უნდა ნახოთ ჩემში, ვერაფერს შეცვლით!

მკიცხეთ, დამცინეთ, განმერიდეთ: მე ვარ იუდა
და ღმერთის ტახტთან მიფოფხებას ვცდილობ ჯიუტად.

ბრიგალი თესავს

27.07.2014.

არაფერი ჩანს. კედლებიდან აღწევს გათოშილ
ფიქრთა ჯარების ქარიშხალი და იწვის ღამე,
მზე გაახვია დედაბერმა გიშრის ჯადოში
და უჯრედები წვერნამახულ ბუნიკებს ჭამენ.

ათასწლეული დააბიჯებს და კისერს იფხანს,
გრივალი თესავს უმეცრებას, ხვდება აისზე

ველური სიკვდილს და სოდომი დასცინის ნიფხავს...
ვიდრე გველებით უღმერთობაც უბეს აივსებს.

დიდხანს ამაოდ დავეძებდი დაკარგულ იღბალს,
შემდეგ მივხვდი, რომ ის იქაა, სადაც ივანებს
სული ძილის დროს და სიფხიზლეს სიმშვიდით ნიღბავს,
რომ აედევნოს თვალხილული კაცი ნირვანებს.

ღამის მარწმუნები

14.07.2014.

ვებრძვი ღამეთა გრძელ მარწმუნებს. მეფარა თავზე
თეთრი აურა ოლარივით და ხელებს ვუქნევ
ირგვლივ მეგობარ მდუმარებას და რწმენით მავსებს
დილის სიგრილუ, როცა ვუმზერ ნამთვრალევ დუქნებს.

17

ქვათა ქვითინი აქანავებს ქათქათა ივლისს,
გვალვისგან ჩემი ბალის ყველა ნერვი გამიხმა...
ვიცი, ჩემს გვერდში მარტოობა მდუმარედ ივლისს,
თავს აღარასდროს დამანებებს ყორნის ავი ხმა.

ჰაერი დულდა და აჩრდილებს უყეფდა ძალლი,
თავი მიმძიმდა კლდეებივით... დანით დაკეპილ
ღრუბლებს ვსუნთქავდი და ვსუნთქავდი... ახლა კი დაღლილს
შორს წამიყვანენ პოეზიის ლიანდაგები.

03.09.2014.

კაცთა ცინიზმი შუბლებიდან მოდის ოფლივით,
ის ახლა თეთრად შეუღლებავთ, რაც ადრე ყარდა,
სიკვდილიც ისე ახლოა და ნიშანდობლივი,
სხვაგან არასდროს არ მოვძებნი, სიცოცხლის გარდა.

ვიცი, ყოველი, რასაც ვფიქრობ, მხოლოდ ლანდია,
განთიადს ღებავს და აშიშვლებს დამას ბაფთიანს.

ლოდვივით მძიმე ვერც კი ვამჩნევ, როგორ დავეშვი
წყაროს წყვდიადში და მღვიმეთა სისუფთავეში.

განვი კანკალებს მორკალული კლდეების ღრუში,
შუბლზე ღრუბელი მეღენება, გრილი და მრუში,

ჩნდება და ქრება ვაშლი ტკბილი, მირაჟი, ევა,
ბოროტს ეწყება ხახისფერი ჭაობის რწყევა,

ციდან ყულფივით ჩაიგრაგნა მინამდე ყრუ ხმა,
ისევ დაიცვა წინილები დემონის კრუხმა,

18

ჩამწკრივებულან მცველებივით გორაკზე ჯვრები,
რაც მახვდაგებს, მე ის მიყვარს და მასში ვძვრები,

უარი მითხრა საბოლოოდ ოცნების ბაღმა,
ვზივარ თეატრში და ღიმილიც თვალეში ჩახმა...

მე მინდა, მხოლოდ ის გავიგო, რატომ დამალა
ბედმა თავი და რატომ მახლავს სევდის ამაღა.

უთქველოვა

02.06.2014.

მე ჩემი სულის სიმარტოვეს დავუდგი ტახტი
და დაჩოქილი შევიყვარებ სიმართლეს, გახდილს.

რას ნიშნავს მტერი? მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ეს:
მინდა, რომ გულში სიყვარული მარად მყოლოდეს.

საით წამიყვან პოეზიის ფრთიანო გემო,
თუ მარადიულ სიტყვის სიტკბოს გავუეგე გემო?

სურათი: ტბაზე გედთა ტანდემს ვხატავდი თითქოს,
მენამულ სივრცედ გაუშლია სხივები დისკოს.

ახლა ფიქრები ისევ სნეულ გონებას შობენ,
მაგრამ რა მინდა, რას განვიცდი? ვუსმენდი შოპენს...

უთქმელი სევდა შიგნიდან მხრავს, როგორც დალი და
კვლავ უნაზესი ხმა ისმოდა ქრელი ბალიდან.

საერთმანეთო

04.01.2014.

ქალაქი, სადაც კვლავ ვიზრდები, ჩემი ყოფა კი
მარადიული გაზაფხულის იმატებს სურათს,
სადაც ქვესკნელის მიაძინა ლექსმა ქოფაკი
და იანვარის ირონიაც მირონში ცურავს

19

და სადაც დიდი პატარაა, პატარა – დიდი,
თავს მოსანყენი მოგონებით ველარ ვერევი,
ვახერხებ თავის გარდასახვას. ვერაფერს ვხსნიდი
და კისკისებდნენ ბედგახსნილი შინაბერები.

ვხატავდი სიზმრებს უბოლოო, ენაკვიმატებს,
ვიკარგებოდი გამოცდილი მრევლის უბეში,
(ლიმილს, რომელსაც დაღლა გვაკლებს, რწმენა გვიმატებს
ეკლის გვირგვინიც აღარ არის ისე უბეში,

როგორიც ადრე) ბევრი ვნახე ჩემი კოლეგაც,
სულის გადიაც, უპოვარიც, ბნელიც, ნათელიც,
ახლა კი ქარი თავში ლექსის ჯოგებს მორეკავს,
რომ გამახსენოს წმინდა მეფე გაენათელი,

რომ მისი ღვანლის შედეგნი ვართ, ჩვენი ყოფა კი
დროებითია, მაგრამ ხსოვნა დარჩება მერე,
მოგონებებში გაიხსნება სხვა სარკოფაგი
და მოგვიძღვნიან საუკუნის მერე სიმღერებს.

უსამართლობის დღეს ვზეიმობთ! ვუდგავართ გვერდით და ტაშსაც ვუკრავთ კრავის ქურქში გახვეულ აფთრებს, ასე ნამდვილად გაგვინყრება ცოდვილებს ღმერთი და დავისჯებით, მომავალიც ტალახში გვათრევს.

მაღალ ტრიბუნებს ისევ მართავს ვილაც მასონი, შიშველ სიმართლეს გულში იკრავს რკინის გისოსი, გმირნი ამოდ ირჯებიან, უქარქაშონი, თავზე სიმთვრალე დაგვტყდომია დიონისოსი,

ხის ჩაქურჩებით დაიცავენ მალე ჩვენს შორის ჰერმესისა და აფროდიტეს ბინძურ პირმშოებს (აქ ბენჯამენის თავებს ლეჭავს ქათქათა ღორი, მის ხორხში წმინდა მარგალიტიც იუჯიშოებს)

20

ხშირად მკვდრად ყოფნა მომინდება ხოლმე ვარამით, საფლავში ბრუნავს, რომ გვიყურებს ალბათ, ქართლოსი, გაიფანტება ნეტავ, როდის, ავი წკვარამი... დედა ვატირე დღევანდელი სასამართლოსი!

მტრედისფერ ბინდში

13.05.2014.

მტრედისფერ ბინდში, წყაროსპირას, ინვა დრაკონი, კიოდნენ ქაჯნი, კუდიანნი და უტრაკონი,

ქალის მკერდივით გაღელვებული მოხსნა ცამ პირი, ვარ მაგიური ზმანებების კუმტი ვამპირი,

მე, კალამი და მარტოობა, ვიბრძოდით ერთხმად, ბნელ ზიგ ზაგებში რომ არ გვდიოს ეშმაკის კვერთხმა,

როგორც კრავი მგელს, მეც ჩემს წარსულს, ისევე ვუფრთხი, თავზე უღმერთო ხეპრეების მანვიმდა ფურთხი,

ვარ მდუმარე და თავდახრილი, ვდგავარ გუბეში, იქ, სადაც მხოლოდ სიყვარულის მიყვარს ნუგეში.

ფიქრის ჩანჩქერზე დაეშვება მალე ხომალდი,
ვიმოგ ზაურებ, ალბათ, სულის ამოხდომამდის.

ახლა დაუკრავს სტალაქტიტზე ბნელეთში ლისტი,
შიგნიდან მხრავენ ტერმიტები, მწვავე და ხისტი,

მლოკავს კოცონი, გველის ენა თვალეებში აღწევს,
გრილი სიკვდილის დედოფალი იხოკავს ღაწვებს,

ზანზარებს მინა, ქვესკნელეთი ინგრევა უფრო,
ვარ მერიქიფე, სადაც ბილწი კომშარი სუფრობს,

მე დამდევს ყულფი, შიგნით ვხმები, შორია ჭამდე
და მიხარია, თითქოს ასი წლის მერე ვჩანდე

და ჩემი შუბლის ღარებს მიღმა გზა რომ გზას მისდევს,
იმ გზას ვადგავარ და გზის ბოლოს სხივებს ვთხოვ ქრისტეს.

ტაქსებს ტალღად გადაუვლის მშვიდი ქარის ხმა
და ეს გახდება მინის მიღმა ჩემი მრეყავი,
ოდესლაც ისე ჩამაფიქრა ლექსის ხარისხმა,
რომ გადაენყვიტე, მის კალთებქვეშ გავზრდილიყავი.

რას ვაქნევ, თუ არ წამიკითხავს ბნელი ელიტა?
მაინც ვიდგები მეფეებზე მაღლა ოცნებით,
ვიდგები, რადგან პოეზიის სარეცელიდან
ვიცი, დრო მოვა, სხვა სივრცეში გავიტყორცნები.

ჩემი სიგონჯე ვის ადარდებს ღმერთო, ნეტავი?
ადამიანურ კომპარებში დავდექ ქაოსებს,
კაცთა თვალებით კოცონი მწვავს დაუშრეტავი,
ვარ გარიყული, როგორც გვამი სასაკლაოზე,
ჩემი სიგონჯე ვის ადარდებს ღმერთო, ნეტავი...

ჩემს გარდა ჩემს ხვედრს ვინ აფასებს, ჩემს ჯვარს ვინ ათრევს?
მე საკუთარი სიმახინჯე მუდამ მსერავდა,
ზიზღს ვგვრი ასეთი სალონების მუდმივ ბინადრებს
და სარკის გარდა შემომხედავს სხვა ესმერალდა,
ჩემს გარდა ჩემს ხვედრს ვინ აფასებს, ჩემს ჯვარს ვინ ათრევს?

22

ქოთნის ყვავილით მესიზმრება ხელში მატყილდა,
ჩემსავით, ჯოჯოც ვერ იქნება ალბათ, უხეში,
დავლენე სარკე! – ბოლო სხვიც გამიბათილდა,
რომ ჩავრჩე გველის ანარეკლის სიმარწუხეში!
ქოთნის ყვავილით მესიზმრება ხელში მატყილდა...

„დალანდი“ სტრიქონებზე

15.04.-17.04.2014.

აჰა, მიცურავს სტრიქონებზე გემი „დალანდი!“
შენ აქეთ-იქით ისვრი სველი ლექსების დასტებს,
თეთრ ჰორიზონტზე მოჭიხვინე რემა დალანდე
და შენი ცხელი ილუზია კომპარებს დასდევს.

ალარ იშვება მთვარე წყნარი! მშვენივრად უწყი,
რომ მთვარის ნაცვლად ოქროვანი გელის ტიარა,
მე ვხედავ, როგორ იისფრდება თოვლი და სუსხი,
ვხედავ, აჩრდილი სიკვდილს შეხვდა და ეზიარა.

ნახე, დომინოს სასახლეში ლანდთა შეკრება,
როცა იდუმალ შენობაში ბრწყინავს ბნელიც კი?

აქ ლურჯ იალქნებს თეთრი სივრცე ეპაექრება
და უდაბნოში მარმარილოს დგას ობელისკი.

ეს მე ვგრძნობ ყივილს! მეტი შუქი, სინათლე მეტი!
კვლავ მოეხვიე ჩემს სულს, ლურჯა ცხენთა ქამანდო,
გრძელ ლაბირინთში უხილავი დამდევდა კეტი,
მაგრამ ამ კეტმა შენი ლექსის სიღრმე გამანდო!

იქნებ, ოდესმე ერთად შევხვდეთ მდუმარ დაისებს,
იქნებ, ჩავხედო ქანდაკებას თვალებში ნათელ,
როცა კანკალით მკვლევლობებით პეშვებს აივსებ,
როცა განიშნებს ზარის რეკვით გაფრენას მნათე.

მე მახსოვს, მუდამ მოგჩხაოდა ყორანი მაშინ
და მოურჩენელ ჭრილობაში ედო ნისკარტი:
– მინდვრის ფოთლების ცოლის თმაში იყო თამაში
და სული თოვლით გვესებოდა სველი სისხარტით...

23

ახლა კი, ქარში მოცარტივით ნახვალ და იცი,
როგორ მოავდო სული ჩემი სიგიჟის კარავს,
სადაც ფლოქვებით ლანდებს ფანტავს გიჟმაჟი კვიცი,
სადაც მწუხარე ანგელოზის ბარათი მზარავს,

მზარავს და ცამდე ბევრჯერ ადის ფორტეპიანოს
ჰანგების ქარით მადრევნების ვედრება თეთრი,
თითქოს სიზმრები მთანმინდიდან გორდებიანო,
რომ ჩაითრიონ მარტოსული პოეტის ხვედრი.

ყეფდა ნაპირი ნიაღვარის, როგორც საძაღლე,
სერაფიმები ტიტინებდნენ ბავშვების სახით,
გადარჩენილმა წითელ ძაღლებს მიასაძაგლე
ალკოჰოლური ოკეანის ნერვების კრახი!

ჩვენ გვისმენს ჭყვიში – მინა შენი! გული გუგუნებს,
ანუ, ცოდვებმა (რადგან აქ ვარ) აღარ მინიეს,
უცნაურ ბინდში აღარ ველით სხვა საუკუნეს
და შენს ტაეპებს დავუჩოქებ არამინიერს!

მთელი მსოფლიოს ტკივილები ვიპოვე თავში!
 სისინი მესმის უიღბლობის, შიშით ვჩერდები
 უფსკრულთან. ყურში ჩამყვიროდა ბოროტი ბავშვი
 და დედამინას ებერება ძუძუს კერტები.
 მთელი მსოფლიოს ტკივილები ვიპოვე თავში.

დამყურებს ყველა, ვარ მდაბალი მდაბალთა შორის,
 რომ ჩემი ძველი ანარეკლის მიწიოს ჭამამ,
 ჩემს ირგვლივ კეთილ სურნელს აფრქვევს სიკვდილის მძორი
 (მე მაპატიეთ სიტყვებისთვის უხეშ და თამამ)
 დამყურებს ყველა, ვარ მდაბალი მდაბალთა შორის.

24

მე შემეძლია, დავამსხვრიო კლდეები მკვრივი!
 და რადგან ძველი ანარეკლის ჭამამ მიწია,
 ჩამოძონძილი ყარიბი ვარ, ნარსულის ქვრივი
 და ულატაკეს მეფეს ვგავარ, მცირემიწიანს!
 მე შემეძლია, დავამსხვრიო კლდეები მკვრივი.

შუალამის ეპაფოტეპი

27.04.2006.

ქალაქის რიტმებს ჩავისუნთქავ – ქუჩაში გავალ,
 გამოვექცევი ჩაკეტილი სივრცის ფობიებს,
 ვსუნთქავ სალამოს და რიტმულად ეღვრება თავანს
 ხმა გამყინავი და დუმილი მომელოდიე.

დავდივარ ვინრო ტალანებში ქუჩების, ბნელი,
 სმენას მიყრუებს მეძავების ხარხარი ხაფი,
 მზერას მიზარავს (ამაზრზენი!) ხილვა ქვესკნელის,
 ფიქრების შტორმი დუყუბიანს მახეთქებს ნაპირს.

ცა იკლავება და დაღმეჭილ ბალლამს ალალებს,
 მთვარე ისროდა მოკანკალე შუქის ნაფოტებს,

მწყემსი სამწყოსთვის ცაში ეძებს სხვა იალალებს
და დაბლა მუდამ ღამე ბლავის საეშაფოტე.

გავალტოლოვილებ დამწყვდეულ სულს, იქ, სადაც რეკავს
სისხლის ყივილის ქარიშხალი და წვეთავს შხამი,
ჩემს კარის ზღურბლთან მოვახტები ზეციურ პეგასს
და დავინახავ, როგორ ღმუის მინაში გვამი.

კვლავაც მოვივლი ლაბირინთებს, სადაც მეძავებს
ამოუკვეთავთ ერთ ალაგ ზე ნილოსის დელტა,
გამხეცებული კოშმარები კერპებს ლენავენ:
ალარ ჩერდება მორიელი გადახსნილ ყელთან!...

იქ მეძავები გავდნენ ზომბებს. დათხაპნილ თვალებს
ველური მზერა ულოკავდათ, ცამდე კიოდნენ,
იქ, სადაც ცხელი ელექტრონი ძარღვებს აწვალავს
და ბრბო გველს მისდევს თვითმკვლელების საიქიომდე.

25

ჰაერი სწრაფად ინამლება ყვირილის თესლით,
მინა ინგრევა და ხმელეთი ღრმად სუნთქავს ჭაობს
(სიზმრებო, ფროიდს სამარეში ჭკუიდან შეშლით!)
და ვიდრე მყრალი რეალობა ზლაპრებთან დაობს,

ისევ სიავეს გავექეცი, ცბიერს და ცხოველს,
მთვრალ ბომჟთა გვამებს გადავანყდი შუკებში ვინრო,
აგონიური კოშმარები გაშვებას მთხოვენ
და მსურს, სიცოცხლის დასაცავად მახვილი ვიძრო.

გავალ ქუჩაში, მე და მთვარე ვიქნებით ერთად
(ძველი დემონი გამოჩნდება ისევ დემონად)
მსურდა, მიმეცა წყვდიადისთვის სიმდიდრე ფერთა
და მე ავტირდი, დილა წყვდიადს რომ დაემონა.

თეთრ როიალზე შავთმიანი ცეკვაავდა ქალი.
შუბლზე ეკიდნენ მთვარეები – შავი მშვილდები.
გარს შემომერტყა გაუვალის კოცონის რკალი,
დაბადებიდან ეშმაკებთან ვერ ვხმატკბილდები.
სხეულში ღამე აღვადგინე, დილა – მოვკალი.

ვთლი ზმანებაში დედამინის დასარტყამ ჯოხებს,
უსტვენდა ქარი, დაფორთხავდა დაბლა სალოსი,
დრო მოვა, ღმერთი მომავლიდან მკვდარ ფურცლებს მოხვეს,
მე კი მკვიდრი ვარ ბნელი მღვიმის, საგრიგალოსი,
გარეთ ჯიუტი ქარი ბოხი ხმებით როხროხებს.

26

აქ სივრცე უსმენს გისოსების დაჭიმულ ტკივილს!
ანგელოზები თითქოს ლექსის კოცონზე მწვავენ,
ვლენავ სარკეებს, შუბლზე ხაფად ხაოდა სხივი,
ვიყავი მინა, ვარ მინა და ვრჩები მინავედ,
ხელეებანვდილი ვდგავარ ცისქვეშ და ყოფნას ვჩივი.

ქუჩა და ბავშვი

19.02.2014.

ერთხელ, სალამოს, მივალნიე როცა მოედანს
(ლექსებნასვამი მოვდიოდი "foe-foe"-დან)

ქუჩაში ბავშვი დავინახე. იდგა ხესავით,
დიდი თვალებით სიბრალულის იყო მთესავი.

იდგა გოგონა, დაკონკილი დედაბერს გავდა,
პატარა გულში ვერ იტევდა მშვიერი ავ და

უგუნურ ხალხის გულგრილობას, ცინიზმს, სიბრმავეს,
იცის, სიყვარულს ამ ბრბოსადმი ვერ გაიღრმავებს,

რადგან სიკვდილი დაუნერეს ქუჩაში ასე,
შიშილით, ბოლმით, უნდობლობით, სიცივით სავსე...

უნყალო არის ეს ქვეყანა: ღრეობდა ხალხი
სადღაც, სახლებში, მას კი ეცვა ცრემლების თაღხი,

სადაც გამვლელნი ვერ ამჩნევენ ვერსად ვერავის,
ნაცვლად, არ რჩებათ რესტორნები დაუზვერავი,

კედელს აყრიან სადაც ცერცვს და ხუჭავენ თვალებს,
სადაც ქვეყანა მისნაირებს მუდამ ანვალეებს.

წიგნი, გნისი

22.01.2014.

27

კლდის ქიმზე იდგა გიგანტური ეუფორბია.
იგი სამყაროს გადაყურებს. მალლა ძნელია.
ჩემი ცხოვრება პოეზიას შეუბორკია,
ჩემი მუზები თეთრ ღამეებს ისევ ელიან.
იდგა ქარაფზე გიგანტური ეუფორბია.

იქ ვარ, გონების ველარ ვნვდები სადაც ნაპრალებს,
იქ ვმარტოვდები, ჩემს თავს ვმეფობ და ჩემს ქოხურას
ავაგებ, სადაც თავი თავსაც ვერ შემაბრალებს
და ქოხს მომავლის სხივჯიუტი მზე გადმოხურავს.
იქ ვარ, გონების ველარ ვნვდები სადაც ნაპრალებს.

დამასაფლავეთ მხიარული სიტყვების ბრბოში!
კუბოს გარშემო შავი წიგნის იდგას გნისი,
ღამედევნება დერეფნებში ქოშინის ქოში
და მეც ჩავდგები ჩემს დამკრძალავ პროცესიაში!
დამასაფლავეთ მხიარული სიტყვების ბრბოში...

მარტოობისას

10.06.2013.

(სალომეს)

მარტოობისას რომ მოეცა შენი სურათი
იღბალს, შენამდე ოკეანეს გადავცურავდი.

გული ამიგე გელათად და სული მეტეხად,
რომ გულგრილობა ხერხემალში გადამეტეხა.

მე მუდამ შენთვის ვკითხულობდი, შენთვის ვწერდი და
მთელი გრძნობები ამომქონდა შენთვის მკერდიდან.

მექვესკნელება შენს თვალეებში ლაბირინთები
და შენი თმების ხეივნებში გავირინდები.

მე თმებს მიყალყებს შენი მზერა, მანჯღრევს შენი ხმა,
ჩუმად ვარ, მაგრამ ეს დუმილი წვიმამ შენიღბა...

წვიმს აივნებზე, წვიმს ლანკებზე, წვიმს ჩვენს ეზოში,
წვიმა თვალეებით გიყურებდა ყრმა იესოსი.

თუ ჩემგან წახვალ, მხოლოდ ერთი დატოვე ტყვია...
უშენოდ ყოფნას ქვეყნად ყოფნის არყოფნა ქვია!

28

შემოდგომის ბინდი

10.12.2011.

(სალომეს)

გაძარცულ მინდვრებს შემოდგომის დანისლავს ბინდი
და კლდის ქარაფზე კოშმარების თოვა ამიტანს,
თეთრი თათმანით შევეხები აღრენილ სინდისს,
როგორც სასტიკი ტაიფუნი გემის კაპიტანს.

მე ერთი ვიცი: მე გავყვები ოქროს ფრეგატებს,
ფერმიხდილი და უსასოო, დევნილი მეფე,
ჩემი მნათობი ველარაფერს ველარ შემატებს
ამაოების მიერ შობილ ყინულის შხეფებს.

ჩემი ცხოვრება ამაოა! ყოფნა – სიზმარი,
ლექსი აყუჩებს ღრმა იარებს მხოლოდ ამჟამად,
ირგვლივ შემსხვრევა სარკეები ნათილისმარი
და ბოლოს ბნელში საკუთარი კუბო დამშხამავს!

გადმომასკდება ყრუ ხორხიდან სიკვდილის სპაზმა,
თავს შემახსენებს თეთრ ძარღვებში მელნის თარეში,
მაგრამ მე მკვდრეთით აღმადგინა ქალმა ძვირფასმა
ტკბილი ნოემბრის დაუფინყარ სიანკარეში.

შავი ჯეჯილი

01.09.2014.

დაბადებისას ცეცხლის ფსკერზე დავტოვე ბოღმა,
თვალი მიიპყრო ზეციური რაშების დოღმა.

თვალს ვახელ: მინდა, ავი ვნება მოვკლა, რომ ისე
იყვნენ დასჯილნი სურვილები, როგორც ონისე.

29

გარშემო შვრიის ყანებია, შრიალებს შვრია,
თითქოს თვალელები სამონასტრო სიმშვიდეს ღვრიან.

ჰამაკებს ქმნიდნენ თეთრი ვეფხვის ტყავის აფრები,
ვირთხების რბოლით მე არასდროს დავიზაფრები,

მინიდან ცამდე აიზარდა შავი ჯეჯილი,
მე ავადმყოფის ნერვებივით ვარ დაგლეჯილი.

დაბლიდან მალლა მონანულთა ხმები აისმა,
მალალი შუბლი გაიხვრიტა ტყვიით აისმა.

რალაც ხმა მესმის საიდანლაც, თითქოს რადიოს
ტალღები მლენენ და მზე ცოდვებს აღარ მპატიობს...

ძველი მსმენელი მე ცრუ პატივს აღარ მომაგებს
და ქარი იქნევს ალესილი მტრობის ქომაგებს.

ისე ვარსებობ, თითქოს ვიყო მშვიდი და უხმო,
მაგრამ სიგიჟემ ამ დროს სულ სხვა სიგიჟეს უხმო.

(სალომეს)

ჩვენი შეხვედრა აიაში გახსოვს სალომე?
 ეკლესიისკენ მოდიოდი შენ ნინოსავით,
 მინდა, რომ შენი ყველა სუნთქვა დავითვალო მე,
 რომ გვერდით მყავდე, ვით ამაყი გვირგვინოსანი.

იყო სიცივე, ციდან ყინვა ბარდნიდა თითქოს...
 და შემოდგომის სიჩუმეში ცრიდა დებოში,
 შენი თმები და შენი მზერა აფრქვევდნენ სითბოს
 თოვლით და წვიმით განათებულ თეთრ სამეფოში.

მაგრამ ხანდახან მეღვიძება და მომდის აზრი:
 „იქნებ, ეს მხოლოდ სიზმარია?! ან იქნებ, მხოლოდ
 ნატვრა, რისგანაც იბადება ტკივილი ბასრი
 და პოეტს ერთხელ მკვდარი ნატვრა მომიღებს ბოლოს?!“

30

ვერცხლი შავ დაფაზე

12.02.2011.

საუკუნოვან ჩურჩულებს გიჟი წადილი
 ხელისგულების პაემანში სალამოს ედო,
 წვალება გახდა ჩემი მუზის მწარე სადილი
 შავი ფურცელი – ჩემი გონჯი არსების კრედო.

ვინც პატარაა, ის დიდია და ვინც დიდია,
 ის პატარაა, ვით მირაჟი და ვით ჭაობი,
 მისი ცხოვრება მყრალი ხორცის ძარღვზე კიდია
 სულის სიბილნით, ტვინის ფლანგვით და მეძაობით.

ფრჩხილებით ვალწევ ღრმა ქვესკნელის ქვედა სართულებს
 და ამოა ყველაფერი, სიტყვა ლიტონი...
 ღმერთო, შენს შექმნილ სულებს ასე რატომ ართულებს
 გოლგოთის ძირში გაბნეული თეთრი ლითონი?!

სალამო, ნესი უტკბილესი – სუფრა ქართული,
 მე ვიგონებდი გუშინდელ ევას
 (მე რთული ცნობის ფიქრებზე ვარ გადახლართული,
 მე გავაღმერთებ მირაჟის მტვრევას)

მე ავიტაცებ უარყოფილს! მახრჩობს იდეა
 – ყრუ წყვილიადების შეღებვა ფრთებით,
 ჯიუტ სხეულში ისევ ძველი ნეფარიძეა,
 დასველებული ლეთას შხეფებით.

მინდა, თავიდან დავიბადო! მინდა, ვიარო,
 ისე, რომ ვერსად ვნახო ვერსალი,
 ტანზე სამოსი ავიყეფო სამგლოვიარო,
 ხორხში ჩავთხარო ველზე მტერს ალი,

საკუთარ სტომაქს ავუკრძალავთ ვერცხლების ხეთქვას,
 უარსაც ვეტყვით გველის ქაჯობებს,
 მაგრამ... შავია დედამინა, პირდაპირ გვეთქვას,
 დაე, პირდაპირ გვეთქვას, აჯობებს!

ნინ ჭლეტიანი ივლისი დგას, მძიმე ტანს ითრევს
 ბებერი ძაღლი – ძველი სახე ჩემი ეზოსი,
 ბრმა ხეიბარი ჩემს თვალეებში კითხულობს ტიტრებს,
 მავანმა ქრისტე ამოიცნო ყრმა იესოში.

ახლა კანკალი კომმარული, დაუკრავს საკრავს,
 ფოთლის ხაზები გაკვამლულმა ფრთებმა დახოცეს,
 ყოველმხრივ ჩემი ხელწერილის მდინარე მაკრავს,
 რომ აღარასდროს არ გავაქნევ თეთრ ცხვირსახოცებს.

ხმა ქონდა გრივალს მარტის კატის. დუმდა ქალაქი.
ვზივარ ჩემს ტვინში, ავ ზნებული გრივალს ვემდური.
ალარაფერი აღარ მქონდა გადასალახი,
რადგან მე სივრცე გადავლახე დეკადენტური.

ძარღვებში ისევ ღმუის სისხლი! მარტის ჩხავილი
დავლანდე, როგორც ბოტიჩელის ტილოს მაგია,
ვიცი, არასდროს გაიშლება ჩემი ყვავილი,
ვიცი, მტირალ სულს მხოლოდ კუბოს სუნი არგია!

მინდა, ვხატავდე, რომ დავხატო სიცოცხლე ძალღად,
სიკვდილი – ქალად, აგონია – საყვარელ ღვინოდ,
მინდა, კანკალში განვიცადო სიმშვიდე ახლა
და შუალამის მშრალ რუტინას დედა ვავინო!

32

დრამა

11.05.2010.

როცა მომითხოვს წლების შემდეგ საფლავი, ნინი
და გაეყრება სულის ხეულს, ცრემლები – სახეს,
მაინც მოუვლის ხალხს ამ ლექსის წაკითხვის ფინი,
მოავონდებათ, ის წიგნში, თუ რვეულში ნახეს
და ჩაეღვრება უმნარესი ხსოვნას სტრიქონი.

მარადი მხოლოდ სიკვდილია! ცხოვრება – დრამა,
მე კი ზეიმი დავინახე ქვეყნის დრამაში,
ბნელში დაკარგულს მიმღეროდა სინათლის გამა,
ვტიროდი, იყო ეს ტირილი ჩუმი თამაში
და დაცემული ვთამაშობდი მონარქის თამაშს.

იტირეთ, ლექსი ტირილია! ის ნაყოფს ისხამს,
ცნობადის ხეა, გაჟღენთილი ცრემლის დინებით,
იგი სივრცეა, სადაც ღამე წაავავს სისხამს,
თუ ამ სივრცეში ჩვენ აუხსნელს ვეპოტინებით
– იდეალური სუიციდის გათვლილ ქარიშხალს.

სამყარო – ჩემი ოთახია. ქანაობს ჭალი,
ვინროვდებიან ყრუ კედლები ჩემსკენ, მგონია,
მწვანე სტრიქონებს სევდიანი ედება დალი.

ოთახი – ჩემი სამყაროა, ქანაობს ჭალი.
კვლავ გზაზე მხვდება ანგელოზი – ნაზი ყაჩალი,
ის გულს მართმევს და იკარგება, ვით ჰარმონია.

თავის სიმწვანეს კვლავ მისტირის ყოფილი ბალი,
ფიქრებს არ ყოფნით სამყოფელად მიწა, მგონია.

საყვარელ ნადავლს უსაფრდება ფიქრი-ობობა,
სინდისს მისტირის მისტიური ლამის მარულა,
ყველგან ვიარე, ვერ ვიპოვე უჭაობობა.

საყვარელ ნადავლს უსაფრდება შავი ობობა,
მის რკინის კლანჭებს ჩემი გული ესიყვარულა,
მე ვიძირები; მე ვინატრე უჭაობობა.

ნადავლს სისხლს წოვს და მუქშავ თვალებს ხუჭავს ობობა,
სინდისს მისტირის მისტიური ლამის მარულა.

ვაგროვებ დუმილს

04.04.2014.

ვაგროვებ დუმილს, სიკვდილამდე ვაგროვებ დუმილს
– ვილაპარაკებ სიკვდილის მერე,
ლოცვას ბუტბუტებს უჯრედებში ჩუმი ქურუმი,
ურჩი კალმები ფსალმუნებს წერენ.

მე მკვდრეთით აღმდგარ, ძველ საფლავებს და მკვდარ აკლდამებს
გადავალენავ აფთართა ხროვებს,
ვაგროვებ დუმილს, რადგან სულში მუდამ მაკლდა მე,
ქვეყნის ხმაურში დუმილს ვაგროვებ.

3. ზ. მეფარე

გვამთა თამაში აკლამაში... არ აკლდა მაშინ
ბნელს წარმოსახვა და ხაფი ხმით ხილვა ხაოდა,
მაშინ ვიყავი დამწყვედული მკვდარ აკლამაში
და ხტოდა თვალწინ უცნაური სანახაობა.

მე მიყურებდა მკვდრების ჯარი! „ვარ მსგავსი მათი?!“
იქ დაშხამული ეცემოდა ისრით ამური,
მე ვნახე, ჩემში იმსხვრეოდა რწმენის გუმბათი
და ყოველ დილით დრო მშხამავდა შუალამური.

ცხოვრება მხოლოდ ტრაგიზმია! არის სიცივი
სულის მლაფავი ეს სამყარო! მკვდარს არც იმედი
არ მაქვს და მინდა, გავქრე ერთი ქალის ფიცივით,
რომ არ ვიცოცხლო იმ წარსულის სიმუდმივეთი!

მე მოვალ ღამით

02.12.2008.

მე მახსოვს, როცა ფეხზე იდგა ჩემი ცხედარი
და უშენობას არ დაელო უძირო ხახა,
ვერ ვხვდებოდი, რომ შენ ხარ ფიქრის ნამოქმედარი,
რომ არ ხარ, ფიქრმა რომ აუხსნელ ხილვაში გნახა,
ეს მაშინ, როცა ფეხზე იდგა ჩემი ცხედარი.

ახლა კი, ქალის ფაქიზ ჩურჩულს როცა ვახსოვარ,
ან სუფრაზე, ან სუფრის გარეთ ვინმე ვაჟკაცებს,
მზემ ჩემს ხსოვნაში თეთრი სხივი თუ ჩააქსოვა,
ან შენს ფიქრებში ჩემი ხსოვნა თუ იკამკამებს,
მეც ვტირი, ქალის ფაქიზ ჩურჩულს როცა ვახსოვარ.

მე მოვალ ღამით, რომ მიხილო – გემი უსაჭო,
როგორ ბრონეულს, შენც ღიმილი გაგიპობს ტუჩებს,
მე არ დავუშვებ, თვალეებს ყინვა რომ მიუსაჯო,
ჩემი აჩრდილი მოედება ქალაქის ქუჩებს,
მოვალ შენს ზღვაში, რადგან მე ვარ – გემი უსაჭო.

ვკარგავ მეგობრებს. შარავანდედი
დგას უფსკრულეთში ჩამყურე თავზე,
ბნელ დერეფნებში ვქარავანდები
ათასწლეულის დუმილით სავსე.

მე ისე მტკივა სველი ნაჭრები,
ათლილი მკერდის შიგნით, რომ ვტირი,
მაგრამ ასეთ ხვედრს არ ვევაჭრები
და თანახმა ვარ, რომ დავრჩე მწირი.

ახ, დამიბრუნე ჩემები ღმერთო!
ოთახში შევალ კელაპტრებიან,
რადგან ჩაუმიქრალ კელაპტრად ვენტო
მათთვის, ვინც ასე მენატრებიან.

მოლოდინი

23.10.2014.

(სალომეს)

რიჟრაჟი დილის სხივმა გახია,
ცაში სიცოცხლის დაფრენს იდეა,
კლდეზე ხარობენ დიფენბახია,
ია, გვირილა და ორქიდეა.

ირგვლივ აყვავებ ყველა უდაბნოს,
საქმე გაუქრე შენს ირგვლივ ჭაობს,
შუბლს დიადემა მზემ დაუდაფნოს,
იმ შუბლს, რომელიც ზამთართან დაობს.

ძვირფასო, მუდამ დარჩი ასეთი,
მიმართლებს ძველი ნატვრა მოლოდინს:
რომ ტკბილი სუნთქვით და სინაზეთი
მთელი ცხოვრება გვერდით მყოლოდი!

ვცხოვრობდი ისეთ დროში, მე, სადაც
 ცარიელობდნენ ტაძრები წმინდა,
 მესაიდუმლის პოვნა მენადა,
 რადგან ჩემს სულშიც საშინლად წვიმდა.

იბღვირებოდნენ დახლები ბაზრის,
 ქუჩაში ბიჭი ლიმონს ყიდიდა
 და ლოდმობმული ხტებოდა აზრი
 გამთენიისას თეთრი ხიდიდან.

ახლა? ბავშვობა წავიდა მხოლოდ,
 ბავშვები ისევ ვაჭრობენ გარეთ,
 ჩვენი ბავშვობის წკრიალა სოლო
 ლურჯი ზეციდან მინაზე ვღვარეთ.

ქალის სიავე იხდის ბიკინებს,
 ფერუმარილით კაცები დიან,
 ვილაც ახვარი მინას გვიგინებს
 და ანგელოზებს გვიტირებს ფრთიანს.

ამ დროს კი სადღაც, ქალაქის ბოლოს,
 ისევ მარტოობს ბალი მონესი,
 ისევ წკრიალებს ბავშვების სოლო
 და ცოდვა გვტანჯავს უდემონესი.

ნულარ იცლები სიცოცხლის ტიკო,
 იძირებიან ფსკერზე გედები...
 თავანუელი როდემდე ვიყო,
 სადამდე ვთვალო ცრუ იმედები?!

ლელვის ფოთლები ცვივით სხეულებს,
მე ვიყურები. მეცვა შავები.
მე პოეზია დამასწავლებს,
მე მის ფერხულში უკვე ჩავები.

პირისპირ მკვლელად დგას აგონია,
ლოდის ვაგონი სულმა ჩაიბა,
ხველა მსოფლიოს გასაგონია,
ყელში სრიალებს რკინის შაიბა!

ნინ ჭაობია, მიყურებს გველი,
ლაფში ცეკვავენ ჩემი ფეხები,
მხოლოდ თვალები მახსოვდნენ სველი,
მხოლოდ გამონვდილ ხელებს ვეხები...

ოი, მალირსეთ სამოთხის საშვი,
თორემ საკუთარს გავთხრი საძვალეს!
ფეხმძიმე მინავ, გადასკდი და შვი
ის, რაც მეკუთვნის და სულ მანვალებს!

ციდან თვალებში ჩამახტა ჭალი,
განათდა შუბლი. მშვენივრად ვუნცი,
რომ პლანეტების მომელის ჯახი
და სისხლის ცეცხლში ჩავხატე სუსხი.

მე შემაკედლა ჯადომ ქამანდებს,
მთვრალი ცეკვავდა ირგვლივ ის ღამე.
ვიცი, ჭინკებმა რატომ გამანდეს
აზრი და ღვინოს რატომ მისხამენ.

სასთუმლად მქონდა წამის ჰამაკი,
დაღლილს დამატყდა მზერით ჯოკონდა,
ციხარტყელების ფერთა გამა კი
მეცვა და მზეთა შუქი მოქონდა.

სული რუტინას ველარ აფასებს,
ყველა სიჩუმეს ვეტყვი: „adios!“
მე აზრებს უნდა ვდიო, კაპასებს,
გრძელი დუმილი რომ მეპატიოს.,,

ორ დერეფანში დარბის ჰამიში
(სურნელის სუნთქვა სულმა ინება)
ეს ადრე იყო ჩემთვის საშიში,
როგორც ეშმაკის მოლოვინება.

38

როცა პოეტი თავს ვერ იკავებს,
თოვლზე ააგოს ლექსთა ყაზარმა,
ის მუსიკალურს შექმნის იგავებს,
რათა დატოვოს ცოდვის ბაზარმა.

პოეტო, როცა ყველა პისტოლეს
გაშმაგებული ლექსით დატენი,
წაგიკითხავენ თეთრ ეპისტოლეს
აზრები, თავში მოფარფატენი!

ცხოვრების კიბე

28.06.2014.

თითქოს დაალო უნდოდ ზღვამ პირი.
ზღვაო, ნეტავი, სტუმრებს რით ელი?!
წიოდა წვიმის წვეთში ვამპირი,
სადღაც გამექცა სისხლი წითელი.

ცა ავრივალდა, უფმური გახდა,
არაფერია გარშემო უხმო,

გრიგალმა სივრცე დაიდგა ტახტად,
გონებამ სიკვდილს საშველად უხმო.

ფსკერიდან მოდის ცივი, მკვდარი ხმა,
ჩემს ნავს მოედო შავი ხავსები,
უგემურ ბგერებს ელით გარიყვა
და მეც, სმენისას ყრუს ვემსგავსები.

ნარღვნა დაგრაგნილ კლდეებს არყევდა,
ენუნებოდა საამბორო თმა
ტირიფს და სადღაც, სისხლის არხებთან,
თასი აავსო ვიღაც ბოროტმა...

არა! მე მანჯღრევს დილა და კიდე
რიჟრაჟი ანთებს მტრედისფერ ზეცას...
თურმე, ცხოვრება ყოფილა კიბე
და საფეხურებს სიმძიმე ლენავს.

39

ღმერთის ეზოში

09.05.2014.

ტაძარს ვუყურებ ღმერთის ეზოში,
ჰოი, როგორი სინათლე მოდის...
სახე გამოჩნდა ყრმა იესოსი,
მხრებიდან ქრება სიმძიმე ლოდის.

კაცს როდი ძალუძს უშენოდ, ღმერთო,
შენი კედლები აღმართოს ხელით?
თუ განსაცდელში იმედი გვენთო,
არც განსაცდელი ყოფილა ძნელი.

სვლა სწორი გზებით ისე რთულია...
ანგელოზები გვეხმარებიან,
ჩვენ ვნახავთ ზეცას ცხრასართულიანს
და სასუფეველს ერთკარებიანს.

ყოველდღე ვგრძნობ, რომ ვცუდდები უფრო
გაურკვევლობის, სიცივის გამო
და ყოველ ღამით ხილვა საუბრობს,
როგორც კომშარი დაუსაბამო.

მეგანთიდა ღამე ყოველი,
რაც ღამივინყეს, მას შემდეგ, ალბათ...
მე მეგობრობას აღარ მოველი
და ჩანასახში ღიმილიც დალბა.

მომეცით სარკე, დავლენო უნდა!
ჩემთვის არსებობს მხოლოდ ზმანება,
თავზე მატყდება სიყალბის გუნდა
და არც სიკვდილი არ მენანება!

40

ჯადოქრის მსხვერპლი 27.11.2012.

იცოდე, რაც ვარ, ყოველთვის ეს ვარ,
ჩემი ვალია ლექსების თესვა.

თუნდაც, მოვიდეს შემდეგ ეკალი,
თუნდაც, ამ ეკალს მე მოვეკალი.

არ მსურს სიმდიდრე, არც ზოდი ვერცხლის,
ჩემს კალამ-ფურცელს ვერც ოქრო ვერ ცვლის.

ვიცი, ჩემს ძვლებში ქარი რატო ქრის,
ან რატომ გავხდი მსხვერპლი ჯადოქრის.

ჯადოქრის, რასაც ლექსი ქვია და
რაც სამუდამოდ ამეკვიატა.

ამ ეკლის გზაზე ვიყო მარტო მე,
მგლეჯდეს გრიგალი და სიმარტოვე!

აღბათ, გიყურებს ედემში ღმერთი
და დასეირნობ ქართველ გმირებთან,
რადგან ყოველთვის იმაზე წერდი,
რასაც ბუნება შემოგტირებდა.

არ გაურბოდი შენს მტრებს ფშაველი,
ძველი მოკრივე იდექ კლდესავით,
ამაყად გიმზერს შენი მთა-ველი
– არწივთა ბუდე და ნათესავი.

მუდამ ებრძოდი ბოროტ ტიტანებს
და კაცი კაცთან იყავ მართალი,
ბევრი აღმართი გადაიტანე,
რათა გეხილა ნააღმართალი.

შენს სახელს ცუდად იტყვის ვაჟა ვინ?
(ირგვლივ ვაჟაობს ჩარგალი ისე...)
გაკაფიისფრდა ზეცა და შავი
ნისლი მოადგა პირქუშ მთებს ისევ.

სახელოსნოში ჩემს მზერას ერთვის
ფუნჯი, პალიტრა, ვენერას შობა
და არაფერი არ არის ჩემთვის
სხვა გასართობი და თამაშობა.

ცივ მარმარილოს გრძნობენ მუხლები,
(ჩემს სამყაროში მე ვარ შიშველი)
აქ აკრძალვისგან ვართ ხელუხლები
მე, შთავონება და ბოტიჩელი.

ჩემს კართან დილით ვილაც მოვიდა...
ვინ მიკაკუნებს ნეტავ იქ ადრე?
მხოლოდ პოეტის სიმარტოვიდან
ფეხზე ადგომა აღარ ვიკადრე.

რისთვის წამოვდგე? ვიცი, ვიქნები
კართან მღუმარი ხილვით სტუმარის,
ოხრად დამრჩება მთელი წიგნები,
მუზა და სივრცე სხვა სასთუმალის:

ზღურბლს მიღმა იდგა სიკვდილი-მეფე,
დუმდა და სიტყვებს ისევ წონიდა,
როგორც პირქუში და მეოცნებე
იმზირებოდა კაპიშონიდან.

მოგვესურვება, დრო მოვა, ყველას,
ბოლო სტუმრისთვის მიკეტვა კარის,
მაგრამ ხორცისთვის არ არის შველა,
არც წარბს შეიხრის ჩვენს კართან მდგარი,

იგი არ მიდის ზღურბლიდან სახლის
და არც მილიმის სტუმარი კუშტი...
დუმილს სასახლე სახეში მახლის
და სინანულით აღსასრულს ვუცდი.

ღმუოდა მინა!

28.08.2013.

ღმუოდა მინა! ძუ ეშმაკს თითქოს
გვრემდა, მუცელი მოეშალა და
შავ ჰორიზონტზე ატირდა დისკო,
კედელს ემსხვრევა შავი კალათა.

ღმუოდა მინა! იგი ხომ ახლა
ადამიანთა სიძულვილს იტევს,
ხარხარი ისმის ჩვენს თავზე, მაღლა
და იკვნეტს მთვარე დაკრუნჩხულ თითებს.

გადაიშალა მძიმე წიგნი და
მზერას მიგიჟებს მძიმე წერილი,
მე ვგრძნობ სხეულში ძაგძაგს, შიგნიდან
და ვდუმვარ სტიგმით შუბლდასერილი.

თვლებში დაქრის ვერცხლის კარეტა,
ვილაცა მორბის, ვილაცა გარბის,
ისევ ვიხილე უცხო მხარე და
ისევ თავს მესხმის კომმარი ხარბი.

ისე შემშალა სიავის გუნდამ,
რომ შემურდებათ ზღაპრებს და მითებს,
იღმუვლებს მინა: იგი ხომ მუდამ
ადამიანთა სიძულვილს იტევს.

ვულკანი, სიალე ქალის 27.11.2008.

იფრინე ფიქრო და ნულარ მიცდი,
მე სხვა სამყაროს ვეკუთვნი უკვე,
როგორ მიყვარდა ერთი არტიისტი,
მე შენს სამყაროს მინდა მოვუყვე.

სულს მიძაგძაგებს ღრენა აფთორისა:
– ნეტავ სად გაქრა ღმერთო, ის ქალი,
Ì áí üý ëþ áèèà ì áí à àèò ðèñà
È ì ù äðáüðáü äñáüüà èñèàèè.

მე ვეტყვი ჩემს თავს: „èä è ì àèèüü!“
მივალ ხატებთან, ლოცვით ჩაკვდები,
მადნობს ვულკანი, სიალე ქალის,
არ ქრება მისი ნაზი ნაკვთები!

ვზივარ ველზე და ვუყურებ შორეთს,
ნელ-ნელა ვიღებ უმძიმეს გამებს,
იდგა ჭაობი, მყრალი და მდორე,
თვალეებს თვალეებში მიყრიდა ლამე.

რალაც მასწავლა ცნობადის ნერგმა
(გომბეშოების ვუსმენდი სიცილს)
თავზე მატყდება წარღვნა და დელგმა
და იჩეხება უფსკრულში კვიცი.

შვილად მიმიღო სიკვდილის ჩიხმა,
ვუარობ, გავრბი, მაინც არ მიშვებს,
ვიცი, რას ვეძებ სიცოცხლის მიღმა,
ვუკრავ და ვლენავ კლდეთა კლავიშებს!

44

აღარაფერი არსებობს ახლა
(მე მხოლოდ რწმენის მწვერვალი მსურდა...)
მე დამრჩა შუბლში წყვდიადის დახლა,
ჩემთვის არ დარჩეს ქვა ქვაზე თუნდაც!

ზღვის და ღამის ელემბია 25.08.2013.

ვდგავარ ზღვისპირას ღამით, დაღლილი
და დედამიწის ვშორდები ჭაობს,
ზღვა არის ჩემთვის ახლა სახლივით,
ზღვა მემუქრება, მოთქვამს და დაობს.

დაობს მინასთან (ქარიც ტიროდა)
თქეში მასველებს, მლოკავდა ტალღა,
გლოვა მესმოდა სანაპიროდან...
მომეცით წვიმა, ჩავიცვამ თალხად!

ზღვამ დედამინას ჭერი ახადა,
ზღვაში დაგროვილ სიმშვიდეს ვლვრიდი,
ჩემში ცრემლები ჩაისახა და
ზღვად გადმომასკდა ცრემლჩქერი დიდი.

კარგი, თუ ავი, თეთრი, თუ შავი,
დღეს ყველა კაცში ზღვა არის, ვიცი,
მე აღარ ვუსმენ ავი ზღვის ბლავილს,
მინდა, ვუსმინო სხივების სიცილს!

ულისე

10.09.2012.

ყორნის თვალეში ცეკვავდა ლამე,
როგორც ქაჯების საღრილო ცა,
კოჭლი ჭინკები ღვინოს ასხამენ,
ზამთარმა აფთრის გვარი დალოცა.

45

ახლა დაუკრავს ტურების ბენდი,
ზღვაში ეშვება მოღრიალე ცა,
მე მარტოობის ბაგეებს ვკბენდი,
მზემ მარტოობის ფრთები დალენა.

დახტოდა ნვიმა თოვლზე კალმებად,
როგორც ჭკუიდან შერყეული ცა,
მე ახლა უხმოდ მომესალმება
დაბრუნებული ზღვიდან ულისე.

ლამაზი ქალის სამანდილო ცავ,
შენში ვიხილე მე art-სეზონი,
ადრინდელ სათქმელს ახლა გილოცავ:
„დაე, გვფარავდეს ეს ქართული ცა!“

ლამე, გრიგალი, ნვიმა, კახეთი.
 მე მოვალ შენთან, როგორც მსახური,
 მე მოვალ შენთან ჩუმი სახეთი,
 ატირებული და უსახური.

ახლა ბოლოჯერ მოვედი შენთან!
 მე და შენს სიზმრებს – ლამის მსახურებს
 უფსკრულში გვჩეხავს გონება ბრძენთა
 და მარტოობის საბანს გვახურებს.

აღარ ანათებ რატომღაც მზეო...
 შენს მუხლებს ზეცა თუ თავს მიადებს,
 მკვდრთით აღვდგები ასე უმწეო
 და შევერევი სხვა განთიადებს.

გედი ვარ, ახლა ბოლოჯერ ვმღერი,
 ჩემი ხმა ტბაზე გაისმის მწარედ,
 დულს ნვიმისფერი ლანვზე ჩანჩქერი,
 სიკვდილს მპირდება ყინულის მხარე.

ვკანკალებ მარტო სადღაც, სიცივით,
 გულში აუხსნელ ცეცხლად მედები,
 სადღაც გაფრინდა ჩემი სიცილი,
 სადღაც გაფრინდნენ თეთრი მტრედები...

ლანვებზე ცრემლი ნვიმას აპირებს,
 კახეთი, ლამე, ქარი, დებოში!...
 მე კვლავ ვედები ნაცნობ ნაპირებს
 მარადი გლოვის თეთრ სამეფოში.

მე მემღერება 14.05.2011.

(20 წლის მარიამ კასრაძეს, რომელიც ერთი წელიღა დარჩა
მინაზე...)

მე მემღერება! მინდება უკვე,
შენთან დავბრუნდე ზღვისფერ ამბორად,
შენსკენ ბილიკებს მინდა, გავუყვე,
ავივსო ქრისტეს სისხლით ამფორა,

მდულარე ცრემლი გწმინდო თითებით,
შენს მწუხარებას მინდა, შევება,
ვიცი, სიშორეს შევეჭიდებით
ჩვენ, სინანული და მიტევება.

ნუთუ, არ აღწევს სიტყვები ცამდე?
წერილს გავატან ქარის სიკეთეს,
მინდა, სახლს ვგავდე, იმ მადლის ჩამდენს,
სადაც მერცხალი ბუდეს იკეთებს,

47

სადაც გულებიც მტრედისფერია,
მხარზე სხდებიან როცა მტრედები,
ვიცი, გედები რაზე მღერიან,
ოქროს ალაყაფს როცა ედები!

მითხარი რამე! მე ვწერ და მჯერა:
შენც წაიკითხავ რძისფერ სტრიქონებს,
შენამდე აღწევს ჩემი სიმღერა,
ალარც ტირილი არ გაგიგონებს,

გაიშლებიან შენს წინ ნოტები
მწვანე მინდვრებად, უღრმეს ხევებად
და შენს წინ გზებად გავიტოტებით
მე, სითბო, ხსოვნა და მიტევება!

აჭარაში ვარ!... აქა მშვიდობა!
 მიმაქროლებენ თეთრი ზრახვები,
 სულ არ მჭირდება ახლა გიდობა,
 გზა სადაც ნავა, მეც იქ გავყვები.

სამხრეთისაკენ მივქრევართ სადღაც,
 რა გავაკეთო, ვფიქრობ ამაზე,
 მკერდში რომ გული დაინყებს ფართხალს,
 სულს რომ დატვირთავს სხვა სილამაზე.

აი, თენდება და მე მგონია,
 შორს წერტილივით მოჩანს გონიო,
 დილას უღიმის ეს ჰარმონია
 და ქრება ღამე უჰარმონიო.

ნინ, ჰორიზონტზე ჩანან გლეხები,
 ღიმილს ასახავს მათი იერი,
 მე მათ ნაფერებ ყანებს ვეხები
 და ვგრძნობ – მათსავით ვხდები ძლიერი.

იქ ხომ არ ისმის გველის სისინი,
 სადაც სიცოცხლის მწვანე ღერია,
 მხოლოდ ახლალა ვხვდები, ისინი
 მუშაობისას რაზე მღერიან!

როგორ ამშვენებს მწვანე მხარეში
 ზღვას, ცას და მიწას ლურჯი თვალები!
 სადაც სიცოცხლის ტკბილი თარეში
 არ იმუქრება გარდაცვალებით!

მე შუალამის მაცოცხლებს ჩრდილის
ანგელოზურად თვალის ბრიალი,
შრიალი ქარის, ტალღები დილის
და ილუზიის მემორიალი.

აი, ვიგონებ: ცხოვრობდა ვინმე,
ერთი უცნობი, ჩუმი პოეტი,
იყო მდიდარი, სველი და მძიმე
მისი სამყაროს ღრმა მარტოეთი.

მას თეთრად გრძნობდა ხმაური ლამის,
მასში ბურუსს რომ ღამე ეთია,
რადგან სითეთრე მისი ბალღამის
– მისი სამყაროს მარტოეთია.

მე ვდგავარ მინაზე შეგინებულ
და მაინც, სამშობლო ტიტანია,
ატირებულ ფიქრში მეძინება,
ვაისმის ქვითინის ლიტანია.

ღმერთო... ჩვენი ძმები, ჩვენი დები
ვარბიან საზღვარგარეთ ამ მინიდან...
მუჭით მინის ზიდვას ვერიდები,
მინა ცეცხლით მტერმა გაგვიზიდა!

აისი გაშავდა. იმედიდან
მზეა, მთების მიღმა ჩამავალი,
ოდესლაც ზეიმზე მივედი და
ვიხილე ნიღბების კარნავალი.

ადამიანო, თურმე რას გავხარ,
ძეო ადამის, ძეო ქალისა,
რა გრძნობით უსმენ შინაგან ხარხარს,
დემონები რომ გავიხალისა?

შენს თავს შეხედე, ასე აღრენილს,
შავი ცხელების რა გაძლევს სტიმულს,
პატარავდება ტყავი შავრენის
და ბოლმა გძიძგნის ნერვებდაჭიმულს!

სად არის კოშკი, მკვიდრად ნაგები,
ან სიანკარე ცივი წყაროსი,
რას ეტყვი შენს თავს, ნაძაგდაგები
სული, გაზრდილი სხვა სამყაროში?

ჰა, მივხვდი, რატომ ქრის შენში ქარი:
გულს ცეცხლი ეკლად თუ არ ესობა,
ალარც შიგნიდან გესმის ხარხარი
და არც სულს გიკლავს უარესობა.

ღამეა. ახლა მესმოდეს უნდა
ჟღერა ნიკესი,
მაგრამ ყელს ისევ აწვალეებს გუნდა
უსასტიკესი.
ქარმა მაჩუქა საჩუქარი და
მიაქვს ქარს კვლავ ის,
ოთახში მორბის ღია კარიდან
შუქი ვარსკვლავის.
მიყვარს სიზმარი, თუ მჩუქნის იგი
თავში ნაძერწ ქალს,

ჩემს ზღვაში ისევ დაცურავს ბრიგი
– ელის ნაპერწკალს,
რომ მოიაროს უცნობი მხარე
ყველგან და არსად,
სადაც წარსულში თავი დავხარე
ტკივილის ფასად.
მე მომავლიდან სიმღერა მესმის;
როგორ მელოდა!
ავნოთ ჭიქა, დრო არის შესმის
სადღეგრძელოთა!
მახსოვს დუელი წვიმის და ქარის
სადღაც მთვარეზე,
სინათლე სულში?... ეჰ!... აღარ არის
მოასპარეზე...
სიყვარულს ცვლიდა სიძულვილი და
სიძულვილს კვლავ ის,
ცას არ ვუყურებ; გაქრა დილიდან
შუქი ვარსკვლავის,
მე ისე მიყვარს, რომ დილას ღამეს,
ღამეს დღეს ვადრი,
მე ველი! ახლა დაითვლის წამებს
წუთი ნანატრი.
თავს ვეუბნები: „ასეთ საღამოს
რა შიშით ელი?!“
ცაზე კი დაქრის დაუსაბამოდ
რაში წითელი.
არ მსურს წარსულის ტკივილთან შებმა,
მასველებს ტრავმა,
შენდობა მითხრეს მწარე წვიმებმა,
სახის მკანწრავმა.
დილით, თუ ღამით, სურვილებს ხევდა
ჟღერა ნიკესი
და ყელს მიღრღნიდა წარსულის სევდა
უასპიტესი.

ყურში სურვილმა ჩამჩურჩულა, ბნელმა და ბერნმა
 – სახელმობხვეჭილს რომ ვგავდე მეფეს,
 ხანდახან მიწევს ჩემს გარშემო სხივების შეჭმა
 და ჩემში მკვდართა ჩრდილები ყეფენ.

ბშირად უძილო ქანდაკება ქუჩის კუთხიდან
 ვედრებით მაპყრობს ხელებს, გათოშილს,
 არ მენანება წარსულისთვის ქვეყნის ფურთხი და
 სამართებელი მყრალ ყანყრატოში.

მარადიული კომმარების ვატირე დედა!
 ტანში დაგამტვრევ ტირილის რტოო,
 ვკვდები და წიგნის საქმოსნებთან საგანძურს ვხედავ,
 მე კი გარიყულ ლექსში ვმარტოობ.

52

კალმური

22.03.2008.

ბნელოდა მაშინ, სამარიდან როცა აღვდექი,
 ვარსკვლავთა მძივი ცახცახებდა, ეს გული როგორც,
 მე როგორ წავალ ამ სიცოცხლის წინააღმდეგი,
 თუ გამომთელებს დამსხვრეულ კოკორს?

წინ ნაბიჯები! და რას ვხედავ? მე თურმე ჩალით
 გადახურული ეს ქვეყანა მეგონა როცა,
 გულების ნაცვლად მე ვიხილე კლდეები სალი
 ცრემლად კი ჩქეფდა უუნარო ცა!

მოეთრა ქარი... ნამში უნდა მტვრევის მოსწრება,
 ხმა დახტის ძვლებში და განთიადს ჯერ ვერ ესწრება,
 წვალობს მახვილი... აქ ღრუბლები ჩანან მონსტრებად
 და დაქრის მათი გაორკესტრება.

დავფიქრდი: იქნებ, მივტრიალდე მე სამარისკენ,
 იქნებ, მე გული რომ მგონია, მკერდში არის ქვა?

რალაც ძალები მენეოდნენ: „მიდი, გარისკე!“
და დავეთანხმე: „ჰო, ღირს გარისკვა!“

ვიდრე ბოროტის მახინჯ მხრებზე ბურთი ერთობა,
ვიდრე უფალი ცათა შინა სიცოცხლეს მომცემს,
ვიბრძოლებ! ავთან კალმით მინდა ურთიერთობა
და არ მწამს ფიქრი უაზრო ომზე!

თუ კვდება თვითონ სილამაზეც, ასე მაღალი,
ხომ დაგვიტოვა ხელოვნების ნიმუში აგრამ?
ხომ მნახველების თვალს იტაცებს ეს ტაჯ-მაჰალი,
მაგრამ... მაინც ხომ არსებობს „მაგრამ“?

ფრთებს ვკეცავ, რათა დავინახო ჭაობის ხინჯი
და ღამით, როცა მუქმავ ღრუბლებს ასდით აღმური,
ბრძოლის ქარცეცხლი შუბლს მიგრძობს, მშვიდი და დინჯი,
ფურცლებს კი არხევს ცეკვა „კალმური“.

53

გადავეშვები გამჭვირვალე ჩანჩქერის იქით,
ქვეყნის სიჭრელე რომ ვისუნთქო... შევიგრძნო გენი,
რომ შხამიც, სისხლიც და ოცნებაც ვიგრძნო მუსიკით,
ან როგორ ხატავს ტაიტს გოგენი!

იქ, თეთრ ზღაპარში, ღამე ბურუსს უსინჯავს გემოს,
შვიდფერად ვხედავ სიყვარულთან მოჩურჩულე ცას,
იქ მღელვარება ველარ იცდის და მახინჯ დემონს
მათრახის ტარით კბილებს ულენავს.

იქნებ, იმიტომ დავიბადე, რომ იმედები
დამსხვრეულნი რომ ყოფილიყვნენ, უნდა ვამთელო?
იქნებ იმიტომ ინვიხარ, რომ სულში მედები
ჩემი სიცოცხლის ნმინდა სანთელო?

იქნებ, სიცოხლის იმიტომ ჭირს ჩემს გულს მანია,
ჯერა, რომ კიდევ ეხებიან შენი თითები?
ღვთის გულისათვის, ჩემი ჯილა ეკლიანია,
არ მომეკარო, დაიჩხვლიტები!

მლეგი დილეგი. თეთრ თითებში ჭახჭახებს ჭრაქი.
ზარი ზანზარებს, მნახველი მრავლის.
ათინათიდან მოდის ლოდის სარკის რაკრაკი,
ხავერდოვანი ხაოდა ხვამლი.

ფრჩხილებდაკვნიტილ შუალამეს ისევ ვეძახი,
რძისფერ თვალელებში დაცურავს ჯვარცმა,
ლაბირინთივით გაინელა ენის ვენახი
და კელი რთველის სიმართლის მარცვალს.

გათინათდა მთვარე გარეთ, მზარავდა მზე შინ,
ბლავის ღამეში შავი კამეჩი,
ალილუია! ილივლივებს ღელეში ღეში,
დღე ღრეობს ღამის სიკამკამეში.

54

ბრმა ვარ, თუ შავად ვხედავ სცენებს?... ვფიქრობ ყირიმზე,
ვარ მოზიარე სისხლის გუბეთა,
ინგრევა ზეცა, ჰორიზონტზე ცურავს ვირი-მზე,
ძარღვებს დაშრობა რომ გაუბედა.

იბუნდოვანებს ნილაბს დათვი! ხილვა მინდება,
რა შეუკვეთა მომავალს კაცმა...
და ისევ ბრწყინავს ცაზე ავდრის გაამინდება,
რადგან გვახსოვდეს გოლგოთის ჯვარცმა.

უსალომეოდ

11.09.2013.

(სალომეს)

წყარო ფიქრების. აივსება ახლა ამფორა
ზურმუხტისფერი წვეთებით მლაშე,
მოგიახლოვდა ჩემი სუნთქვა და გეამბოროა,
რომ მარად ვიყოთ ერთად მე და შენ.

არც დროს და სივრცეს შეუძლია ჩვენი სიშორე,
ვერ გააჩერებს ლტოლვას საათიც,
ვერც ნელინადი, საუკუნე მოდირიჟორე,
დრო შენს გარეშე გადის ტაატიით.

ვერაფრით დავთმობ ჩემს ოცნებას, იცოდეს სივრცემ
და დავაკვდები, როგორც რომეო,
რაც მაქვს და არ მაქვს, ცხოვრებას და სამყაროს მივცემ
და ვერ ვიცოცხლებ უსალომეოდ.

მუხა

13.01.2014.

მუხავ, მდუმარე გოლიათო, გვირგვინო მინის,
შენი შრიალი და ტოტების ოდნავი რხევა
მასუნთქებს, მავსებს და მიბრუნებს დაკარგულ სიცილს **55**
და მეც – კაცის ძე, შენს გვერდით, ხე ვარ.

შენ მარიამის ქვეყანაში იდგამდი ფესვებს,
სისხლის და ოფლის, ისტორიის მომსწრე ხარ ჩვენი,
გინახავს, ირგვლივ მახვილებმა ცეცხლი რომ შესვვს,
გინახავს ველზე ქართული გენი.

შენ მხოლოდ დგახარ დიდებულო და შენს სიბერეს
თავზე არ გვახვევ, არც ჩივიხარ შრიალით, მუხავ,
შენი სული კი ენით უთქმელ სიღრმეს იფერებს,
გულში იმარხავ სევდას და ნუხარ.

ქართული სულის ორეულო, შენს ფრთებს გვაფარებ,
გვიცავ ავდრისგან და ზეციდან დაბლა გვიყურებ,
ათასწლოვანი გააცოცხლე ყველა ზღაპარი,
ყველა ლეგენდა ფანტასტიკური.

კაცს როდი ძალუძს, რომ დაგრგოს და ახვიდე ცამდე,
ღმერთმა იღვანა ასე ჩვენთვის ნამდვილად ციდან,
შენი ჭირიმე, ჩემი რწმენაც შენს ტოტებს გავვდეს
და ჩემს სიმძიმეს ღმერთამდე ვზიდავ!

ახლა შევდივარ სიღრმეში მღვიმის,
 ხმა მოდის, მუნჯი, ყრუ და უხეში,
 ყრუდ მეცემიან ნვეთები ნვიმის
 და ვეძებ ჩრდილის ლაბირინთს და გავრბი კუთხეში.

მან მოიარა მკვდარი უბნები,
 თვით ჯოჯოხეთიც დაღეჭა თითქოს,
 ხმაო, მე რატომ არ მეუბნები,
 გვირაბის ბოლოს რომ ვიპოვი მენამულ დისკოს?

შენ გამიტაცე შორეულ შიშში,
 მე – ეულ ხომალდს, დამხვდნენ რიფები,
 თითქოს მაბრუებს ახლა ჰაშიში
 და ალბათ, ნამში კოსმოსის მტვერს შეგვეთქვიფები.

56

ის, რაც ანთია, ჩემს თვალწინ ქრება,
 რაც გამქრალია, თითქოს ლანდია,
 სულ სხვაგან მითრევს ფოთლების კრება
 და გაბრუებულ სულში თითქოს ცეცხლი ანთია.

ვერ გამიგია, თუკი ასე ვარ,
 სამოთხის კარი რად არ იღება,
 ვერ შემაშინებს მგლების დასევა,
 ჩემი სიკვდილის არ მალეღვებს დათარიღება.

რისიც მჯეროდა, ახლა ლანდია,
 მიღება არ მსურს მაგრამ უარის,
 ჩემი იმედი ისე ანთია,
 როგორც ღამეში წყვილი თვალი იაგუარის.

დავინყებისთვის ჯერ მზად არა ვარ,
 არ ვარ ნაწილი სატანის მრევლის,
 ის ხმა გაქრა და ჟღერს შემზარავად,
 ის ღუმს და ისმის, მიყვარს, ვძულვარ, ვლოცავ და მწყევლის.

ხმაო, სადა ხარ, ჩამეკარ მაგრად
 და შემომხვიე თეთრი მკლავები,
 მინდა ღრიალი, პირს ვაღებ, მაგრამ
 ხორხიდან მოხტის ღამეული ხმა საფლავების.

გამქრალო ბალის ნაკვალევო, გისმენ, მითხარი,
იქნებ, შენ არ ხარ ისე მარტო, აქ შენში თუკი
ენტება ღამე, ლორწოვანი და საზიზღარი
და განთიადებს უქრებათ შუქი?

რატომ ივსება შენი სული უსაზღვრო შიშით,
რატომ მინდება შენს ხილვაზე ფუნჯი, მოლბერტი,
რატომ ვჩურჩულებ ირეალურ სიტყვას: „გამიშვით!“
შენი ღალატით ხომ არ მოვბერდი?

ხომ არ ინანებს შენს გაჩენას ქალღმერთი რეა?
მას არასოდეს უტირია! თუმცა, შვა ბევრი,
მაგრამ, ეჭვი მაქვს – ჩემი რწმენა ალბათ, მცირეა
და შენი ტევრი – ჩვენი შედევრი.

57

არ იყო ვითომ შენი ხილვა დროის გართობა?
ან, საზღვრებს მიღმა თავის ცნობა რატომ ემხობა?
ჩემი ბედია იქნებ, ბედის უკუღმართობა,
ჩემი ხელფეხი – უხელფეხობა?!

დღეებო სიმწრის, თქვენ მასწავლეთ, რომ ჩემი ბოლო
ტკივილი არის უბოლოო... ბინძური დრო შვით!...
მე გეკითხები, ჩემო სულო, ასე ობოლო:
რა გართობაა გართობა როშვით?!

მე ისე მინდა, რომ გამოვჩნდე ხილულის მიღმა...
მე ბავშვობიდან დაუღლეღად ვფიქრობ ამაზე,
დავკარგე რიხი, საბოლოოდ დამკარგა რიხმა,
რადგან ვიპოვე სხვა სილამაზე.

სცენას ამდიდრებს მოსისინე, ორკაპა ენა
და კოცნის ფრთოსნის დალორნილი ქორნილის ღამეს.
ტვინის უფრედებს თქვლევს აფთრების კივანა ღრენა,
გაკრული ხელით კომმარები სპექტაკლებს დგამენ.

ფრთები მკვდარია, დალენილი ფრთები მკვდარია!
ჯებირებიდან მოჩქევს ზღვათა სისხლის აუზი,
თქეში, წარღვნები! გავურბივარ ცულისტარიან
სახეს და ვიცი: ახლა დროა დიდი პაუზის.

რამ გადარია ძარღვდამსკდარი ჩვენი არღნები?!
ხუნდებით ხელებდაგრეხილი ვანვალეხ ხუნდებს,
ძვლებდანგრეული გრიგალივით დავიგრაგნები
და თვალს ვადევნებ შორს ქათქათა მტრედების გუნდებს,

58

გაფრენილს სადღაც!... დაჩოქილი ვუსმენ დაბლიდან
უდაბნოების დამფრთხალ ხარხარს, მესმის, დრაკულამ
მომავლის სახე ღრმა მღვიმეში როგორ დაფლითა
და როგორ შესვა ბასრი ლოცვის ზღვა ვერაგულად.

სადღაც სისინებს გველი ჭრელი, ბერნი, ბოროტი.
დარაბებს მიღმა დამტვრეული რტოები ყარეს,
ქვენარმავლები ვერ ხარობენ თავის სოროთი
და განთიადის გულისრევა ეწყება მთვარეს.

ეს იყო მაშინ, რომ დააბეს ღამე შიშებთან
და იწყებოდა გათენება თვითონ ღამეთი
და უსამართლოდ დამწყვდეულებს ვერ აგიჟებდა
სიავე რკინის გისოსების, სადაც ცამეტი

ჯალათი ყავდა თითოეულს! ჩეხავს როიალს
ხმა ოთახებში, გამყინავი, ველური, გიჟი.
ძვლები ემტვრევა ბერნ ცხედარში პარანოიას
და ცაში აღწევს აკივლებულ მინიდან შიში.

ააააა! რა აყეფებთ, უკვე მე ვიცი
ყვითელი სითხით აყროლებულ დარაჯებს, ჩია,
უდასასრულო ვისოსების! მათი დევიზი
თქვლევთა კაცთა! ტვინში ვუსმენთ კოცონის გნიასს!...

თავის ქალაში აღრენილი ჯოჯოხეთია!
აქ რიკულების რკინის ტევრი სავსეა ლიქნით,
ღრმა სიცივით და გაყინული, მზინავი დროით.
ვინმეს აღელვებს გაბლანტება წითელი სითხის?!...
მე გეუბნებით, დამწყვედულთა შორის კარგებო:
ჩემში უკრავენ თქვენი არღნები.

ლანდი

01.09.2007.

59

ტკივილს მაყენებს უიღბლობა წარსულის მხოლოდ...
ალბათ, მოდიხარ მარტოობის მწარე ჯაშუშო,
გინდა, მაქციო ყინულის ლოლოდ,
აცრემლებული მოგონება რომ მოაშუშო!

არ მიხუნდება სურათები: – მირაჟი, ევა,
ყურში მინივი რეპტილიის ავო სისინო,
ეს შენ გინდოდა ნალკოტის მტვრევა,
ჩემს ნაშიერთა სისუსტეზე რომ გაიციინო!

მიდიხარ?!... ნადი... ნადი ევა, ჩემო ნანოლო,
ხომ დამიტოვე ჩუმი ლანდი, როგორც ზღაპარი?
ღმერთო, ეს მაინც არ მომაცილო,
არ დამიტოვო წმინდა განძი მიუსაფარი!

არ გვიბრუნდება ერთმანეთში სული, ვერც body,
როგორ უწყალოდ ისმის შენი ხარხარის ექო!
მე უბალობას ისე ვებრძოდი,
არ შემიძლია, ძილში შენს ლანდს რომ არ შევეცხო!

ურჩი ურჩხულის დაკრუნჩხული თითების გემო
ვიგრძენი მე და
ვთქვი: „რატომ გძირავს მოძაგდაგე დიდების გემო
ცრემლი და სევდა?!“

ვანყდები კედლებს ლაბირინთში, ჩემი სახლია,
ის არ გავს მარჯანს,
ყეფა მოისმის საიდანლაც, სადლაც ძალღია,
თავი კი არ ჩანს!

ურჩი ურჩხულის მოლანდება, გონჯი, ავი და
ნაქცევა შიშის,
მაშინებს ბოლო, თუ სიზმრებით ცამდე ავიდა
კვამლი ჰაშიშის!

ცეცხლი ფრთოსანი დრიადების, ლურჯი ლანდები,
ტბები გიჟმაჟი,
ჩვენ მათ უსაზღვრო სივრცეებში ავფრთიანდებით
– მე და რიჟრაჟი!

სადლაც სულს ლაფავს აკივლებულ ტყეთა ქაოსი,
აფრთხობს ნადირებს,
სადლაც ქალისთვის ახლაც იბრძვის მენელაოსი,
ტროას ატირებს,
საუკუნეთა ფერფლის ნამარხს დღეს გამტაცებლის
ადევს იერი,
გატაცებულო, ნუთუ გყოფნის სიცოცხლე პეპლის
შენ მშვენიერი?

გქვია ელენე დედოფალო, მე კი კაცი ვარ,
ვიომო უნდა,
მიმტოვებულო, მე მოვდივარ, სად ხარ, აქ ცივა,
მზის მომე გუნდა!

თავი ანე დედოფალო, ჩვენში შენდება
ახალი ტროა,

ჩვენ გადავაქცევთ სამყაროში ყვავენს გეგებად,
– სიცოცხლის დროა! სიმღერის დროა!

ცა აღარ ჩანს, თითქოს დევმა შეატყორცნა ცას ქუდი,
კამეჩივით ღმუის ქარი, დანკაპუნობს ნვიმა,
დედამინამ ჩამოიხსნა თეთრი მთების აზღუდი,
ხალხი გარბის, თითქოს ციდან დოლაპები ცვივა.

ბნელ ჰორიზონტს დაენმინდა ჰორიზონტი ლაპლაპა,
კლდეებიდან მოჩუხჩუხებს წინაპართა წყარო,
სააქამო უხილავი საიქიო ჩაყლაპა,
ლურჯ მწვერვალზე მთის ჩანჩქერიც ამოხეთქვას ჩქარობს.

კიდევ უფრო ქვესკნელიდან ამიზიდა იზიდამ,
ოსირისის ალაყაფი მღებარეობს ვიდრე,
ლექსად მოვალ საკუთარი სულის პარაკლისიდან
და ხარხარა კუდიანებს სულ კუდებით ვითრევ.

თავს დავუხრი მშიერ სტუმარს, თუ ტორები ჩამინო
ჯამში, სადაც მოათავსა ღმერთმა ჩემი სარჩო,
სარეცელში მაჯანჯღარებს ხილვა უდედამინო
და მინდება, უჯრედებში პოეზია ვხარშო.

მე სხვადასხვა ფერს ვამატებ ყორნისფერში შეზელილ
რძეს და მინდა, ცისარტყელა ამშვენებდეს ეკრანს,
სამუდამოდ უარყავი მოვერცხლილი ღვეზელი,
რომ სიმშვიდის ოკეანე ჩემს ცხოვრებას ეკრას!...

ჩემზე ამბობენ, რომ სიცილი საქმეა ჩემი,
მე კი მინდა, რომ ერთი კაცი ვიყო უბრალოდ,
მინაზე ვგდივარ მარტოობის ფრთებით ნაცემი
და ტირილისთვის ბავშვად ყოფნას ვნატრობ უფალო.

გოგოს, რომელიც თვალთა კედლებს შერჩება მარად,
ერქვა ქაოსი. ახლაც ქვია ალბათ, ვინ იცის.
მიუზნდომელი მზე უკრთოდა ციურ კამარად
სააქაოსი.

აისის ფონზე ჩვენ ვუსმენდით პლანეტის სიცილს,
მან ბაგეებით შემასწავლა სიცოცხლის აზრი,
მე გვედრებით დარბაზებო ჩემი უფიცის,
– ნარსულს შეებით!

რა ვქნა, მაღლიდან რომ მომაპყრონ თვალეზი ბასრი
თეთრმა ლანდებმა? რომ აყვავდნენ კვლავ ალუბლები?
ვიდრე დამლლიდა, მივატოვე მე ბნელი კასრი
და მზესთან შებმა!

რა ვქნა თუ ცაო, კიდევ ერთხელ მოიღრუბლები?

გველის ჟინია – ჯერ სულს შხამი სიტკბოდ არ უვლის,
არ სურთ მხოხავეებს, ჩვენ რომ გავხდეთ ჩვენი უფლები,
არ მეშინია!

ქრიან ნამები ვარსკვლავების ჩუმი მარულის,
არ აქვთ ილბალი მზის ნანწავეებს – ოქროს ლიანებს,
ვარ ნანამები, მეშინია ამ სიყვარულის,
მტოვებს იმედი!

რა უნდათ ფიქრებს, საით ითრევს მოდილიანებს
შიში სიკვდილის, რად მოდიან შენს ცხოვრებაში?
თვალეზს, წვიმისფრებს, რად ხატავენ ასე წყლიანებს
ფუნჯები დილის?...

გალვიძებისას ვუბრუნდები მძინარე ბავშვი
მენამულ ლანდებს, სული უფრთხის განაჩენს მწვავეს,
მწვავენ კოცონზე, როგორც ბრუნოს მდუმარებაში
– დღე სიკვდილს ბადებს.

დღეს რეალობა ხალას სიზმრებს ასე აწვალებს,
დღეს მე მსხვერპლი ვარ მემუარის – შენი უარის
და სილამაზით გადაშხამულ წვიმისფერ თვალეზს
დავუფერფლივარ.

თუ გასაფრენად მომზადებულ ამაყ მთის არწივს
 სივრცე არ ყოფნის მთიან ველებად,
 თუ სველ ჰორიზონტს, ან უდაბნოს, იქ, სადაც არ წვიმს,
 მშრალი სიზმრები ემეტყველება,
 გრძნობს დედამიწა, წარმოსახვას სულს რა დაუღევს
 და კლდეს გაფატრავს კვნესა ტუსალის,
 „ხვალე“ ხარხარით გააღვიძებს მახვილს აუღესს,
 მისი ჭახანი ომს თუ უძახის.
 ომო, რომელსაც გქვია ფიქრი, მახვილო – მტრედო,
 თქვენ ფერს შეუცვლით შავ კლდეს, ფრიალოს,
 სწორედ ფიქრია ჩემი ჩუმი ცხოვრების კრედო,
 რომ ფანტაზია ამიღრიალოს.

კელაპტრის გოდება

15.02.2014.

მომავალში, როცა წავალ და დამრჩება წარსული
 ჩემი ხვალის მოვალე, მოვიშორებ ლოდებს,
 ჭირისუფალს განიზიდავს ნეშტი წვერგაპარსული,
 ახლა კი ბნელ ოთახში კელაპტარი გოდებს.

მხოლოდ მუზის შეძახილებს რადგან ვემონები და
 რადგან ვეუმცროსები სიტყვას (ძილში მდევარ!)
 ქარიშხალი ამომიხტა მკვდარი დემონებიდან,
 შევამსხვრიე სალ კლდეებს ლამეების თევა.

თვალებიდან გავაძევებ ავი მზერით რეგვენ და
 ხეპრე ტურებს; ჩავნიხლავ ეკლიანი კომბლით,
 მატერიის ლეგენდამ კი ჩემში ვერ ილუგენდა,
 ჩემში თეთრმა მეტალმა ვერ დაღვარა ოფლი.

ყველგან ბევრი გავისროლე სიტყვა ლექსის კილოზე,
 ამაოა ბაასი, აღარ მკითხოთ, ვინ ვარ,
 ბევრი ვწერე და ვიფიქრე, ვიფხიზლე და ვილოცე,
 დროა, ამოიკითხოთ ჩემს სახეზე გმინვა!

ცეცხლის წრეში მთვრალ დემონებს გაემართათ თამაში,
მიმეგ ზურა მთის მწვერვალზე დილის სხივმა და მაშინ

ბრბოს შევხედე; ჩემს კუბოსთან ხარხარებდნენ ისინი,
ცეკვავდნენ და ჩამესმოდა ცხედარს გველის სისინი.

ბანს აძლევდნენ ტურ-აფთრები, იცვლებოდნენ კადრები,
სახის ფერი მხოლოდ ლურჯობს, ველარ გავიბადრები!

ხმები დადის, ჯოჯოხეთში რომ უდაოდ ნავალ და...
უეჭველად გავაცრუებ ჭორებს ქვენარმავალთა!

დამაჭედეს ბნელ კუბოში, სული ცისკენ ნავიდა,
ერთი წამით მიწისაკენ მოვაბრუნე თავი და...

64

ჰეი, მაღლა სამუდამოდ! ახლა ვეძებ მომენტებს,
რომ გესტუმროთ ჭრელ სიზმრებში! გესტუმრებით, მომენდეთ!

პროცესიის რიგში ვდგები, ჩემს დაკრძალვას ვუყურებ,
ჩემს საფლავზე აანთებენ ვარსკვლავები შუქურებს,

სუდარების სიქათქათე თვალს მჭრის, მარეტიანებს
და თქვენამდე გზებს დავეძებ, ბროლისკარეტიანებს!

ილუზიის მთის მწვერვალზე სულმა ფრენა იცოდა,
მე მიპოვის ისევ სივრცე, დრო და მარადისობა!

ცეცხლის წრეში თამაშობდნენ ხმები და დემონები,
მე სიცოცხლე როგორ დამლღის, მკვდარიც მას ვემონები!

მოცეკვავე ლანდეზი

19.11.2012.

(სალომეს)

მშვენიერო, სადა ხარ, ჩემთან რად არ მოხვედი,
მენატრები ძვირფასო, ჩემთან იყო ნეტავ,
უშენობამ შემინთო გულში სხვა ჯოჯოხეთი,
აქ შენ არ ხარ, მაგრამ ხარ, ვერ გხედავ და გხედავ.

შენს გარეშე ვერაფერს მივალწევდი, ვიცოდი,
მხოლოდ შენ ხარ უშრეტი ჩემი ძალის წყარო,
მძევალი ვარ შენი თმის, შენი მარადისობის,
რომ ლექსებში ანთებულ სანთლად ჩავიღვარო.

შენს წინაშე მარადი სიყვარულით ვინთები,
ვერ გავურბი სიზმრად ჩვენს მოცეკვავე ლანდეებს,
სამუდამოდ გამიღე ტრფობის ლაბირინთები,
რომ ჩვენს ლანდეებს სამოთხის ლურჯი წვიმა ბანდეს!

65

მონანიება

06.12.2011.

(სალომეს)

თეთრ ტაძარში ხატს თვალები ცხელი ცრემლით აევსო,
მკერდში რალაც ადულდა, ცხელი, როგორც ტყვია,
შემინყალე ცოდვებისთვის ღმერთო, უზენაესო,
რამაც ხორცი დაჯიჯგნა, სული შემირყია.

რა შორსა ხარ საყვარელო, გეძებ, გეძებ, არ ხარ და
არც შენი სიფაქიზე არ მეთმობა ჩემთვის,
მე აღარც ღმერთს არ შევჩივლებ, ეშმა თუ ახარხარდა,
რადგან მისი სიავე ჩემს ცხოვრებას ერთვის.

სად წავიდე, მე არ ვიცი, შენი ღირსი არა ვარ,
თუ დამტოვებ, დამტოვებს მაგრამ ალბათ, ღმერთიც...
რომ არ გავყვე კუპრის ტბისკენ მგლოვიარე ქარავანს,
რომ ეშმაკებს არ მივცე ეს ნაგვემი მკერდი!

შემიძლია ავამღერო ქალაქები, კალამი,
რომ გავფანტო ფანტაზია, ფანატი და უფერო,
მაგრამ არ მსურს, ვუფრიალო დემონს თეთრი ალამი
და ვერცხლისფერ ფიქრის ჩანჩქერს სული არ შევუბერო!

მძირავს ტალღა ტაიფუნის, ბორგვა თეთრი ნერვია,
ის მთვრალია, როგორც ღვინო, როგორც ძველი ჰუსარი,
რა ვქნა, რა ვქნა, სად ნავიდე, შიგნით მთქვლევს ენერგია
და ამთქნარებს პლანეტების ნარღვნით ნაბახუსარი!

მე განვიცდი ორთაბრძოლას ღამისფერი ღრუბლების
და აბსურდებს ასამართლებს ჩემი თეთრი ისარი,
მე ვიქნები ჩუმი მონმე ღამის გააღუბლების,
ალიონზე რომ გვესმოდეს ზეცის ნაკისკისარი!

66

მე სიყვარულს ტაშს დაუკრავ, დაგასველებ ბარათო,
დაგლლი, ჯერაც დაუღლელო თეთრი თრობის კისკისო,
რომ მახინჯი მარტოობა ველარ გაამარადო
და ფრთოსანი უკვდავება ლექსით ააგიზგიზო!

გინდა, ცაო, ვისაუბროთ მწუხრის ზარის რეკვებით?
ამღერება გინდა, როგორც ძველი ტაძრის გუმბათებს?
მე და ფრთები შენს ვარსკვლავებს დილით ავეცეკვებით,
ვიდრე მთვარე დაუღლელ სულს დაღლას არ დაუბადებს!

დავთვრები და ავმღერდები ასე: „ჰარი ჰარალო!“
ახლა ჩემთვის მეფის ტახტიც სამარეა პიტალო,
მარტოობის უფერობით არც შენ არ იზარალო,
ცხოვრებაა ლურჯი, თეთრი, შავი და მონითალო!

შადრევანის მთვრალი წვეთი უთეთრესი ბროლია,
ნაძერწ ქალის ნაპერწკალი მომეფრქვევა შუქებით,
არასოდეს, არსად გრიგალს ისე არ უქროლია,
ჩვენთვის რომ არ ეჩურჩულოს: „სიკვდილს არ ვეჩუქებით!“

ზამთარია, მცხვია, მცხვია, მეთოშება თითები,
დამასველებს როცა წვიმა, ყინვით დავიჩხვლიტები.

ჩემს ფანჯრებზე ისევ ჭირხლი, ისევ მთვარის თოშია...
ველარ ბრუნავს ძარღვში სისხლი და ყეფს, როგორც გოშია.

მაგრამ გაზაფხულიც მოვა, ჩათბებიან ბინდები,
ბარში მე და მთაში თოვა – ერთად ავლილინდებით.

თუ ზამთარი ეშმაკია, სიცივე კი – სასტიკი,
კვლავ გაქრება ეს მაგია, როგორც ბალის ასპიტი.

ჰა, მოზიდა სითბომ მშვილდი, ამწვანდება შიშველიც...
დეკემბერო, გააპრილდი, ვერაფერი გიშველის!

ჩემო სარკვე, მშვიდობით!

01.11.2014.

ვდგავარ მთაზე, მეხვევა გადარეულს თავბრუ მე,
ნეტავ, ნამდვილ მეგობარს მოვიპოვებ როდის მე?
თავი მინის ნიაღში შიშით ვერ დავაბრუნე,
ანარეკლიც სარკიდან აღარასდროს მომისმენს...

მე ძძულს სარკე! რას ვნახავ შიგნით, როცა ბლავიან
ირველივ მხოლოდ ხორცები, უგონო და უსულო?
ფარისეველის ნილაბი მუდამ ბატკნის ტყავია,
აღარ მინდა, ნილბიანს სურვილები ვუსრულო!

სტიგმატურო მწვერვალო, რადგან ჩემში აყვავდი,
ვიკეტები ოთახში, როგორც შლეგი ტუსალი,
ჩემო სარკევ, მშვიდობით! დედამინავ, ნახვამდის!
ვარ ეული, მახინჯი, უგულო და უსახო!

(21 წლის ოთო გურგენიშვილის მარადმწვანე ხსოვნას)

უდარდელი ოთახში ვეგდე, როგორც უგულო,
 მორბის მონიტორიდან ზარდამცემი ამბავი,
 თითქოს არის ქვეყანა ყინვით გადაბუგული
 და ლექსები პოეტის სულში ძაფებს აბამენ.

ირგვლივ ისე დაბნელდა, როგორც ფსკერზე მდინარის,
 თითქოს ირგვლივ ყოველი რკინის ღრჭიალს ისროდა,
 იდგა მხოლოდ სიკვდილი, ბრმა და დაუძინარი
 და თვალეში გაჩერდა წამის მარადისობა.

ჩვენც მანდ მოვალთ პოეტო, სადაც ბინა იხელთა
 შენმა სულმა... მოვუღებნეთ, სადაც ღმერთში ვენტებით,
 სამუდამო იქნება ხსოვნა ცისიქითელთა
 და ნათელ გზას გაკვალავ ხსოვნის ორნამენტებით!

68

გზაზე ვილაც წითური კაცი მიშენს კრამიტებს,
 ვიცილებ და თვალეებით წამში ვიღებ ამ კადრებს,
 თუ დაფიქრდი და მელნის ერთი ნვეითიც დამიტევს,
 რეალობის სიბილნე ველარაფერს მაკადრებს.

ცა დაემხო მუხლებზე, მთვარე თითქოს ქრაქია,
 მაგიდასთან მოვირგე მონადირის ტიტული,
 ბაღში ადგილს ვუმიზნებ, რადგან მძიმეტრაკიან
 ეშმაკს დავდევ, რომ მოვკლა ყოფნა პარაზიტული.

სულის მკვლელო აზრებო, ატყორცნილნო ზეცამდე,
 ნაღდად თქვენთვის იღწვოდა ბიბლიური ონანი,
 მინდა, ძვლის მათრახებით ღროის ჯავშანს ვლენავდე,
 რომ ფეხებთან დავიმხო ლუციფერის მონანი!

არასოდეს მალელებს რალაც გრძნობა უკანა,
მალლა, მალლა, სულ მალლა! მივინევ და ყოველი
რა საზიზღრად ეცემა, ბილნი და ვაჭრუკანა,
რა საოცრად ნათდება ცა, სინმინდის მთოველი!

ჩემი ყოფის მიზანი

14.08.2014.

ვიბადები იქ, სადაც ჩემთან ერთად ინთება
ჩემი ყოფის მიზანი და სიკვდილის ფობია,
გაინელნენ პნკარები უგრძეს ლაბირინთებად,
არ ვსაუბრობ, ვნერ, რადგან ახლა ასე ჯობია.

იგი ისე ლურჯია, იგი ისე ნათელი,
ისე მარადიული, როგორც დილის სიცილი,
გვიმზერს სასუფეველიდან მეფე გაენათელი,
ლამეც კვდება წარსულის ერთი ქალის ფიცივით.

ყველგან დამდევეს, იზრდება, ახლა ჩემზე დიდია,
მუდამ მასზე ვფიცულობ, მუდამ მისთვის ვგიჟდები,
ის სამყაროს მოიცავს, მისთვის ომში მიდიან,
მის წინაშე პირბასრი ბლაგვდებიან ხიშტები.

მისი მეცნიერებმაც არაფერი იციან,
მდიდარია და ძინავს ცულის პირზე ხანდახან,
ის ოდიდან მოდის და ჩემი მზედნაფიცია,
მისთვის ქრისტეს მხედრებთან მიბრძოლია მხარდამხარ.

იგი სიყვარულია! იგი არის ისეთი,
როგორც ღმერთმა გადასცა ადრე ბალში წინაპრებს,
მთელი მძაფრი ომებით, მთელი სიფაქიზეთი
რომელიც ჩვენ ედემში ისევ დაგვაბინადრებს!

ბნელ შუკებში დავდივარ, ბოთლით ხელში მივათრევ
მძიმე სხეულს, ვჩერდები, ვუმზერ ღრუბლის ხომალდებს,
მთვრალი უდედამინო სივრცის ვარ მობინადრე,
ხილვის მღორე დინება ვნატრობ, იქნებ, მომალდეს.

ვცეკვავ ძეგლის გარშემო, სადღაც, ქუჩის კუთხეში,
ვგრძნობ, რომ ყველა მიყურებს, მაგრამ არაფერია!
მასხამს თქეში, დამათრევს ქარიშხალი უხეში,
ჩავიმტვრევი კლდეებში, რადგან ქარაფებიან

კიბეს მიგავს ცხოვრება, სახე – უფრო უსახოს,
შლევ კარეტებს ვაჭენებ, ჩემსკენ ვქაჩავ აღვირებს,
მინდა, ისევ მშველელად თრობას რომ დავეუძახო,
ყვირი, მაგრამ არ ვიცი, ეულს რალა მაყვირებს:

70

ჩემი ესმის არავის! თავს მატყდება გენა,
გონჯი ხმები მშხამავენ, ვხედავ გველის ნაკვალევს,
მგლებო კრავის ქურქებით, ამომგლიჯეთ მე ენა,
თქვენი ყალბი ღიმილი ველარ გადამაგვარებს!

ვიცი, მარად იცოცხლებს ამადუო ჟანათი,
არტისტისთვის ტრაგიზმი აქილევსის ქუსლია!
ცრემლით გაიჟლინთება ყველა ძველი ბარათი,
მტირალ ტირიფს მარაო წიგნად გადაუშლია...

ვიჩოქები, მუხლების ყვლეფა ვიცი, მიშველის;
სინანულმა უძღებ შვილს ჭრილობები მობანა,
მეკანრება ბორკილის შიშით სული შიშველი:
ვშიშობ, რომ არ ავიდეს ტახტზე სულმდაბლობანა!

ფიქრის ლაბირინთებში რალაც ხმები მათრობენ,
სადლაც წითელ ლელესთან გამათრია ამბოხმა,
ყველა ძვალში მწინკნიდა წვიმა საკატასტროფე,
ანგელოზიც (ყოფილი) უძრაობამ დაბოლმა.

გახვეული გრძნობებში, ნეტავ, მეფე თუ არი,
ისე, როგორც პოეტი, როგორც ქუჩის მოხეტე?
შემიძლია, მოვპარო დუმილს რეპერტუარი,
დავიმსხვრიო მუხლებზე ცეცხლი საჯოჯოხეთე!

სულს ანგელოზს ედემში რატომ ვერ მიუტანდი,
ვიდრე ლექსთა ციხეში ჩაგაგდებდნენ მუზები?
ჩემი ზამთრის აღარ ვარ უკვე დებიუტანტი
და სამოთხის ჭიმკართან შიშით ავიტუზები!

მე ერთ ხაზზე დავდივარ თითქოს ჩემი ცხოვრებით
– კოცონის და სიცოცხლის! მოვიხვიე ლაბადა,
მხოლოდ ძველი გმირივით სიკვდილს ვემათხოვრები
და ვალმერთებ, ამ ბრძოლამ რაც ჩემს სულში დაბადა!

შემოდგომაა

19.06.2014.

შემოდგომაა და ყვითელი ფოთლების ვალსი
ეშვება დაბლა, კიაფობენ მთვარის კვირტები,
ნათდება მღვიმე, იშლებიან რგოლები წყალზე,
ვდგავარ და შორი ჰორიზონტის ფერს ვაკვირდები.

მე მიყვარს მოლზე ნოლა, როცა მტრედთა გუნდები
ფრთების ფართქუნით ხეთა ტოტებს ტოვებენ რიდით,
უძღები შვილი ჩემი ყრმობის სახლში ვბრუნდები,
იქ, სადაც მუდამ სიყვარული მომელის დიდი.

1

ერთხელ, ნადირობისას (დალლილი ვარ, მშვიერი)
 უსასრულო მღვიმეებს შევაფარე სხეული,
 იქ არ ჩანდა არც მინის, არც ცის დასალიერი,
 იყო მხოლოდ სიკვდილი, მახინჯი და სნეული.

უცებ, შიშმა შემიპყრო, ვთრთოდი რბოლის სურვილით,
 რომ გავცლოდი მღვიმეებს, მოცულს ბნელით, სიცივით,
 მაგრამ ვგრძნობდი უცნობის გემოს ცნობის წყურვილით
 და ქრებოდა ფობიაც ერთი ქალის ფიცივით.

მეფრქვეოდნენ ჰაერის დაშხამული ეკლები,
 უკან არ დავიხიე – არ ველოდი უარესს,
 მინათებდნენ ბილიკებს შორი მთვარის სპეკლები,
 ჩემს რწმენას და იმედებს რომ ვერ გადაუარეს.

72

ღრმად შევედი მღვიმეში, დაბრუნება არ მინდა,
 „იქნებ, ველარც დავბრუნდე?“ არა! არ მთმობს იმედი,
 აქ იზრდება მდინარეც, წარმოქმნილი ნამიდან,
 თითქოს მოვკვდი და ლეთას ნაპირებზე მივედი!

ახლოვდება რალაც ხმა, თითქოს ყველა პლანეტა
 იკრუნჩხება, ერთად ყეფს, ბორგავს მთელი მილეით,
 თითქოს სადღაც მიმაფრენს მითიური კარეტა,
 სადაც მხვდება ქაოსი, ცეცხლი, სასიკვდილეით!

დავინახე: ჰა, ზომბებს გაუმართავთ თამაში,
 ერთი, გვირგვინოსანი, წინამძღოლი ყველასი,
 ადამიანს არ გავდა, უფრო მხეცს აკლდამაში,
 ახველებდა მუსიკას და ცეკვაავდა ხველაზე.

ვდგავარ გაოგნებული, ვუყურებ და არ მჯერა:
 „ადამიანს არა გავს... მხეცია, თუ მაქცია?
 სადღა აღარ ვყოფილვარ... ახლა სად ვარ ამჯერად?
 მე – ყველაფრის მნახველი, ქვად რამ გადამაქცია?“

შიში მიპყრობს მეორედ, ახლა უფრო ძლიერი:
„ღმერთო, შენ დამიფარე!... აქ სად მოვხვდი იესო?
– კრიჭაშეკრულს სულს მირყევს ღრენა ხორხისმიერი –
სად ხარ მხსნელო იმედო, თუნდაც უპანიესო?“

ნელა ახლოვდებიან ცოცხალ-მკვდართა ბრბოები
და გულგრილად მიმზერენ... „იქნებ, უცხოდ არც მთვლიან?“
მათ თვალეებში რას ვხედავ? – ბზარი ამაოების,
ყვავის, რაც ჯოჯოხეთად უფალს მოუნათლია!

მათი ქცევით ვერ ვხვდები, რა ხალხია ისინი,
არ აქვთ ცოდვა, არც მადლი, არც ცრემლი, არც გალობა,
არც სიცილი, არც გლოვა და არც გველის სისინი
და უბრალოდ იღებენ, ცისგან რაც ეწყალობათ.

გავიხედე, სადღაა მღვიმეების ის ქერი,
გაიშალა ჩემს თვალწინ უსაზღვრობა ხეობის,
ეიფელი, კრემლი, თუ პიზა, ან ვესტ-მინსტერი,
სახეობაც არ არის რამე უსახეობის!

73

ხტის და როკავს ველურად გარდაცვლილთა სამეფო,
ხელებს მხრებზე მირტყამენ, შემომერტყენ ირგვლივ და
გულითადად მიყეფენ (სად ხართ ტკბილო გამებო?)
ვხვდები, რა თეორიით ჩავდგი ფეხი „ბიგლიდან!“

2

აი, ხმაც ამოილო უცებ მეფემ ნადირთა:
„ჩვენთან წამო სტუმარო!“ „არა“-მეთქი, ვპასუხობ,
ბრბო, აქამდე უგრძნობი, სანყალობლად ატირდა:
„ასეთ პასუხს ნუ გვეტყვი, ასე არ შეგვანუხო!“

„არ გეგონოს სტუმარო, სადაც სახლობ, იქ ცაა,
ყვავილები, ხეები, თავიანთი დიდებით,
ანათებდეს მზე, მთვარე, ან ცოცხალი მინაა,
ან, თუ მოკვდა სხეული, ცაში აიზიდებით!

აქ არ არის კანონი, მატერია, დრო, ფული,
არც მდიდარი, ღარიბი, გლეხი, მუშა, ვაჭარი,
თეთრი, შავი, დღე, ღამე, ომი კატასტროფული,
არც მაძლარი, მშვიერი, მამაცი, ან ლაჩარი!“

ვუპასუხე: „ფუჰ, თქვენი, რა ხალხი ხართ ასეთი?
(გავამაყდი, მივხვდი რა – არ ჭირთ რამე საშიში)
ჩვენთან სული მშვიდია, თქვენთან – საგნიასეთი,
ჩვენთან უკრავს ორფევისი, თქვენთან – შიშის კლავიში!“

მკვდართა მეფე ჩაფიქრდა, როგორც მეფეს შეფერის,
მიპასუხა მეფურად, მშვიდად, მტკიცედ, ამაყად:
„თქვენ, ცოცხლებო, სახე გაქვთ მხიარული ელფერის,
თქვენს სულში კი, ვინ იცის, ვინ რა ტანჯვა დამარხა!“

74

ჩვენ არაფერს განვიცდით, თქვენ არ გვავართ – თქვენ ტირით,
თქვენ იცინით – არც მაშინ არ განვიცდით რაიმეს,
თუ სიყვარულს ასხივებთ თქვენი წყვილი წრენირით,
შიგნით ბორგავს და კივის სიყვარული „ვაიმეს!“

რა ფასი აქვს სიყვარულს, თუ ვილაცა გძულს კიდევ?
წმინდანივით საუბრობთ, ცოდვები კი თქვენშია,
ნეტავ, მაგ სიამაყეს რა განიჭებთ უდიდესს,
როცა თქვენში სიკვდილი ეშმაკს დაუგეშია!“

ვუპასუხე: „ფუჰ, თქვენი, რა ხალხი ხართ ასეთი?
ან რას ბოდავ უსულოვ, როგორც ქვაო და ძეგლო,
ეს თქვენში ქრის გრიგალი, ნარღვნა, საგანგაშეთი,
ჩვენ – ხალხი გვყავს ისეთი, ღმერთთან მოანარეკლო!“

მითხრა: „ადამიანო, ხორცო, დღემდე ცოცხალო,
ჩვენთან წამო, არ გინდა ნუთუ ჩვენთან დარჩენა?“
მე შევძახე: „გაჩუმიდი, რა გვჭირს ჩვენ სამონყალო,
არ გესმის, რომ სიცოცხლე ღმერთმა გვიგანაჩენა?!

თქვენთან რა დამრჩენია მკვდარო, მხეცო, ნადირო?!
არაფრის ვნამთ, ქვები ხართ, უნუგეშო ლოდები,

ვეთაყვანო ჯოჯოხეთს და სიცოცხლე ვატირო?!
მე ვიცოცხლებ და სიკვდილს მშვიდად დაველოდები!“

მითხრა: „მინას, ცოცხალს, მკვდარს, უცოდველს და უმადლოს
ასე რატომ გაურბი, ან ჯოჯოხეთს ვინ არქმევს?
ხალხს დღე მარადისობად ცამ რომ არ მოუნათლოს,
დავინყება ჩაგძირავთ ფსკერზე, როგორც მძინარ ქვებს“...

ვუპასუხე: „ფუჰ, თქვენი, რა ხალხი ხართ ასეთი?
ჩვენს სულშია მუსიკა, თქვენს სულშია ნიოკი!
ჩვენ ბალებით ვამაყობთ, მწვანედ მოხასხასეთი,
თქვენთან – უდაბნოები, ველური და ხრიოკი!“

3

„მერე რაო? – მომიგდო – მაგის გჯერა ცოცხალო?
ნების ილუზიაა ის, რაც ბალი გგონია,
შენს უბადრუკ ცხოვრებას, გირჩევ, არ ემონყალო,
თორემ, ბოლოს დაგტანჯავს შიში და აგონია...“

75

სატყუარად, იცოდე, ვერ მომიგდებ მაგ „მირონს“,
სიყვარული თუ არის, რად სურს, შური იძიოს
„კაცთმოყვარემ“ კაცზე, თან, საქმეს არქმევს საგმიროს,
თუმცა, იცის თავისი კარი ამ საიქიოს!...“

„ველარ ვიტან შენს ბოდვას, ჩუმად-მეთქი, ვუთხარი,
შენს როშვაში, ხომ ხვდები, ეშმის შხამი ერია,
ჩემთვის თქვენ არც მტრები ხართ, არც ბედის საჩუქარი,
არ არსებობთ, ლანდები თქვენი წამიერია!“

თვითონ წამო ცოცხლებში, ნუთუ, არ გსურთ ოცნება,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი?
ეგ თვალეები დახუჭე, წამით არ გეფერთოსნება
ან მშვიდობის ფრინველი, ან სისხლი და აფთარი?

ნუ იქნები მზიდველი უმძიმესი ტვირთისა,
წამო, ნახე სიცოცხლე, ნახე დილა მზიანი,

სული მაშინ რაღაა, ხორცმა თუ მიითვისა?
საზიზღრდება, ხორცი რომ სულს ძლევს – ადამიანი!“

ჩემს ნათქვამზე სიცილი უნდა, ვატყობ, მაქციას,
კრიჭას უკრავს თუმცაღა, სახე მისი ბუნების,
მითხრა: „კაცთა სიყალბემ, ვხედავ, გადაგაქცია
ბრმად და გჯერა ამოდ ცოდვის არდაბრუნების!“

ვითომ თავდაჯერებით ისვრით სიტყვებს, ფრთიანებს,
თუ არ ლელავ, რად გიხტის შენ ორივე კიდური?
რა გჭირთ, რა გეჩვენებათ ცოცხალ ადამიანებს,
რატომ გდევნით, რატომ გჭამთ ტანჯვა შიზოიდური?“

კვლავ გავბრაზდი: „ფუჰ თქვენი!... რა ხალხი ხართ ასეთი?
თვითონა ხარ შემოლილიც, მყრალი ლეში, ცხედარი!
როდის იყო ცოცხლისთვის მკვდრების საპარპაშეთი,
ან, თუ სადმე არსებობს მკვდრების ნამოქმედარი?!

76

მირჩევნია ეს ტანჯვა, არ მკლავს, სხეულს მისაღებს,
კარგად საქმე არც შენ გაქვს – ნეტავ, რითი გახარო?
შენში რამეს თუ ვნახავ სიცოცხლისთვის მისაღებს,
შენნაირი ყოფილა მაშინ მთელი სამყარო!

მკვდრები არ საუბრობენ! შენ ვინ მოგცა უფლება?
მოჩვენებავ, ურჩხულო, გვამო, ღორბინძურო!
რაც არ უნდა გაგინო, სახე არ გელრუბლება,
არასოდეს ეცადო, მკვდარმა იმედიდურო!“

ეს ვუთხარი და გაქრნენ საზიზღარი ლანდები,
ხტოდა გამოქვაბულში შიში – სული უსახო,
წასვლას მთხოვდნენ აქედან მღვიმის ფოლიანტები,
კოშმარს დავინწყებაში სწრაფად რომ დავუძახო!

მძიმედ მივაბიჯებდი და ვფიქრობდი: „იესო,
ნეტავ, რა ხილვა იყო, სად ვიყავი უფალო?
ჩემთან მოდი იმედო, თუნდაც უპანიესო,
ჩემს დაშხამულ სიცოცხლეს შენ რომ ეალუბალო!“

მზე ამოდის. ჭალაში მენამულად ინათა,
მივეკედლე ღრუბლებში ვიოლინოს ტირილს,
ლექსის ღრმა ორგანიზმში მქონდა ვრცელი ბინა და
ბედნიერი ვიყავი და თავგვივით მწირი.

დაიხატა ბურუსში ნახევარწრე მთვარისა,
მიტოვებულ სამარეს ხარი მუხლებს ადებს,
ხერხის ახირებულმა ხვრინვამ გაიხალისა,
ცრემლი უჩანთ თვალებში მივინწყებულ ხატებს.

ველებს თავს დასტრიალებს მისტიციზმის კაშკაში,
ინურება ნაჟური სამანდილო ვაზის,
ნეტავ, თუ დაიბრუნებს მდგმურს ეშმაკის ქარქაში,
ნეტავ, გამაგებინა, ღმერთის გულში რა ზის...

ვარ ნირვანის სივრცეში, მეძუნუნება მიწა მე,
შემომიქარიშხალდნენ გრივალეები ყელში,
სიგიჟისგან ლექსები, უკვე ველარ მიცავენ,
რადგან მოშუალამდა ჯოჯოხეთის ელჩი.

უხილავი კალამი შორს მიჰკივის სადგურებს,
ხელებს მიგრებს ღმუილის დაგრაგნილი ხაზი,
თანშეზრდილის ღალატი აღარ გამანადგურებს,
მოთმინების ლოდინი შუბლზე მყარად მაზის.

მინდა, სახრე წარსულის, გადავარტყა სიბრძავეს,
მენისლება უცნობი უპეები თვალთა
და ღამურის სასჯელი მუდმივ სევდას მიღრმავებს,
უმეგობრო დუმილის მეფარება კალთა!

საიდანლაც მერჭობა მზერა ბასრი ისრისა,
 საიდანლაც თვალს მიყრის თვალში ავი ჯოჯო,
 რწმენა, გზაზე გასული, გველმა გადამისრისა,
 ვგრძნობ, გრიალა გრივალი როგორ მინგრევს ქოჩორს.

უბოდიშოდ ჩამყლაპა ურჩხულეზის წიაღმა,
 შემიწირა ქუჩაში ცივი ზამთრის თოშმა...
 ხმას ვერ ვიღებ, ჩემს სახეს ცხელი ცრემლი მიახმა
 და ეკრანზე ვუყურებ სასიკვდილო კოშმარს!

ჩემი ფიქრი, არ ვიცი, რა ჯანდაბამ გალექსა,
 სულს მიკანრავს ლურსმანი, ვეძებ ლურსმნის ქურდებს,
 ჭაობია ჩემს უკან, ჩემს წინ – მოღრიალე გზა,
 იქნებ, უცვლელ მეგობრად კუბოს ჭერი მსურდეს!...

78

არასოდეს უსმინოთ ჩემს გარშემო მოჭორილ
 და ასკეტი პოეტის გიშრის ამბებს, არა!
 დამინგრიოს გრივალმა გართიმული ქოჩორი
 და ეშმაკმაც იკმაროს, რაც დორბლები ყარა!

მე-მორიალი

06.10.2011.

დილით ადრე, როდესაც მზე ვარსკვლავებს გარეკავს,
 მომავალზე დავფიქრდი, ვით ოჯახზე მამა,
 უჯრედებში მელვრება ჩანაფიქრის გამა:
 „როგორ მოვეუხდებოდი შავი წიგნის გარეკანს“.
 ყოველ დილით ვიფიქრებ, მზე – ვარსკვლავებს გარეკავს.

ისევ სულის ფრიალით, ისევ გულის ტრიალით,
 ფიქრთა ორომტრიალით ამევსება თასი,
 ვიცი, არაფერია ზვიად, რწმენის ფასი,
 თუმცა, თავს კბენ, იგავში როგორც კუს მორიელი,
 მაგრამ იტყვის ყველაფერს ლექსთა მემორიალი.

გავალ გარეთ შუადლით, მე შემხვდება ბინდი და მე შევხვდები მომწვანო თოვლის გამებს ღამით, მერე უცებ გამოვალ სიზმრის ლაბირინთიდან, რომ წყვიდადში ვისროლო მარტოობის შხამი.

მელვიძება ყვირილით ბნელში, ვფიქრობ: „ნეტა კი ველზე ვყოფილიყავი, ყორნისფერზე, ისევ“... მადაგდაგებს ლოგინში წარმოსახვა სპეტაკი და მუზების ნარ-ეკლებს ჭრილობებზე ვისევ.

მაგრამ ჩემი რიჟრაჟი ღამის კითხვებს განაგებს, ფანჯრებს ღენავს უცნობი გაზაფხულის სახე, სულის განუწყვეტლობაც ღრუბლებში დგამს ბანაკებს და ნერვებდაჭიმული დაღლილ თვალებს ვახელ.

უნდა ვნერო!

15.10.2013.

უნდა ვნერო! მუზას ველარ ვერევი, ყრუ დუმილს და ულექსობას ვერ ვიტან, სახლდებიან ჩემში უცხო ბგერები და იხუვლებს მელნის ლავა ნერვიდან.

ყეფს კალამი და მკბენს, როგორც ძაღლი და მენვის მკერდში მოდაგდაგე ნაგლეჯი, მე ქურდივით გამოვედი სახლიდან და ჩავვარდი ქუჩის სისადაგლეში.

ჩემს ზურგსუკან მხოლოდ სევდის გვამია, წინ, თეთრ ველზე, ჩემთვის ტკბილი შხამი დევს, ვეტრფი ასეთ ველს, მწვანეს და შხამიანს და ვაშენებ კედლებს საპირამიდეს!

ვნერ რექვიემს. ვათენებ როიალთან დილამდე,
ვინუნები შიგნიდან მოთქრიალე წვიმით,
არ მალელვებს, წერისას დე, ტკივილით ვგმინავდე,
დავასრულებ დილამდე ჩემს სახელზე ლიმოლს.

მოვიტოვე წარსულში სიმყრალე და ტალახი,
ვიგვემ სხეულს, ვიგემე მორიელის შხამიც,
ახლა აღარაფერი დამრჩა გადასალახი,
დავამწყვდიე სხივებში ბორკილები ღამის.

რაც წარსულში დავკარგე, ბნელში როგორ ვეძიო,
ანდა, როგორ დავანვე ჩემს ანარეკლს ლანდად,
ჩემი ფიქრიც გავხადო, მინდა, საპოეზიო;
სულს სევდიანს, სიტყვებით მხოლოდ ლექსი ბანდა.

80

ვენირები რექვიემს, ხელებს ვიქნევ, ვიშლები,
დირიჟორის ჯოხს ვიმტვრევ მუხლებზე და ვჩივი,
თეთრ თითებზე დნებიან განთიადის ნისლები
და ლანვებზე მოცურავს შუალამის სხივი!

ძილში შუეჩი პირქუში ციდან ჩავა, მღვრიედან
(ცას და მინას ომი აქვთ, ვით სტენდალის ფერებს)
რკინის სულის აბჯარი აქვე დავამსხვრიე და
ვიცი, მრჩება შიშველი ათასი წლის მერეც!

იყო ერთი პოეტი, მარტოობის ქვეყნიდან,
სულის კიბეს ეძებდა სტრიქონებში, ძვირში,
კალმით ლურჯ საფეხურებს თოვლის ველზე შეყრიდა
ხოლმე, რადგან იპყრობდა დატოვების შიში

მინის, სადაც ვერ ნახა მისი ტყუპი მეორე,
მინის, სადაც ორეულს ვერ პოულობს ახლაც,
ნახა შავი ხილვები, ყრუ და სამეტეორე
და სიმშვიდის ედემი ვერ მიიღო სახლად.

მიგნით ხრავდნენ როდესაც ტაეპები, ციოდა
სხეულში და თბებოდა იგი მხოლოდ წერით,
ამოყავდა ლექსისთვის ხმები საიქიოდან,
მუზებისთვის ჩატება ჯოჯოხეთის ქერი.

დადიოდა უცნაურ კაცზე ესე ლეგენდა,
ის უყვარდათ, ხალხში კი, იყო, როგორც კენტი,
ახლაც მისი ზარები ჩემს გარშემო რეკენ და
მისი მუდამ დაუკრავს ვარსკვლავების ბენდი.

ღავლაჰი

01.07.2014.

მტირალ ლექსებს ნავიკითხავ ტერენტის,
ვხვდები, ჩემს წინ მისტიური წიგნია,
სულ ვფიქრობდი: ნეტავ, როგორ წერენ ცის
ველზე, ქარმა კიბე რომ გაიქნია...

ქარო, ჩემი ატაცებაც იკადრე,
ჩემი სულიც აათრთოლე ზეცამდე,
პოეტები რადგან მოხვდნენ იქ ადრე,
მსურს, ნაადრევ სიკვდილს ძვლებში ვლენავდე!

ვტირი, თუნდაც, მიწოდებდნენ ავადმყოფს,
ჩემს ღამეებს დაათრევენ ჭალები,
უძილობა კომშარს დამლად დამატყობს
და საკუთარ სიცილს ვეყაჩაღები...

ამდენი დრო, ნეტავ, რისთვის დავყავი
სიბრმავეში, სულს როდესაც შიოდა?!
მუდამ მესმის ტურ-აფთრების ღავლაჰი,
ამომსკდარი უცხო საიქიოდან!

ზღვაში ვცურავ ლალად, როგორც მეკობრე,
 ავმღერდები მეზღვაურის მოტივით,
 უწყლო ხმელეთს ვერსად ვერ ვემეგობრე,
 ჩემს ხომალდზე ბნელშიც ვფხიზლობ ჭოტივით.

ხშირად ცხვირწინ ვეჩეხები სხვა რიფებს,
 ვუმზერ შორეთს და ვასაქმებ მზიდავებს,
 ვერცხლზე ფიქრი ველარ გამალარიბებს,
 მირაჟებთან სული აღარ იდავებს.

ჩემს ზანდუკში უძველესი თოფია,
 ჩემს ზარბაზნებს შიათ, როგორც ზვიგენებს,
 ეკიპაჟი მალე შტორმის ცოფიან
 შადრევნების მეხთატეხას იგემებს!

82

ტალღა მძირავს ნეტარების მორევში,
 ველურივით ვეგულგრილე ქალაქებს,
 ისე მსურდა, თმა-წვერი რომ მომეშვა,
 ახლა ბასრი ცულიც ვერ მიდალაქებს.

არ მალელვებს, მიწას ვნახავ, თუ არა,
 ზღვაში ვეძებთ ზღვის კაცები საფლავებს!
 ღრმა დინებამ ჩემს გემს გადაუარა,
 ახლა წყალი წარსულს დაასაკლავებს!

მომავალი გაეხვია ჯადოში,
 სხვა რა მინდა ზღვათა მუდმივ ბინადარს?
 წყვილია უკან, მხოლოდ გათოშილ
 კაიუტის სამყაროში ინათა.

ვილაც გვერდით მუხის ნიჩბებს ალაგებს,
 გემს მოსდევენ დელფინების გუნდები,
 გამაქანე ზღვაო! მტვრიან ქალაქებს
 აღარასდროს აღარ დავუბრუნდები!

ჭრაქის შუქზე „ფაუსტს“ ნერდა გოეთე,
ფეხაკრეფით დადიოდა წამი და
მე ის წამი ქვეყნად ვამარტოეთე,
ის დარჩა და ყველა წამი წავიდა.

ვაგროვებდი ნივნში სულის ნაკუნებს,
მზემ სინათლე სტრიქონებში იყიდა,
მოვა მეფე, ყველას მოილაქუცებს,
მაგრამ ვერსად წავა ჩემი ჩიხიდან.

უვიცობა თუკი განზე გადვა და
თუკი ვინმემ ჩემში რამე იპოვა,
მე მადლობას ვეტყვი ფურცლებს ქათქათას
და გახდება წამი მარადისობა.

კლდე და ორქიდეა

28.08.2013.

ტყეა თმების. ყვირილია ჩემი გიდი,
იგი ისმის... ისმის, ნეტავ, საიდან?
სულო ჩემო, ტყის სიღრმეში მიდი, მიდი,
იქ იპოვი ნათელს შენ ვინაიდან.

სულო ჩემო, ტყის სიღრმეში შედი, შედი,
იქ მიითვლი უკანასკნელ შენაძენს,
საბოლოოდ ამღერდება შავი გედი,
სიკვდილის და სიყვარულის ენაზე.

მივა წყვილი ტყის ნაპირას, სადაც კლდეა,
სადაც კლდეა, მაღალი და ფრიალო,
გაიშლება ისევ თეთრი ორქიდეა,
რომ სიცოცხლე ისევ ავალრიალო!

ელადიდან კოლხეთს წადი იაზონ,
ლეგენდებმა შენზე რომ იგნიასონ!

დახვდი სტუმარს, ქმარს და მებრძოლს მედეა,
დღეს ელადა შენი მოიმედეა!

შეაგებე მამის ოინს მავია,
უცხო მინა შენი სარკოფავია!

ულალატე მამას, მეფე აიეტს
და შეგრჩება ბოლოს ქალო აი, ეს!

რას იხილავ ამის მერე გრძნეულო?
ცდილობ, ხალხი მტრობით დაასნეულო!

84

ერთგულებას ცვლის ხანდახან ლალატი,
დედაც ხდება თავის შვილთა ჯალათი.

ელადიდან კოლხეთს ჩადი იაზონ,
ლეგენდებმა შენზე რომ იგნიასონ.

რიჟრაჟზე მნათობი იალებს, ჩემს ირგვლივ – თეატრის დასი,
მზე შესვამს უდაბნოს ფიალებს, ფანტანებს დაფანტავს ვაზი.

იდარე, იდარე ამინდო, ებრძოლე უძირო ბალღამს,
ვიდრე მარტო არ ვარ, დამინდო ხალხის გულგრილობის ტალღამ.

უფლის მფარველობის ამარა დამტოვებს ეს ხალხი მარტოს...
მე ამ დროს სიკვდილის კამარა და ფიქრი სიკვდილზე მართობს.

ეკ, ჩემი ადგილი ვიცი, რომ აღარსად არ არის ხალხო!
მინდა, რომ ბავშვივით ვიტყვო, არყოფნას ავულო ალლო!

პირები ელავენ დანათა, ხახაში ხრიალებს ხარის ხმა,
მზის სხივმა აქა-იქანათა, იხუვლა ქარიშხლის ხარისხმა.

ღნაოდა ღრმა ღრუბლის ლადარი, დამატყდა ტიტების ტიარა,
თვალეებში სიბნელე ღრმად არი, სიბნელე, სინათლე კი არა!

მაორებს მარადი მარაო, სისინებს სინაის სინაზე,
მე და მზე ვკამათობთ ფარაონ ხეოფსის სამკუთხა ბინაზე.

თავზემით ბორკილთა ჭერია, ნიავი გაავდა დავაში,
ბუხარში ცრემლები მღერიან, მომასკდა ვულკანის ლავა შინ.

მე ჭორი დავჭერი, ჭორმა კი სხეული გალახა საზარი...
იშტორმა ჩემს ტანში ორმაგი გრძნობის გზამ... ადულდა ბაზარი.

გაეები ბადეში ბალთაზარ, ახ, კიდევ ჭაობში გაეები,
იყეფებს წარსულის ანდაზა, იტირებს უცნობი ტაეები.

85

თავში ნაადრევად შეტანილს, რა ვუყო სიკვდილის ცდუნებას?
გაფრინდეს იმედის ქედანი, გაფრინდეს, დართავენ თუ ნებას.

ტკივილი დამახტა ათმაგი; ფანჯრიდან გაფრენას მიშლიან!...
სარკეში ნანახმა კაცმა კი შემშალა... ირგვლივ კი ნისლია.

იეზი

12.07.2014.

მთვარეს მიწიდან მიება სიმრგვალე ქალის თეძოსი,
ამოსულიყვნენ იეები ეულად უცხო ეზოში.

ტკივილი? რატომ მუდმივი, ტკივილის დედა ვატირე?
ღამით დავძვრები ქურდივით, ვეძებ ღრიალა ნადირებს.

უგონოდ მიყვარს ზეცამდე აწვდილი მწვანე კენწერო,
მინდა, რომ ნოტებს ვლექავდე და ასი წელი ვენერო

ჩუმ მელექსეთა სიაში, კალამი მუდამ ვლესო შინ,
ამოსულიყოს ია შინ და არა უცხო ეზოში.

ქუჩაში ფარნები ანთია, სიცივე სხეულზე მედება,
ჩემს ყელზე სიბნელის ბანტია, გუბეში ცურავენ გედები.

მყრალი ცა ვარსკვლავებს ირიდებს, გადამხმარ ხორხამდე ერევათ
ბრიოკი დახოცილ სპირიტებს და ზეცა იღვრება ფერებად.

ინვიან ნვიმაში ლანვები, ავად ვარ, ავად ვარ უბრალოდ,
სიკვდილის შემდეგ თუ დავნები, დავდივარ, სიცოცხლეს
ვუგალობ,

ტბებს ქარი ზედაპირს უბრაზებს, მშრალია, მშრალია ის უფრო,
ემშაკო, მე რომელ სუფრაზეც ვიქნები, არასდროს ისუფრო!

86

სფინქსები მიცქერენ მაღლიდან, დინგებით ივსება ტომარა,
ცხოვრება არავის დალლიდა, ცხოვრების სიდამპლე რომ არა!

გულის სიღრმეში ეჭვია: „ოდესღაც სწორად მოვედი?“
ნალველი შემომეჩვია, ცოდვების დანატოვები.

მინდება აწყვეტილი სმა, თავი ჩავიხრჩო ლამეში,
ზღვა არის ჩემი თილისმა (მის ფსკერზე ადრე დავეშვი)

ყოველთვის ჩემი მენადა, რომ ყოფილიყო თავანი,
ყოფილიყავით მე, ცა და ოცნება ამპარტავანი,

რომ ჩვენი იყოს უდრეკი სულის გვირგვინის ქიმები,
სატანას გადავუდექი და ჩემს მტრებს ვეექიმები,

არ მინდა, იყოს ასე და ქალაქს არ დარჩეს არაკად...
რომ სიზმრის სიაღმასედან უფალი მელაპარაკა.

გრიგალი ზარებს დარეკავს, მიხდება ყარიბს კონკები,
მხოლოდ გიშრისფერ გარეკანს ალბათ, არ მოვაგონდები.

ცეკვავენ ქარში გიჟივით ფოთლები. ხეებს ეხურათ
რკინის ჩიტების უივუივი, ავად ღმუოდა ბელურა.

სასაფლაოზე აჩრდილებს სუფრები ქონდათ გაშლილი,
წვილის წვეთიც მაგრილებს, შიშიც შეშლილა ვაშლივით.

ფეხი ფოთლებში ეფლობა, ჩემს ფიქრებს ლოცვა ალაგებს,
სიკვდილის შეუხებლობა არ დაკლებიათ ქალაქებს.

გარშემო რალაც ხმებია, ხვატი ატყდება აგვისტოს,
ხეთა ხახები ხმებიან, ცა წვიმამ უნდა დაკვირტოს!

ღუმან დამები, აცივდა ძილის კომმარულ ღამეში...
ცაში ატყორცნილ არწივთან რას მოვა ჯოჯო კამეჩი?!

მინაზე ბოღმა არ ატევეს უჯიშო კაცებს ნიადაგ,
ვწერ ბურუსიან ბარათებს, ვრწყავ მარტოობის ნიადაგს.

ხალხთა სიმრავლეს ირიდებს სული და სუნთქავს მწვერვალებს,
ანგრევეს გრიგალი სპირიტებს, ფოლადის კბილი ელვარებს.

ფეხქვეშ გველები ღმუიან უდასასრულო დონეზე,
ხატავენ „ალილუიას“ გოია და ვერონეზე.

ნალველი მიჭერს მარწუხებს, გულში ისარი ისობა,
რადგანაც მუდამ მანწუხებს სიკვდილის მარადისობა!

დაიჭახჭახა ჭოროხმა, გულზე მაყარა ზვირთები,
ვიპოვე საამბორო ხმა, ღამის მღვიმეში ვირთვები,

ჰაერში სიცხე მატულობს, დანა ავმართე ჯავრისკენ,
მღვიმიდან გადმობატული ქვების დახატვა გავრისკე.

დამება ყველა ფარაჯა, ნვერი გამიხდა ხესავით,
სიკვდილს ვედექი დარაჯად ქვათა დუმილის მთესავი.

როდის ინებებს ნეტავი, შვილად მიმილოს გრივალმა?
ცხოვრებამ რკინის მკვნეტავი ტკივილი შემომიკალმა...

ნეტავი, როდის იქნება მარადიული სინათლე,
რად მიჭირს ბალის მიგნება, სულს ძლივსლა რატომ მივათრევ?!
88

დღეებიც გვანან ჯაშუშებს, ღამეც თენდება აროდეს,
მხოლოდ ეს ფიქრი მაშუშებს, რომ ველარ წარამარობდეს

თავში აზრები ავყია, იქნებ, მივუძღვნა მზეს სული...
კბილებით უნდა დავხიო სიკვდილი, თავში შესული!...

ხმების თამაზი

06.05.2014.

სარკეებს ეზრდებათ მკვდარი თმა, ჰაშიშის შიშინი მამძიმებს,
ბაზარმა ყაზარმა გარითმა და ფსკერში დავცქერი ბარძიმებს.

კლდეებო, შეებით ქალაღდებს! ბარათებს ანათებს ფიესტა,
მახათი დახატავს ახალ დევს, ტალღებმა ცა შეარყიეს და

ცრუ ალი ვუალებს ირიდებს, ბარიგებს არიგებს ასპიტი,
ფეხებით ვეხებით სპირიტებს და შიში შიშინებს სასტიკი.

სიცილით სისინებს სიცივე, მხნედ არი მხედარი, ლეშმა კი
ვაზიდან აზიდა მისივე სიმძიმე... (ციმციმებს ეშმაკი)

ჩხავილი – ყვავილი ყვავების, ფიალის ფრიალის ხმებია,
ნუგუმის უბეში გავები და ხმებიც ხესავით ხმებიან!

ბრმა შარ

24.02.2014.

ვერაფერს ვხედავ... თითქოს მზერას აკვრია ლამე,
მზეც ვერ იმეტებს სითბოს, თვალეზი წყვდიადს სვამენ.

ძილი გამიხდა მოკლე, კოშმარს მოვტაცე ხმები,
ჩემში მზისფერი მოკლეს და უდაბნოში ვხმები.

ჩრდილივით დამდეგს სპაზმა, სახე ვარ შავი ღრუბლის,
გადაირბინა ხაზმა ტერიტორია შუბლის!

მედგა კლდეების თალი, მხრებზე მანვება ტიტანს,
ყვავს მიაქვს ჩემი ბალი და ვერც სიბნელე მიტანს!

ვერც მე ვერ ვიტან ბნელ და გაბოროტებულ მზეებს,
ტანში მუდამ ხტის ელდა, არც მან დამტოვოს დეე.

ჩემს თალქვეშ ვხედავ ბულებს, თუმცა, ვერაფერს ვხედავ...
ვილაც გალაგანს უღებს გვირაბის ბოლოს მხედარს.

გვირაბის ბოლოს ბნელა, არ ჩანს სინათლის ღრიჭო...
ჩემთვის არ არის შველა, ეშმამ შემიკრა კრიჭა!

ალარც ბინძური ყოფის ფასი არ მიღირს გროშად,
შუბლზე წყარო მდის ცოფის, თავზე ვილენავ დროშას!

ვჯოჯოხეთდები ასე, ჩემს ჭიქას შხამით ვივსებ...
და ყინულებით სავსე ვდგავარ სიკვდილის ტივზე.

ჩვეულებრივად დავტყე ჩემი ამბავი თიხაზე,
ფუნჯით პატარა ახოში ადგილი შემოვიხაზე,

ამბობენ, თითქოს მევერცხლე, ღვთის კაცს განაგებს ამჯერად,
მაგრამ მე რა ვქნა, მოჭორილს თუ არ ვენდე და არ მჯერა,

არ მჯერა, სოლომონივით ყველა ვერცხლში რომ ეფლობა,
უვიცი კაცის შეგნება და ბრძენის შეუგნებლობა,

ამქვეყნად ბევრი რამეა ისეთი, რაც არ მჯერა და
ისეთიც, რამაც შავ-თეთრი სიზმრებიც გამიფერადა,

ჩამოვშორდები ნელ-ნელა ალბათ ხეპრეთა ბანაკებს,
მათი უხამსი ლაყბობა სულს ვიდრე გამიჩანავებს,

90

განმარტოება მინდება – ეგებ, გავექცე სიავეს,
ისედაც მცირე ჩემს რწმენას სულ ვიდრე გამინიავეებს,

მე – ურნმუნოსაც, უქრობი სიბრაზის ცეცხლი მედება:
როდემდე უნდა ვითმინოთ ეშმაკის გათავსებლება?!...

ეპიტაფია

23.03.2014.

ვხედავ ბავშვობის ქაფიან ნაპირებს, მაგრამ ბინდია,
დამიდგით ეპიტაფია, გულებში ლაბირინთიან.

ვზივარ ეზოში დედათა (მადლიანია მამული)
ვგონებ, ტირილიც მენადა – თვალებიც მაქვს დანამული.

სადღაც წავიდნენ ბინდები, დაიმსხვრა დარდის საუფლოც,
ახალი დილით ვინთები, ახალი მინა საუბრობს.

სადღაც მიღრენდა საძაღლე, სადღაც გაშლილი წიგნია,
ყველა, ვინც გავასაძაგლე, გრიგალმა შორს გაიქნია.

მე ცეკვა უნდა მოვასწრო სიკვდილთან, ვიდრე ვიქნები,
ვარ უჯვრო და უმონასტრო (ეზოში ხტიან თიქნები)

ლამის უგონო ღამეში შუბლით დავასკდე ეშაფოტს,
ნეტავ, კომმარიც გამეშვა, სინათლეს რომ დაენაფოს.

რატომ ვიცეკვო დაღლამდე, ძილისთვის რატომ მოვეშვი,
როდემდე უნდა მახლავდეს სიყალბე სიუცხოვეში?!...

თეთრი ღამეები

28.12.2013.

თეთრია ღამე. ლოგინს ვაჩნივარ ლაქად გიშრის
და ყელში მიჭერს თოკი, თმებს ფიქრის ქარი მიშლის.

არ მეძინება, არა! ვნატრობ ძილქუმის ჯადოს,
ჩემს გრძელ ღამეებს მარად თეთრი ლაქები ათოვს.

იყო სიავე ბინდის, მუხას ურჩხული ება,
ვერ ვანიავებ სინდისს; მე არ მაქვს ამის ნება!

თავო, ეულო, კენტო, ხელებს ისრეს და ყვირი,
რომ პოეზია გენდო, ნერვიული და ძვირი!

ვთლი შუალამის შანდალს, ვანთებ ვულკანის სანთელს;
სადაც ხილული ჩანდა, მსურს, უხილავიც ჩანდეს.

მარტოობაზე ვწუხდი... წვიმა მილენავს ისრებს,
ძველი ლანდების მუხტი კვლავ შუბლს და ხელებს მისრესს.

შევუერთდები ლანდებს, მე თეთრ ღამეებს ვენდე,
მე მინდა, იქაც ვჩანდე, სადაც არ ვჩანდი დღემდე!

მკვლელო, ჯალათო, კაენო, რა სიტყვაც უნდა აენო,
დაემშვიდობე სამოთხეს.
ადამის ძეო, უბალო, თავს სული არ გაუბახო,
თუ სინანული ამოთქვეს

შენმა თვალებმა, იცოდე, სირცხვილის ცეცხლში იწოდე,
თავი დახარე ბინძურო!
ამით გეხსნება ხელები, მკვლელობით ნამეტყველები;
არასდროს იმედიდურო!

ნეტავ, საიდან მოხვედი, გინთია რა ჯოჯოხეთი,
ან რა ბილიკზე იარე
აქამდე, მკვლელო, ჯალათო, რომ სუნთქვა დააღალატო
ლამაზი და მგრძნობიარე.

92

შენ ველარ ნახავ ღირსეულს ნალკოტის წიაღისეულს,
ლამაზ სიმწვანეს ბალისას.
ასე უიღბლოდ ჩაკვდები, თუ შენი ბლაგვი ნაკვთები
დრომ წითელ ხსოვნას აღირსა.

ეს შენი ცოდვა უაღყო როგორც არ უნდა უარყო,
მწარეა, როგორც ალოე,
გადანვი შენი აზრები, დაუნთე ცოდვებს ხანძრები
და მადლი აუბრალოე.

მუხლმოყრა ახლა გჭირდება, სული რომ გიდუხჭირდება
და უსმენ ვილაც მასონებს.
ნუ ხარ კერპი და ურია, ის გსურდეს, რაც კაცურია
და ძმის კვლას აღარ მაგონებს.

უკვდავება

01.07.2007.

თავს დამტრიალებს ჟღერა მუზის – უბინო მტრედი,
ის ჩუმი ფიქრით ათრობს ტვინის უკვდავ ბაცილებს,
სარკიდან გამხვრეტს უკვდავების შუბი-პორტრეტი
და საუკუნის ჩანჩქერს მიღმა გადამაცილებს.

ვნახე სი ზმარი ჩილიმზე, ჩნდებოდა კვამლის ბარაქა,
კვდებოდა დაჩეხილი მზე, შუქიც არ მქონდა მარაგად.

ვნერდი აბსტრაქტულ ბარათებს, მიკვირდა, კაცის ფორმიდან
ამომხტარი რომ ანათებს, მანგრევეს უჯიშო შტორმი და

რომ ქვეყანაში უძალლო, ვილაც კატები კნავიან,
მინდა, რომ გადავუსახლო ნამდვილ ხალხს ბატკნისტყავიან

მგლის ხროვა, რადგან, უმართავ ქვეყნის სადავეს მივები,
თავს მწარე ქვითინს ვუმართავ, მენატრებოდნენ სხივები,

ეჰ... ცხოვრებაში ულევნი სიმძიმე გვანევს ლოდებად,
არ გვშორდებიან მუმლები, აღარც მოთქმა და გოდება,

ნეტავ, იქნება სადამდე ირგვლივ ბული და ქაოსი,
როდემდე უნდა ვხატავდე სამოთხეს სააქაოში?...

შველა არსაიდან

16.02.2011.

მდინარე დიოდა ნალმა, მშვიდი და ლარივით სწორი,
ჯადოსნური და შორი იერი მიიღო ბალმა,
მდინარე დიოდა ნალმა.

აიმღვრა ყოველი მაგრამ, ბალი აღარ არის ბალი,
აიმღვრა ღრუბლების თალი, აიმღვრა სამყარო მაგრად,
ქარი ქარად დარჩა მაგრამ.

ჰა, სისხლი მოუნდა ღამეს, თვალები, გისოსი მწუხრის,
თავს დილა წყვდიადებს უხრის, ვუსმენდი საშინელ გამებს,
ცხედრები მოუნდა ღამეს.

ახლა იკრუნჩხება ყელში სიცილი შემლილი ძაღლის,
შველა – არსაიდან დალლილს, მთვარეა სიკვდილის ელჩი,
სიტყვები წვალობენ ყელში...

მინიდან ამოდის ტივი, იმ ტივზე ვდგავარ და მენვის
თვალეები, უნდო და ცივი და ქვეყნის ხიდეები ბენვის.

მესმოდა ტყეების ლენვა, დევები დარბოდნენ შიგნით,
მე გიშრის ფოთლები მეცვა და ეშმაკს დავდევდი წიგნით:

მე მძულდა ასეთი ზეცა, ყოველი ცისფერი მძულდა,
თითქოს ის გრიგალი მეცა, ყველგან რომ დამდევდა, სულ თან.

ჯვრებიდან ვაძრობდი ლურსმნებს, ყორნისფერ განთიადს ვკბენდი,
ნილაბი ავადმყოფს უსმენს, ხიდის ქვეშ ფართხალებს დენდი.

ვუყურებ ბუდეში ბარტყებს, ირღვევა ღორების ღობე,
ურჩხული სიმყრალეს არწყევს, ძაღლები ქვეყანას ყოფენ.

94

ველოდი დაკბენას ძაღლის, სიკვდილი ბოდავდა როდი...
ცხოვრება არავის დაღლის, რომ არა ცხოვრების ლოდი!

ლექსი

06.09.2014.

ვგონებ, ვმონებ უცებ ტუჩებს, ყურში ლურჯი ზეცა მეცა,
ველი ბელის მწვანე ყანებს, კახა გახტა გვერდით მკერდით,
მოვა გლოვა ჩემთან გემთა, ლავა გავა იქით რიხით,
იქაც ჭიქა დადგა რადგან, მიქრის ფიქრის რაში ცაში,

წვიმდა წმინდა, თეთრი ხვედრი, ახლა მალლა ავა დავა,
დაბლა დაღლა თავად ჩავა, ბარტყმა დარტყმა აღარ ნახა,
ბორგვა ორგვარ ბადეს ბადებს, მესმის ლექსის მიწის ფიცი,
დადის კატის შავი ტყავი, ოხრავს ოქროს მეტი წვეთი,

სანამ ყანამ ნახა ხახა, ვიდრე მდიდრებს გვრიან მტვრიან
კედლის მეჯლისს, ვნახე მჭახე ჭერი მტერის, ღამე და მე
ვდევნით მტევნის წითელ თითებს, გველის რთველის ტკბილი შვილი...
მე ვარ თევა შხამის ღამის და ვარ მთავარ მთვარის ჯვარი!

ჩვენ იქ გავჩნდით, სადაც ირგვლივ მტრედისფერი ტაძარია,
ჩვენი ფრთები ლურჯ ზეცაში გასაფრენად მზად არიან.

ღმერთმა ბავშვებს უმშვიდესი ანგელოზის მოგვცა სახე,
ჩვენ ის ვნახეთ, ვერ იხილავს რასაც დიდი – ღმერთი ვნახეთ,

არ გვსურს გაზრდა, ანგელოზის სახეს ვკარგავთ მაშინ რადგან,
მაგრამ მაინც გავიზრდებით, მაგრამ მაინც ნავალთ მათგან,

ჩვენი ჯვარიც მძიმე არის, რადგან გვევია პატარები,
მზე გვსურს, დედა მარიამის ხელისგულზე ნატარები,

მაშინ იქნებ მუდამ ირგვლივ მართვეებმა იფრთიანონ,
რომ ყოველთვის უფლისათვის ვიგალობოთ, ქრისტეიანო!

ამაოდ

18.09.2014.

ბნელში იელვა დანამ, ცა გაანათა მეხმა,
ღანვებზე წვიმდა, სანამ თვალებზე სისხლი შეხმა.

ჩემში აღწევდა სხვა მზე, მე და მან სითბო ვყარეთ,
გადაირობინა გვამზე ზღვამ და გაიჭრა გარეთ.

შიგნიდან ქროდა ქარი, სიტყვამ გაიდგა ფესვი,
მე ეშმაკს ნიხლი ვკარი; მსურდა, რომ ამბოხს ვეშვი.

მშვა კიდევ, მაგრამ იგი ჩამოიფერფლა ციდან,
იდგა ედემთან რიგი: მან ჩვენი ჯვარი ზიდა.

მე მან დამადგა მიტრა, ვინც უფრო მძულდა ადრე,
ვნახე ცოცხალი ჰიდრა და დაჩოქება ვკადრე.

ვკოცნი ოცნების ნაფლეთს. რთულია, იყო გმირი...
მე უკუნეთში დამფლეს და აქ ამაოდ ვყვირი.

განგში განგაში ჩხავის, უპირობოა ბრძოლა.
სუნთქვა უხარის ყვავილს: ნვიმას მზე მოყავს ცოლად.

ღრუ ღანვებიდან ღრუბელს სეტყვა სდის, სიმსხო თითის,
არ სურს კრავობა ცრუ მგელს; ფარაში სტუმრად მიდის.

სიზმრიდან ბრაზი ვყარე, კომმარს მოუსწრო თოშმა,
უდასასრულო მთვარე მიმძაფრებს შხამის კომმარს.

ყურში დავიცე ფიცი, დაცინვა მესმის ცის მე,
ვისმენ სიცილის სისინს და ხორცის ხორხოცს ვისმენ!

შენში, ჩახჩახა ჩიხო, მიცავს „მორალი“ მრუში,
როდემდე უნდა ვიყო მძევლად ციხეში, ყრუში?!...

ბილიკზე მოჩანს ორმო, ისმის ტოტების ლენვა,
გაიჭრიალა ჭორმა იქ, სადაც ბადე მეცვა.

ველარასოდეს ვნახავ ტანისამოსო ჩემო,
მღვიმემ დაალო ხახა, ვნახე სიცივის გემო.

შიშინებს შიშის შვრია, შროშანი ხორხში რომავს,
ჩემს ჯამში ტყვიას ღვრიან, ველი გველების დროშას.

თვალმა დაიწყო ჭამა, სადაც გაჩერდნენ ყბები,
ჩაშავდა ფერთა გამა და წყვდიადებში ვტკბები.

ღამე დამადებს მკვდარ თავს და ველარაფერს შევცვლი;
ცხოვრებას ისევ მართავს ის დაფანტული ვერცხლი!

ლივლივებს ფარდის შიგნით მთვარე... ციოდათ ნიგნებს,
მარადიული ნიგნით ვწველიდი სიბრძნის ჯიქნებს.

ხელი ფათურით აგნებს წყვდიადში მძიმე კალამს,
მტვერი ნაერთვით საგნებს – მტვერს ცოდნის ფუნჯი კვალავს.

ეჰ... ზარებს რეკენ სადღაც, ყარდა უღრანში ანწლი,
ძილში ვიღაცა მთათხავს, კომმარი დამდევეს ხანჯლით.

ცნობიერების მიღმა უცნობ ნერილებს ვწერდი,
ამალრიალა მჯიღმა ცრუ იმედების ღმერთის!

წივილი ცრიდა ციდან, ვცურავდი კუპრის ტბაში
(კვლავ ჩემმა ზურგმა ზიდა ქვეყნის ტკივილი მაშინ)

მე ღამის ფიქრი მბადებს, მე ჯვარს ვიპოვი აქვე,
ვეჭიდებოდი ბადეს თეთრი მოხუცის ნავქვეშ.

ველარ გავიგე: ნეტავ, ვხუჭავ თვალებს, თუ ვახელ?!...
მე ეშმაკების დედა მარქმევს მისტიურ სახელს.

კვლავ ჩემთან ვუხმობ შაგრენს, სიმართლეს პირში ვახლი,
ულრმეს ქვესკნელებს ანგრევს სპილენძის ხმებით ძაღლი.

კანკალი არსად მიშვებს, ინთება ჭირის ჭრაქი,
ალარც მე ვტოვებ გიშერს, გემო გაფუფე რაკი!

გარშემო დულდა სტიქსი, ვლეჭავდი ფესვებს ხეთა,
მე მხედავს სულ სხვა სფინქსი, მე კი სხვა სფინქსებს ვხედავ.

ვხედავ ვარსკვლავებს წითელ, დავთვლი წამების წამებს...
ზეცა ატანდა მზითევს ამ გაზაფხულის ღამეს.

ვებრძოლი ფიქრის რიგებს

17.06.2014.

ვებრძოლი ფიქრის რიგებს, სევდიანია აზრი...
ვერც ჩემი თავი მიგებს, როგორც მახვილი ბასრი.

ლამე ლებავდა კატებს შავად... ზეცაა ლურჯი,
სიმთვრალე ფოლადს მმატებს გამოხედვაში, მგლურში.

ღრენა უხდებათ იებს, ყორანი გახდა ბრძენი,
სადაც გველებმა წიეს ყალიონები გრძელი.

მე ვარ სოფელში, ცრუში, თავზე დალოლავს ზღარბი,
იყო სურვილი მრუში, ავი, უძლები, ხარბი.

სადაც შემათრევ ჩიხო, მე იქ დავრჩები მუდამ!
ჩემი ცხოვრება იყო ის, რაც ჩაყლაპა მუზამ.

98

სიკვდილის ლავა

08.03.2014.

ჩემს ჭირს ვერავის ვეტყვი, ბუნებამ მარგო ასე...
ვარ მომლოდინე სეტყვის, ცრემლით დაკანრულ ცაზე.

ვერავის ვეტყვი, ავად რომ ვარ, უხმო და მუნჯი,
დამდეგს სიკვდილის ლავა, ვზიდავ გველების ხურჯინს.

აღარ მსურს ასე, აღარ! ვუსმენ გალობას ლამის,
ვუსმენ წყვიდადის ხარხარს და შევიშალო ლამის!

ახ! ველარ ვუძლებ ამდენ სანამლავს, ველარ ვუძლებ,
მსურს, ავაყოლო ცამდე მალლა ატყორცნილ ფურცლებს

ტკივილი, გლოვა, დარდი და თეთრ ლამეთა თევა,
მალე დავრჩები ლანდი და ვერ მიხილავთ never!

მეძინა ტახტზე მაგარ, ნანგრევში მქონდა ბინა,
ხილვებს ვიხილავ აღარ, ვიდრე დიდ სახლში ძძინავს.

მძულს გაპარული სახე და ვესპაზმები სიცილს,
მიხმობენ ხმები მჭახე და ნერვიული ფიცი.

მე მენატრება ძველი ცხოვრება, ძვლებით სავსე,
თეთრ დროშას აღარ ველი შავი დემონის თავზე!

მე მკანრავს ბორბლის ხაო, სიმშვიდის შიში მახლავს,
ვინვევ აუხსნელ ქაოსს ყრუ ქვესკნელიდან ახლა.

მღრღნიდა სიმყრალე მძაფრი, სიმწრით ვარსკვლავებს ვუკბენ,
ველარ ვისუნთქებ აპრილს; იანვარს ვსუნთქავ უკვე!...

თითები ფრთების შუბებს აწყებინებენ კრიალს,
მინაა მხოლოდ გუბე და შიგ ნიღბები ყრია!

ქვეყანა არის თითქოს მარადიული მორგი,
ქრება ცის თაღზე დისკო: ეშმაკი ჭედავს ბორკილს...

ყოველ ღამით და სისხამ, დილით, თუ ბნელში ყოველ,
შხამს შავ ჭიქაში ვისხამ და თამადობას მთხოვენ

ირგვლივ ნევრები სუფრის. იწვის სარკეში სახე
და ცხედარს თავში უქრის ქარი, ხმელი და მკვახე.

მყრალ დედამინას შიშველ მუხლზე დავამსხვრევ ძაღლის,
ხელს თბილი ხორცი მიშვებს და ტყვიას შუბლში მახლის!

კლდისქვეშ ბიუსტი არის მკაცრი, ყინულის კაცის,
ანათებს შუქი მთვარის, ცეკვავს ვარსკვლავთა დასი.

ყივის ნყვდიადის ძერა, ისმის ღმუილი მხეცთა,
ყინულის გულის ძგერა ისმის მარტოსულ ხესთან.

ოდესლაც მისთვის უთქვამთ: „გაიგე სიტყვა ღმერთის“...
მას მოენამლა სუნთქვა, ბოლმით აეგსო მკერდი.

მას შემდეგ ლოდად ექცა სული, სხეულიც... კენტო,
თითქოს, დაგექცა ზეცა და ჯოჯობეთი გენდო.

ის გაიყინა. შველა არ ეღირსება თითქოს,
სისინებს, როგორც გველი და შებრალებას ითხოვს.

მზე, მოგონილი ჩემში

19.09.2013.

როცა ვიყავი მარტო, მენატრებოდა სითბო,
როცა ვალებდი ფართოდ კარს, გისოსიანს თითქოს,

უმისამართოდ ვწერდი სტრიქონს, გაჟღენთილს ღამით,
სულ ჩემთან იყო ღმერთი და მარტოობის შხამი.

კიდევ, მზე იყო ჩემთან, მზე, მოგონილი ჩემში,
ქარი სახეში მცემდა და მასველებდა თქეში.

ახლა კი მარტო არ ვარ, აღარ დამტოვებს, ვიცი,
ამ შემოდგომის ქარვა და თეთრი ღამის ფიცი.

(სალომეს)

უდაბნოც ბალს გავს ახლა შენი სილამაზიდან,
 პატარა გული სიყვარულმა შექმნა ტიტანად,
 ცისარტყელეზად შენი თმები დილამ აზიდა
 და დაბლა წვიმად ჩემი ცრემლი ჩამოიტანა.

რუხი

27.09.2014.

რუხია დილა. აღარასდროს აღარ მოველი
 სიყვითლეს მზისგან, რადგან იგი მხოლოდ მკერდშია,
 არასდროს ვეძებ არც მშვიდობას, რადგან ცხოველი
 ცხოვრების რიტმი მშრალ რუტინას მუდამ მერჩია.
 თავ-პირში მირტყეს დემონებმა შავი კანჭები,
 რადგან მომეკლა ჩემში ვერცხლის ნება უძლები.
 მუდამ აქოჩრილ შხამის ზღვაში დავიტანჯები,
 მუდამ დუმილის საცეცებით დავისუსხები.
 მე უჯრედებში დავამზადებ ფიქრის ქალაქებს
 და წავიკითხავ, რა დანერა ცოდვილთა ჯადომ;
 ხალხი, მუხლებზე დაცემული, ღმერთს შელალადებს:
 „უფალო, რატომ გამაჩინე, მანვალე რატომ?!“
 ყორნის თვალეში კუდიანი იწოდა ღამე,
 დალორნილ ზეცას კეთროვანი კბენდა ობობა,
 სადაც ერთმანეთს შულლობენ და ერთმანეთს ქამენ
 ნაყოფის სიღრმე და გონების უნაყოფობა.
 დუმდეს სიავე, ან ყვებოდეს მთვარე იგავებს,
 სადაც გველები გაშოტილან ნაპრალებიან
 ტბის ფსკერზე, სადაც დღე ღამესთან იფარიკავებს
 და ჩუმ მელექსეს ლექსის ჩეხვა დაბრალებია.

მინის გათბობით საბოლოოდ დაილალა მზე,
 აღარც სიცოცხლე რეაგირებს მწარე სალამზე.

დააბოტებენ საფლავებზე ჩექმები უცხო,
 შიში სივრცეში გაინელა რკინის ხლართებად.
 სოფლის ნაომარ ორგანიზმში თუ ჩავდეს, სუსხო,
 ქვეყნის კისერზეც მალე დათვი გაიშხლართება.
 დანგრეულ სახლქვეშ მოქცეული ისმოდა ყრუ ხმა...
 ნეტა, ვინ რად თვლის ან შენევენ, ანდა ჰააგებს?!
 კაცთა სინდისი ჩამოახრჩო ძვირმა ჰალსტუხმა,
 კაცთა ყოფასაც გულგრილობა ჯვარზე ააგებს.
 დრომაც ჩვარია, ლამის გახდეს როსკიპის ტრიკო,
 ეხსნებათ ფართო ასპარეზი სადაც ღამურებს,
 ან ვილას ახსოვს დროშის ფერი, იქ, სადაც იყო
 ცოდვა და ორი ათწლეულიც ცოდვით გამურეს?!...

ის თაობა ვართ, არასოდეს რომ არ ეყოფა
 ტანჯვის გვირგვინი და მშვიდობის უხელფეხობა.

გიშრის სარკეები

25.06.2014.

გარშემო გიშრის სარკეები იყვნენ და ცხადად
 ვიხილე კაცი მონყენილი, სხივი აკლდა მის
 თვალებს, მომზირალს მალლა, ლურჯი ცისკენ, იქ, სადაც
 ანგელოზებმა გამოკეტეს კარი აკლდამის.
 უცებ მომესმა ხმები მსხვრევის. დაიძრა სარკის
 ბზარი სივრცისკენ ნიალიდან, უცნობი დღემდე,
 აღარაფერი აღარ დამრჩა ყოფნაში კარგი
 (მე მივხვდი ამას, თუმცა დიდხანს ვფიქრობდი შემდეგ)
 სული გრგვინავდა ვულკანივით! თითქოს დევები
 ებრძოდნენ დევებს და მათ ღრიალს ვრითმავდი ყელში,
 არ შემიხრია ნარბიცი წამით, ისე შევები
 აჩრდილს და შემრჩა შეშლილს ხელში რქოსანი ელჩი!

ამაო არის ყოველივე და თეთრი ნიღბავს
 შავს და არასდროს აღარ ნიღბავს იღბალი იღბალს.

ერთხელ ვიხილე გონების და ხორცის ქორწილი,
 სული ღრუბლებში ლივლივებდა, როგორც სტიქარი.
 ცერპერის დუჭით შიგნეული მაქვს დალორწილი,
 დროა, სხეული დავასვენო ნასასტიკარი.
 ფოთლის ხაზები ბილიკიდან შუბლზე ვადიან,
 პირიდან ღრენით ამოხეთქა ბილწმა წიაღმა.
 პოეტში მშვიდ წუთს აღარ ეძებს სულის ვადია,
 ყრუ-მუნჯი მხატვრის საღებავი ზეცას მიახმა.
 ჩემი ხმა ვდია. ის გრილია, ქვიანი და ბრმა,
 ის დარგეს, როგორც ცნობადის ხის ნორჩი რტოები.
 ისევ უგონოდ ჩამითრია ჭაობმა მძაფრმა,
 შველას არ ვითხოვ და კვლავ სიკვდილს ვემარტოები.
 ვდგები და ვიცი: ის ისეა მაღალი და ღრმა,
 ფსკერიდან როგორც ოკეანის ლანდშაფტი ვრცელი,
 ღია ჭიშკარში კვლავ საძაგლად დამკბინა ძაღლმა,
 მე კი იმავე ალაყაფთან ვდგავარ და ველი.

ველი და ვიცი: ჩანგალს შუბლი ვაჯახე თურმე,
 მხოლოდ აქმლოკოს რადგან ცეცხლმა ჯოჯოხეთურმა.

დილის მარში

17.05.2007.

შენ იბადები, რომ შეიგრძნო პლანეტის ფილტვი,
 რომ შენი სუნთქვა ატყვევებდეს ქალღმერთ იზიდას.
 ასე ლამაზი და უიღბლო საითკენ ილტვი,
 ან შენი შუქი ღამის პეპლებს რატომ იზიდავს?
 თვალების შიგნით მკვლელ გისოსებს კრძალვით აკვდები,
 ქარივით ფრთიანს უხილავი ვადევს ხუნდები,
 რაც ხორცს შორდები, უფრო ჩანან შენი ნაკვთები
 და იბნევი, რომ მიწიერი, ზეცას უნდები.

შენში რომ ისმის, ის მუსიკა მარშია დილის
 და სიყვარულის ხის ნაყოფი, ცაში აზრდილის.

ტაძრის წიაღში მოლივლივებს მთვარის სონატა,
ლოდები დუმან და არწივი არასდროს ტყუის,
შევნატრი, ვისაც ჩრდილი უყვართ და ღვთის მონათა
სახელს ირგებენ და მწვერვალებს იპყრობენ ჭკუით.
ისე ძნელია ლაპარაკი ვირების ბრბოში...

ყრუ კაცთან მუდამ უთქმელობა მიჯობს ხალასი,
მე ლაყაფისთვის ვერ ვიქნები მქნეველი დროშის,
ზოგჯერ ასწლოვან დუმილს ვიტევ თავის ქალაში.
რას ვაქნევ, თუკი ენის ქნევა ინება ზოგმა?!
თეთრი შურით მშურს ბებერი კლდის, რადგან გოლიათს
ჯუჯებთან ბაასს საკუთარი უკრძალავს დოგმა,
რადგან ღრმა არის დიდი კაცის მელანქოლია.

104

საკუთარ სულთან ლაპარაკის არ მჭირს ფობია
და ჩუმად არ ვარ, თუ დუმილი დასაგმობია.

თეთრი ოკეანე

17.06.2014.

ახ, ღამეები გადამექცნენ აშარ ძაღლებად.
მიტევს სიფხიზლის ოკეანე, მკაცრი და კუშტი.
ის მზარავს, როგორც საფლავეების გასაძაგლება,
ხელებანვდილი ვდგავარ კლდეზე – სიგიჟეს ვუცდი...
მე მინდა ფრენა! არაუშავს, თუ ნემტი დაბლა
უნდა დაეცეს, ვით დაღლილი ცხოვრების გვამი!...
უფსკრულის ფსკერზე ბერწ აჩრდილებს ჩაუდგამთ ტაბლა,
ღრეობენ ისე, რომ არ იძვრის მცირედი ჩქამიცი.
მარადიული დუმილია ჩემი საბანი!
გულში მიხუტებს კუბო ცივი, ყრუ და უსაბნო.
ჭალა შრიალებს, როგორც როსკიპ ქალთა კაბანი,
მაგრამ შორია... სულში გოდებს მხოლოდ უდაბნო...

მე, უგუნური, ვუბრაზდები არსთა გამრიგეს
და დავბრუნდები, წასვლის შემდეგ თუკი გამიგეს.

მოგესალმებით მომლოცველნო ბარში, თუ მთაში
 სისხლით ნაგები ტაძრებიდან, ვიქნები მნათე,
 მე და თქვენ ერთად ისტორიებს მოვყვებით მაშინ,
 საერთო სმენა როცა ღამეს კოცონთან ათევს.
 არ უყვართ სისხლის გუბები და ცხვრის თავები
 არც სულიწმინდას, არც მამალმერთს და არც მაცხოვარს!
 იქნებ, ღრეობით დემონების ქსელში გავებით
 და ღმერთის გარდა, სატანასაც მუდამ ვახსოვართ?
 კარი ორია ჩვენს გარშემო: დაბლა და მაღლა.
 მიწისკენ გვითრევს მარწუხები, მაღლა კი ცის ხმა
 გვიხმობს ვალობით და ეტყობათ ღრუბლებსაც დალლა,
 რადგან მიწაზე კრავთა ხმები ჩაახმო სისხლმა!

ნეტავ, ბოლოყამს თუ ვიგონებთ სისხლის ოხშივარს,
 როცა მართალი განაჩენის მართალ ქოხში ვართ?

სადღაც, კუთხეში

23.05.2014.

მტერთა ურიცხვი ჯოგებისგან როცა მოთელილ
 ბალახს სურნელი ასდის სისხლის, რა გვინდა მეტი?!
 ტაძრის ადგილზე ააშენეს ახლა ოტელი
 და ვერაფერს ვგრძნობთ, თუმცა, თან გვდევს ცოდვების კეტი.
 ვებლაუჭებით უპოვრები ეშმის გაქონილ
 კომბალს და ვტკბებით დემონების ხარხარით მძაფრი,
 სადღაც, სარდაფში, ხმალი ოხრავს, პაპის ნაქონი,
 რადგანაც სილა გავანანით საკუთარ აპრილს.
 დოლაბებივით ვალრჭიალებთ კბილებს ალესილ,
 თუ ყმუის კუჭი და შიმშილის გვერევა ცოფი,
 ტრანსშია სულის ჭრილობების ბილწი ალერსი,
 ვართ უხილავი მათრახების ბურუსში მყოფი.

სადღაც, კუთხეში მიგდებული, რწმენა ზღუქუნებს
 და ველით დუელს, რქოსან გვამს და თეთრ საუკუნეს.

საპნის ბუშტივით ვანადგურებ ძლივს გადარჩენილ ბავშვობის მძიმე მოგონებებს უკვალოდ, ხოლო ანმყოს სურათზე ჩემს მომავალს აქვს განაჩენი; არ მსურს, დამტვერილ თაროებზე რომ დავრჩე მხოლოდ. მუხის მათრახით ვავეკიდე გიჟურ სიცილებს, შემოჭრილს ტვინში, გამეფებულს ქალაში თავის, ვილაც აჩრდილი მუდამ მდევნის და მიკიჟინებს და ქარაფებშიც მუდამ მკორტნის უძლები სვავი. მაგრამ მე მანგრევს რეალობის აღქმა უჯიშო, ნერვულად ვებრძვი შავ კომპარებს – ლამის ჯაშუშებს, მსურს, დედამინას სინამდვილე რომ გავუთიშო, დაჭრილ მელექსეს ვერც სიმშვიდე ველარ მაშუშებს!

106

გრძელი ეკლების ღრმა მორევი თავისკენ მითრევს, გთხოვთ, შემანჯღრიეთ, შევიშლები ბოლომდე ვიდრე.

25 წლისთავი

06.04.2014.

მაშინ ვიყავი თერთმეტი წლის. ცხრა აპრილი კი იყო სამშობლოს ცხრა ლახვარი კვნესის გარეშე, მას შემდეგ უქცევს გვერდს ჩრდილოეთს ყველა ბილიკი და აღარ წყდება ჩვენს სულელებში ქარის თარეში. რადგან მკვლელებმა შუალამით ნიჩბებით ბასრი, ქუჩაში მსხვერპლი (უსუსური!) უღმერთოდ ხოცეს, რადგან მწვერვალზე ადიოდა ქართული აზრი, როცა ნამგალი აქეთ-იქით გვათლიდა ხორცებს. ქართული ლაბა ნინ დაუდგა ჩრდილოელ დათვებს და ცხელ ძარღვებში წინაპრების სისხლი ყიოდა, დაბადებიდან გოლგოთისკენ ჩვენს წილ ჯვარს ვათრევთ, რადგან ეს ჯვარი ამოგვათრევს საიქიოდან!

ჩვენ გავჩნდით ასე, ჩვენ ხომ ციდან გვესმოდა ღვთის ხმა, ჩვენ ის ხმა მოგვცეს უფალმა და ეშმაკის ზიზღმა.

რძისფერ დარბაზში გიშრის ჭერზე ვამსხვრევ ნათურებს.
 ყრუ ქვესკნელიდან გრგვინვით მოქრის ცეცხლის ქარის ხმა.
 გენის ცენტრში ჯოჯო ყელზე კლანჭს მიფათურებს
 (ვბოდიშობ, რომ არ ამაღელვა ლექსის ხარისხმა)
 ჩუმი ჩრდილების ხმა როგორი გასაგონია,
 როცა გარშემო ეშმაკების ჯოგები ყეფენ?
 ანგელოზებით დახუნძლული დგას აგონია
 და თავი ფრთების ხეივანებში ვიგრძენი მეფედ.
 მკვდარ სხეულებზე უმკვლელესი თითები ხტოდნენ,
 თრთის მინა, რადგან მოდის მსხვილი გმირი რაბლესი.
 თაფლის სხივებით მოძმეთათვის თავს იბამს ცოტნე,
 დააშოშმინოს რადგან გველი უსაძავლესი.

ჭირია ის, რომ კარგ საქციელს ვუყურებთ ციდან,
 მავნე ჩვევებს კი სიკვდილამდე ვიძინთ და ვიტანთ.

ხილვების ხილი

19.04.2014.

შუალამისას მივესიზმრე ნუხელ გარდაცვლილ
 აჩრდილს და ვერგე ცივისსხლიან მკვლელად შავ ხედებს,
 არ დავისვენებ, ვიდრე ცოდვის სასმისს არ დავცლი,
 რადგან თვალებში ყველა ცოდვის სიტკბოს ჩავხედე.
 ავად მტყორცნიდა ყვითელ სხივებს ხათაბალა მზე,
 ჩემს ჩრდილებს უკვირო, მე – მელექსე, ახლა სწარაფად რომ
 არ ვრეაგირებ ლუციფერის უტკბეს სალამზე
 და უნდათ, ჩემი შუბლის ხაზი სწარაფად გაფატრონ.
 მსურს, ვნახო, როგორ იგონებდა ბერი ჰიუგო
 ალის კანკალში გონჯ გუინპლენს, ბედის დატორილს,
 ვნახო, წარსულის მჭრელ შეკითხვებს ვინ რა მიუგო,
 როდესაც ვერცხლი გახდა სულის ლიკვიდატორი.

ოი, ღამეა, დამაფარა ყორანმა კალთა,
 ხილვებიც მალე მიმიყვანენ სიგიჟის კვალთან.

(სალომეს)

დაბადებიდან დავეძებდი მკერდში დაფლეთილ და სიყვარულით მკვდრეთით აღმდგარ ხორცის ნამცეცებს, ყოველ უმცირესს აღვიქვამდი სხვა სიმძაფრეთი, რომელიც ჭაობს სასუფეველის ბაღად მაჩეჩებს. ერთ სასთუმალზე მხოლოდ ერთ ცალ ბალიშს აქვს ფასი, ჯანდაბას ყველა მომავალი, უშენო თუა, სადაც წავედი, შენთან მოდის ყველა კომპასი და მარტოობას ვეუბნები უმკაცრეს უარს. ირგვლივ ყოველი სიცრუეა ჩემი და შენი სასიყვარულო ასწლოვანი სავანის გარდა, მითრევეს სიმთვრალე და უსაზღვროდ მერევა ხენი, რომ სინათლეს და წყვიდადს შორის დაეშვას ფარდა.

108

შენც ყოველ ლამით, გათენებას ისევ მპირდები და ყოველ დილით სიცოცხლის ხის სკდება კვირტები.

ღამის სტუმარი

27.03.2014.

რადგან ამინდი გაავდრებას ისევ აპირებს, რადგან სხივებიც მიიმალნენ ღრუბლის გადაღმა, კვლავ გამოუჩნდათ საქმე მუზებს – ღამის ვამპირებს და ღამის წარღვნის მოლოდინში ველიც გადახმა. ღამეს მივეცი პოეტების ყველა ტიტული, თავის აღდგენაც შეუძლიათ მოკვდავ დაისებს, მე შავი მუბით დავამსხვრიე სხვა ცხრაკლიტული, ვიდრე რიჟრაჟი დაცლილ ვენებს სისხლით აივსებს. ვერ ვიარსებებ მტრედისფერი დილის ჯავრით მე, ვილაც კარს მინგრევეს დაბოღმილი, ავი და ხარბი, რას და ვისაც ვგრძნობ, ყოველი და ყველა გავრითმე და ახლა ფიქრში გულგრილობაც ლანდივით დარბის.

ირგვლივ უდაბნოს სფინქსებივით დგანან ხიშტები, მე ვფიქრობ, ვუმზერ ირგვლივ ყოველს, ვწერ და ვგვიჟდები.

ჩაფიქრებული ვერ ვიხსენებ ძილში დახოცილ მუზებს და ვცდილობ, აღვიდგინო სურათი მძაფრი, ქალის თითებში ნამიანი თრთის ხელსახოცი, უმთვარო ღამით ვეცეკვები ღრუბლებში აპრილს. ნყვდიად მღვიმეში მეღვიძება და ხელებს ვუქნევ პოეტის ტვინში აკვივლებულ მძიმე ვაგონებს, სიზმრის ჭაობში აფთრებს დავდევ, ბილნებს და მსუქნებს, რადგან მშვიდობა ახლა მკვდარი ზღვის ფსკერს მაგონებს. მოსაწყენ დღეებს როგორ უნდა გავუგო გემო, როცა გეენის კედლებიდან კადრები ქრიან?!... ლექსი-სიგიჟე უბოლოოდ მიიწევს ზემოთ და უჯრედებიც დაიწყებენ სულ მალე ღრიალს.

კვლავ მითრევს ლეთა, ალბათ, ველარ გავალწევ გაღმა, რადგან ღიმილიც დაწყევლილი ხესავით გახმა.

გაზაფხულის სონეტი

15.03.2014.

ქუჩაში ცივა, დაკონკილი კანკალებს ქუჩა, ცივათ ბელურებს, ცივათ ძაღლებს, ცივათ ლატაკებს. დაძრნის სიცივე და ტიტველი ტერფები უჩანს, მაგრამ აპრილი მალე მახვილს ყელში ატაკებს ზამთრის სიცივეს. უკვე მარტსაც დაეტყო დაღლა (თუმცა, უმარტოდ ლექსში ყვავილს როგორ შეიტან?) ნელ-ნელა მძლავრობს მზეც და მალე ჩამოყრის დაბლა ყინულის შუბებს თეთრი ღრუბლის ვალერეიდან. უნდა იმარტოს მარტმა, რადგან ზამთრის გარეშე ეს გაზაფხულიც არ იქნება ალბათ, მარტივი, დიდხანს ზუზუნებს ქარი ავი და მოთარეშე და ალბათ, მალე დაინივლებს წვიმაც მარტივით.

ასე წრიალებს ნელინადი, მაგრამ განაგებს სითბო გაზაფხულს, როგორც ტაძარს, რწმენით ანაგებს.

ილება კარი. ნაბიჯების ხმა ორგან ისმის.
 შემოდის ვილაც, არ აქვს სახე, არც სული, არც ხმა.
 მკვიდრი ვიყავი სხვა ტანის და სხვა ორგანიზმის,
 მე ჭკუა დღემდე ვერ მასწავლა ვერცერთმა მარცხმა.
 ვეუფლებოდი ბატის ფრთებით ნაღდს და გაგონილს,
 მინდა კანკალი ვალექსილი, შემძრას ნანახმა!
 მინდა მელნის ზღვა და კალამი ექვსი ვაგონი,
 ვნახო, ვწერო და შევიშალო – მე ვარ თანახმა!
 არაფერია ჩემი ყოფა, იყო და გაქრა,
 როცა ნავიდა თვალებიდან ნითელი სტიგმა,
 საყოველთაო ვერ მოვხვდები მწვერვალზე, მაგრამ
 უცნობი მთისკენ ნამიყვანა უცნობმა გიდმა!

მადლობა მუზეებს, ვინც სიგიჟე დამაბადინეს
 და მაზიარეს პოეზიის კარაბადინებს.

ჩემს ირგვლივ ზღვაა

07.02.2014.

(სალომეს)

ჩემს ირგვლივ ზღვაა უნაპირო. ვდგავარ და გემებს
 მზერას ვაყოლებ და გიგონებ მაშინვე ჩემო,
 შენ მხოლოდ შენი არსებობა გადიადემებს,
 ძარღვებში რბის და შენით თრობის მერევა გემო.
 წყალუხვი არის შენი მზერა, როგორც ნილოსი,
 შენ გამიგრძელე შავი გედის სიმღერა ბოლო,
 ეს შენ ხარ სხივი ყველა მხატვრის ყველა ტილოსი,
 ანგელოზო და ერთადერთო, მზეო და ცოლო.
 ებრძვის გედს ტალღა, ქარბორბალაც უღმერთოდ ბლავის,
 ის იძირება, ის ფრთებს იქნევს, ღონიერს ერთობ,
 მორევიც სწრაფად ატრიალებს ფერწასულ ყვავილს
 და ვასწრებთ მხოლოდ გაფიქრებას: "შეგვინდე ღმერთო!"

და ზღვას გავს ჩვენი სიყვარულიც. ჩამძირავს იგი,
 ან ჰორიზონტზე ფრეგატების დადგება რიგი.

მოლოდინი

06.10.2013.

(სალომეს)

შორს ხარ, მოდიხარ გამალებით, რათა გიხილო და მარტოობამ ჩემი სახე უცებ გამურა... ჩემი ნაკრეფი ჩაგბნევია თმებში ღიღილო, მოხვალ და მოვა ეს სალამოც, როგორც ლამურა. მე გელი, როგორც შემოდგომის ყველა დეკადა, მარტო აღარ ვარ და მონყენაც აღარ მიზიდავს, ქარმა ღრუბლების თბილი სუნთქვა ჩამორეკა და მეც წამოვდექი საკუთარი პარაკლისიდან. ისევ ლივლივებს ხეებიდან ფოთლები ხმელი, შენ კი გზაში ხარ და დაგეძებ სულის ნახევარს, თვალებს მანათებ და ღვთისმშობლის დალოცვას ველი, შენ თუ არ მოხვალ, არ ამცდება გულის დახვეა.

მოხვალ და ისევ გამიქრება ყველა დებოში და კვლავ სიმშვიდეს შემოიტან ჩემს სამეფოში.

111

მენამულ ატმებს

28.08.2013.

(სალომეს)

რა შემოძლია, დაუნერეღ ნებსებს რას ვუზამ, როცა ჩემს თავზე ბედისნერის ტრიალებს ძერა, ან რა ვქნა, ერთხელ თუ დამტოვა მონყალე მუზამ? მან ჩემი ხელი აირჩია ლექსის სანერად. გადმოვიხვენე რადგან ჩემთვის უცხო მხარეში (შევამჩნიე რა – გილამურებს სახე ვარდებად) შენთან ყოფნისთვის სხვა ქალაქში გავითარეშე, სხვისთვის ეს მზერა არასოდეს აელვარდება. არსად არ არის შენი მსგავსი და აღარც სადმე დავეძებ, რადგან მოგიპოვე, ნაზი და სათნო, ლამის დუმილში ხელებს ვადებ მენამულ ატმებს და ცისარტყელა აკაშკაშებს ოთახის ტატნობს.

რადგან ზღვასავით უძირო ხარ, არაფერს ვეძებ შენს იქით... მხოლოდ ვიუკვდავებ ედემის მკერდზე.

წინილასავით უწყინარი, მფრთხალი ხვლიკივით,
 აყროლებული, როგორც ძველი ჩექმა უპოვრის,
 მე ვნახე კაცი, კალმით ხელში ბოროტს მიჰკივის
 და სარკეს უმზერს, თითქოს ნაკლი უნდა უპოვოს.
 სარკიდან ხტება ანარეკლი! ამბობს და იგი:
 „მე ის ვარ, ვისაც შენ დაუდგი ადრე ძეგლი და
 ახლა არ მოგწონს! მეფეც ხდება ზოგჯერ პაიკი
 და შენც დაემვი მყრალ გუბემდე ანარეკლიდან!
 ხანდახან სული დაეცემა, ხანდახან მიდის
 ისე ამაყად, ღმერთის გვერდზე გაევილოს თითქოს,
 ხან ქრისტეს ვყიდდით და საკუთარ სამარეს ვთხრიდით,
 ხან ვითმენთ ყოველს და ამაოდ დავეძებთ სითბოს.

112

უფლის შექმნილი, უცნაური კაცი რამ არი:
 ის ხან გუბეა, ხან ცრემლივით ნაკამკამარი.

ყვავილების საფლავი

30.12.2010.

სახე ბურუსში. მზერა ბნელი. ნიშანი კითხვის.
 ძველმა ღალატმა ჩემი სული ველარ გაზარდა.
 ჩემს ისტორიას ყვავილების საფლავი იტყვის,
 როცა ვიდგები მოდრეკილი გოთურ ტაძართან.
 მე განვიცადე დემონური შეხება ქარის,
 ნერვების კრახი, მოკლებული მზეს და ვარსკვლავებს,
 ჩემს გულისცემას ისევ ლეჭავს ბილნი აფთარი
 და ჩემი ბნელი ვარსკვლავები სუნთქვის არსს კლავენ.
 ვარ გაკიდული ცას და მიწას შორის და ვხედავ:
 ეხეთქებიან ზღვას კლდეები, თვალებს წვიმები,
 მეკვრება კრიჭა! ისევ სიკვდილს ვნატრობ და ნეტავ,
 „ასე დასჯილი, ნეტავ, როდის გავილიმები?!“

ალარასოდეს! მეგუდება ჰაერი ყელში,
 რომ მარად ვიყო დავინწყების და ხსოვნის ელჩი.

როცა ჩაივლის მოცინარე, ლურჯი დღეები,
 როცა ეს თეთრი ქალაქებიც გაყვითლდებიან,
 როცა შენს თვალწინ მოკვდებიან სამოთხეები,
 როცა ჟამთასვლა ჩაგიღამებს თვალებს, ვნებიანს,
 როცა დაყვება ღამის ბნელი რიჟრაჟის კიაფს,
 როცა დღეები გვექცევიან ღამაზ ფურცლებად,
 როცა თვალები ჩააქრობენ ღამის ფორიაქს,
 როცა წარსულის სიცხოველც გასათუთდება,
 როცა ჩემს მიერ მოგონებებს აქცევ გოდებად,
 როცა ლექსებით ავიშენებ უდრეკ გაღავანს,
 როცა მომაკვდავს სიკვდილიც კი დამელოდება
 (როცა მიხვდები, სიკვდილისთვის ჯერ მზად არა ვარ)
 როცა მაგ თმებშიც უღმობელი ჟამი ჩაბარდნის,
 როცა აივსებ უნაპირო ტბის კალაპოტებს,
 როცა ვერ დამძლევს ტბის სიღრმეში შიში ჩავარდნის,
 როცა შენს სახელს ლექსს სიზმრებშიც ამოაბოდეbs,
 როცა ვერ შევძლებ მწუხარების ცრემლით მორევას,
 როცა ნერვულად შევებმები ტკბილ-მწარე ეკლებს,
 როცა ხილვებში ღამით მოხვალ სტუმრად Forever ,
 როცა მორფევსი გააცოცხლებს შენს ანარეკლებს,

ვარდის ფურცლებად გენვევიან მემუარები
 და შევბას იგრძნობ – ფურცლებს ველარ ეუარები.

ფრენა

02.01.2012.

ეს გული ბატარა ბარტყია, ცხოვრება ხიდია ბენვის,
 გარშემო ღრუბლები მარტყია, თვალები ნვიმებით მენვის.

ნეტავი, სად არის ფესვები შენი სიყვარულის, ღმერთო?
 უშენოდ უფსკრულში ვეშვები, შენით ვარ ძლიერი ერთობ.

მაკლიხარ, მაკლიხარ, შემოდი ჩემში და მომეცი რწმენა
 და სულში სიცოცხლის გემოთი ბარტყს ცაში ანავლე ფრენა.

ვაიმე, დემონი თავის ქალაში ზის,
ჩლიქებით მეხება,
მზე მხოლოდ დამცინის: სიზმარიც ჰაშიშის
ფუნჯებით შეღება.

ყველგან მორიელი, ყველგან მარნუხები,
შხამი და კბილები,
სიკვდილის მოთხოვნას ვერ ვეპასუხები,
მკლავენ ბორკილები!

მე გავრბი, მე გავრბი, ვეცემი, ვდგები და
სიჩქარის წყურვილით გავურბი მე ისევ,
იმედი მამათა მოდის აბგებიდან
და სადღაც კოცონი ტირის პომპეიზე.

ვიცი, რას მალავენ სამყაროს ჩადრები,
მთვარის ბნელი მხარე ჩემი რწმენა არი,
მუქშავი ხილვებით არ დავიჩაგრები
და გულში ჩამიკრავს ლექსი-ზენაარი...

სულთ, თუ გინახავს ვარსკვლავთა რიფები,
კუბო მოჭედილი, ან ოქროს რიკული?
მიქრიან ღრუბლები, მათში ვითქვიფები
და სუნთქვა მინყდება... მწვავე, ტრაგიკული!

არაკაცებო, ნუ მკბენთ! მე მაქვს ერთი იდეა,
ღირსი მეფობის, ღირსი ხსოვნის, ღირსი დიდების:
ჩემს მეფობაში თუმცა, მხოლოდ სიღარიბეა,
მე ხელმწიფეზე ხელმწიფობა ხელმწიფების!

გისოსების მიღმა 17.07.2014.

(გვეჯუთის ციხეში საღამოს შემდეგ)

გისოსების მიღმა იმალება სევდა,
პატიმრები სხედან, მდინარეა ფიქრის.
ოთხკუთხედი სივრცე თეთრ ოცნებებს ხევდა,
სამომავლო ნერგი უდაბნოში მიქრის.

მიუღია ყოველს კვადრატული ფორმა,
უფოლადეს ბოქლომს ხმები ესმის გესლის.
გაიხარა ხორხში სარკასტულმა ჭორომა,
დაფლეთილი სივრცე მღვრიე თვალებს შეშლის.

გუშინდელი დღეო, ბილნ სასწორზე დადე
ავადმყოფი სახლის სევდისფერი ჯვარცმა,
დაგვაფარე ღმერთო სინანულის ბადე,
რომ თავისუფლების გემო ნახოს კაცმა!

115

უდაბნოთა ბოლოს 30.06.2014.

უდაბნოთა ბოლოს გაანათა სვეტმა,
განდევილი იდგა, ქანდაკება თითქოს,
დადუმებულს ჩემი თავის მინევს შეჭმა,
აღვდგები და გავცემ შეპირებულ სიტბოს.

უმაღურო დროო, სიბერისას ნახავ,
რომ უდროოდ კაცთა სიხარული ჭამე,
აკივლებულ კლდეთა ჩავითრიოს ხახამ,
თეთრ თვალებში გედოს უბოლოო ღამე!

მეჩხირება ყელში ღრიანცალი კლდეთა,
ყრუ მღვიმეში ვდგავარ ამალლებულ კლდეში,
აორტამი ავად მოჩუხჩუხებს ლეთა
და მინდება, უფრო დავემსგავსო შეშლილს.

შევდივარ დარბაზში. სიბნელე დადებით
აურას მიქმნიდა. ირგვლივ თეატრია.
ოთახი ივსება ყვავებით, კატებით,
სინათლე ღრუბლებში მთვარემ შეათრია.

უკან ვტრიალდები, გავრბი და ვეცემი,
ბილიკს იარაზე წვრილი დანა ტოვებს.
მე ღრენით დამდევენ ლანდები, ბეცები,
გზაზე თავს მესხმიან მარტო დანატოვებს.

ხორხში მეჩხირება ღამე კუპრიანი,
ირგვლივ გომბეშოთა ბილნი ბენდებია...
ჩემთვის ვერ იქნება დილა უპრიანი,
ჩემთვის ეს დღეებიც აღარ თენდებიან!

სკამები, ჩრდილები... ბინდი, ოვაცია,
იქ, სადაც გაფრენა უნდება მსახიობს,
შიშის რევოლვერი სადაც გლოვაშია,
რომ ბნელში გასროლის სურვილი დახიოს.

ჭერზე უამრავი ბრწყინავენ ჭალები
და მტვერს, მარადიულს, სუნთქავენ სვეტები,
რქებში მოჩვენებებს მკერდით ვეჯახები,
პირისპირ საკუთარ ფიქრებს ვეფეთები!

ყველგან თეატრია, ყველგან თეატრია!
შუბლით დავამსხვრიე სიცივის ტიტული,
თვალმაც ფარდის მიღმა სივრცე შეათრია,
როგორც ქალწულები მკერდნამოჩიტული.

ფარდა. აინთება შუქი სასახლეში.
ტაშის აფეთქება ძალ-ლონეს იკრებდა...
მაგრამ მარტოობა, თავში დასათხლეში,
მუდამ მარტო რჩება პოეტის ფიქრებთან.

ბაფრენა

18.05.2010.

გარშემო სიჩუმის ტალღები მარტყია,
მე ველი გაფრენას, როგორც მზეს ტყე-ველი,
მდუმარე მუზების ბრმა საკურთხეველი
და საკურთხეველთან პატარა ბარტყია,

უნდა ეზიაროს სტრიქონებს მარადისს
და დიდ საიდუმლოს უცნობი ბარათის.

მაგრამ არსად არის სულისთვის ნუგეში...
და ის, ვინც მიყვარდა, მე ველარ მალიმებს,
სიზმრად ველარ ვხედავ მლიმარ სერაფიმებს,
მხოლოდ უიღბლობა, ბოროტი, უხეში,

წყვდიადმა მოიცვა წყალი და ხმელეთი,
სული შეიმოსა უცხო სიბნელეთი.

ვიცი, შემინირავს ცნობადის ბრმა ტყვია,
ანდა მიპოვიან ქუჩაში უსახოდ,
რადგან შემიძლია, მომავალს ვუძახო,
რომ სულში ლექსების ბეჭედი მატყვია.

ვინ, იცის, ის ჩემს სულს ავნებს, თუ არ ავნებს,
მაგრამ მე გავყვები ძილში მათ ქარავნებს.

ბრიგალი

04.04.2012.

ბუხარში გრიგალი გრიალებს, თუ დაისს აკლია ხმა შენი?
ენგრევათ იმედის ფიალებს კედლები, წვალეებით ნაშენი.

გრიგალი გრიალებს, თუ ქარში ბლავიან ჭინკები, ალები?
კივილი ჩამოდის ბუხარში, ჩამოდის ტანჯვით და წვალეებით.

გრიალებს ბუხარში გრიგალი, ბუტბუტებს ბავშვობის ზღაპარი,
მენგრევა მე ნაინტრიგალი კოცონის ალები, ლადარი.

დიდია სამყაროს ბინძური ხახა და
 დიდია სიკვდილის შიში და სახე,
 კალამმა ჩემს სხეულს სამოსი გახადა,
 ლექსებში სამყაროს სიშიშველე ვნახე.

ფურცლებზე კენჭებად მოჩანან დევები
 და კენჭებს ეძლევათ კლდის ზომა გარეთ,
 სამყაროს ბურუსში მწვერვალებს შევები,
 ჩემს მხარედ ვაქციე უცნობი მხარე.

მარშია ოცნების... და წყდება ის მარში,
 მძინარეს სიფხიზლე მატყდება ახლა,
 მინის ვარ, თუ მღვიძავს, დავფვრინავ სიზმარში,
 დავფვრინავ კაენის სამყაროს მაღლა.

118

თრთვილის თრთოლა

27.10.2014.

თეთრ თითებთან თამაშისას ვითათბირე თოვლის თმებში,
 თუთის თვეში გავათრიე მოქათქათე ხელთათმანი,
 დავითმინე მთებზე თრევა, ვთრთოდი, ფრთები ვთალე თლილი,
 თამამ თვლებში ვითამადე, აკლდამებთან ავქვითინდი,
 მითს სათითე გავურითმე, ვაბათქაშე თრთვილის თრთოლა,
 თვითონ დათვის თათმა მთელა, გავათიე თეთრად თქემში,
 გავათმაგდი, დავითრიე კუდით ალთა მეთაური,
 ვთქვი თელეთის მთავარ თემში ცისქვეშეთის მთელი კეთრი,
 ყვითელ თვალთა რითმებს ვთვლიდი, ფრთიანობდნენ გუმბათები,
 ფუთფუთებდა თურმე ჩანთის ლაბირინთში მთვარის თარო,
 მახათს თასში ჩასათხლეში დავანათლე სითხე ერთობ,
 კვართს ჩავუთქვი ათას თავში უღმერთობის არითმია...
 ერთან ერთზე ვიკამათებ, ვითავხედებ მთავარ ქართან,
 ვითარეშებ თათარაში, გავფითრდები ღამით შხამით,
 ლითონს ვათრევ ხართა ზურგით, ღმერთს სამოთხეს
 შევთხოვ შენთვის!

ნანსავებად დავწან წალდი, მენამულად ავწანწალდი,
 წამში წვიმად წამოვედი, წავიკითხე წუთის წვეთი,
 აწრიალდენ წინილები, წივის წრეზე წვრილი წალი,
 წერთა წიაღში მწამს წამების, წმინდა მინის წამწამების,
 ვწნავ წათხში კვანარახებს, ვწნავ წანწავებს წერაქვების,
 ვუწილადებ წალამს წამალს, წყალთან წელმა წაიტირა.
 წყვილ წინაკას აწრიბინებს წურბელების მწარე წოლა,
 წყარო წყვდიადს აწანწკარებს, წერს ბროწეულს წლის წადილი.
 წინვებს წკირი აწკაპუნებს, წავატეხე მწვერვალს წვერი,
 წერტილების წითელ წანალს წამოვხადე წრიაპები,
 წინ წავიდეთ, წინამურთან, წავეწიოთ წმინდანს მწირნი,
 ვანწრილოთ წელიწადი, ვწეროთ წრფელი წერილები!

ბუმერანგი

21.05.2015.

ბნელ ბუდეში ბრიალებს ბზარი ბერი ბელზებლის,
 ბილწი ბარდა ბანაობს ბევთარ-ბაირალებში,
 ბლენძი ბოლი ბარდება ბოროტების ბუნავში,
 ბანდა ბადრი ბინების ბრმა ბარაკებს ბებერი.
 ბრვე ბიდონის ბინადრებს ბოლავს ბავში ბომბორა,
 ბუმერანგი ბრაზიან ბარაბანში ბუინობს,
 ბერწ ბარაბას ბერავდა ბურუსების ბურანი,
 ბრალი ბლავის ბრბოების ბედნიერი ბანდების,
 ბარში ბარდნის ბომონდის ბრიყვი ბალალაიკა,
 ბოლმა ბინდი ბლალავდა ბგერებს ბრძენი ბუნების,
 ბარტყი ბობლავს ბაზარში, ბევრი ბანკი ბარბაცებს,
 ბანკროტ ბატკანს ბორდელი ბეჭდავს ბამბის ბოთლებში.
 ბალადებში ბარათის ბაგეები ბრწყინავენ,
 ბუნტი ბორგავს ბანაკში, ბენდის ბანი ბერდება,
 ბეთჰოვენი ბიბინებს, ბალებს ბრმეები ბერტყავენ,
 ბაირონის ბადალი ბელადია ბადეში!

როცა შვილს ელოდა ვინმე იოსები,
დალონდა ძლიერ:
„ცოლი – ანგელოზთა ნაგენიოსები,
შვილი – ვის მიერ?
დე, ფარულად ნადი, ნადი, მარიამო,
შენდა მშვიდობა,
იყავ ბედნიერი, თუნდ ცოლ-ქმრის გეამოს
უამინდობა“...
და ესმა სიტყვები, სიზმარში ნახული:
„ძევ დავითისა,
ვინც მარიამშია, არის ჩასახული
სულიწმინდისა.
ძეო დავითისა, ნულარ დაფიქრდები,
მიილე ცოლი,
რადგანაც, წმინდაა, ვით თეთრი ფიფქები,
ფიფქები თოვლის.
მას ძე გაუჩნდება, იესოდ მონათლავ,
ის გადაარჩენს
და თავზე აიღებს სულცოდვილ მონათა
ღვთიურ განაჩენს“.
მოხდა ყოველივე ეს, რათა აღსრულდეს
უფლის ნათქვამი,
რომ აღარასოდეს არ გაუდაბურდეს
სული ადამის.

ჩვენი სამყაროს ოკეანე 14.06.2014.

(სალომეს)

შენ უნდა იწვე ოქროს მოლბერტზე,
სადაც ცრემლივით წვეთავს გუაში,
გზას გვინათებდეს მთვარის თვალები
და ვარსკვლავები გვედგნენ შუაში,

გრძელი ნაწნავით ისროდე ქამანდს
ჩემი გულისკენ, სადაც დაბადა
ალმა ცეცხლი და ცეცხლმა ხანძარი,
სულმაც გაიძრო შავი ლაბადა,

მუდამ ვუსმენდე მენამულ კისკისს,
როგორც ბუხარში სალამოს ტიტინს,
ყვავილებიან ბალში, სარკმელთან,
შენი ხელიდან კენკავდეს ჩიტი,

განთიადივით ბრწყინავდე, როცა
შენს სახელს ვამბობ, ანდა, მაბოდებს,
ქოთნად დამედგას ჩვენი სამყაროს
ოკეანეთა საკალაპოტე,

მაშინლა ავდგე მარადიულად,
თუ სიყვარულის ფეხით დავეცი,
ტაში დაფუკრათ სიკვდილის სიკვდილს,
მადლი გვანვიმდეს უუკვდავესი,

მხრებით გეზიდოს შორს გაფრენილი
თავისუფლების მტრედების ფერი,
სულ იშრიალონ ჭალებმა მწვანედ,
როცა სიცოცხლის სიმღერას მღერი,

მდინარის ტალღა შენამდე ნეტავ
ჩემს გრძნობებს საით მიაქანებდა?
სად მიდიოდი, როცა გიპოვე
გაზაფხულების იალქანებთან?

მაშინლა ავდგე მარადიულად,
თუ სიყვარულის ფეხით დავეცი,
თავი მოიკლას სიკვდილის სუნთქვამ
ჩვენი სიცოცხლის სიუკვდავეში!

უნყინარი გაფრენების ვითხოვ ნებას,
ვხედავ ლანდებს, მახინჯებს და კუზიანებს,
მიღრენს ღამე და ბუხარში ინვის, დნება,
მოჩვენებებს ბინდი კუზებს უზიანებს,

მზე მაბრმავეებს და ბურუსის ვდია ლეში,
ცა ნათდება, შემომხევედა ალბათ, მზე შინ.

ეს ცხოვრება ანგელოზის არ გავს ნაშობს,
ამ ცხოვრებამ ეკლიანი გზა მომარგო,
პირზე მუდამ ღრმა სიჩუმე დათამაშობს;
ასეთია, ალბათ, ჩემი სამონარქო...

122

ვარსკვლავები მთვარეს ცაზე მიუბია,
ისევ ბნელა და დუმილის ტრიუმფია.

მომტრედისფროდ იღებება ფერი ზეცის,
იზრდებიან შავად ნაძვი და ჯეჯილი,
ვიცი, სიკვდილს რომ ვუყვარვარ... მიყვარს მეც ის,
მაქვს ნანახით გული ორად გაგლეჯილი,

მაგრამ სულში მოციქულთა დედანია,
ვუსმენ ზარებს... და დამყურებს ბეთანია.

ჩემი ჯვარის სურვილი

12.02.2014.

მეგობრობა გამინიე, გევედრები, მტერო,
ღმერთმა მოგვცეს, რაც გვჭირდება, ის მომეცი, მე რომ
მიყვარდა და მეყვარება – სიყვარული მომეც.

დავეთანხმოთ მშვიდობას და „არა“ ვუთხრათ ომებს,
ველარ ვიტან ჩემს თავს ასეთს, გრძნობა მინდა წმინდა,
უმშვიდობოდ განთიადიც იქცა ჩემთვის ბინდად.

ღმერთო, ჩემი ჯვარი მინდა, ავიტანო მთაზე,
გამოხედვა მინდა შენი, სიყვარულით სავსე,
გაიფანტოს ყველგან ბნელი, შუქი დადგეს დაე.

განაშორე დემონები ჰეროდეს და კაენს,
ჩამისახლდი ღმერთო სულში და იქ მუდამ დარჩი,
არ ნახვიდე ჩემგან არსად ავდარში და დარში.

მუდამ ჩემში რომ იქნები, დაგემსგავსო იქნებ,
დავეთრევი უმიზნოდ და ჩემს გზას ველარ ვიგნებ,
იქნებ, შენი დამაფარო ეკლიანი ჯილა.

ან ვინა ვართ კაცნი უღვთოდ, ან ვიქნებით ვილა,
ხორცს რომ სული დაუღებება, რჩება მხოლოდ გვაში,
საუკუნის უდაბნო და განდევილის ნაში.

123

ფრინველი მინაზე 06.05.2008.

თუ ცაში აფრენილ ალბატროსს
მინაზე დაშვება უნდება,
თუ უნდა, ის სივრცე გაფატროს,
ზევიდან ქვევით რომ ხუნდება,

შეცდომას დაუშვებს ის ამით,
მინაზე სიცოცხლემ არ იძმო,
იხარე ციური სისხამით,
თუ გინდა ირაო გართიმო!

ფრინველო, წესია ბუნების:
ფრინველებს მინაზე მტრობენ და
მწარეა ნაყოფი ცდუნების!
ცა ხომ შუქს შენს თვალებს მოფენდა?

რა გინდა მინაზე, სადაც ეს
სიცოცხლე ბეზრდება დორიანს?
მინის ხმამ რა უნდა გადასცეს
შენს მდუმარ ზმანებებს, ზმორიანს?

შენ მოგანიჭე დაფნა... შენ, თოვლისფერო ბინდო,
 ნეტავ ამ გულმა რა ქნა? ეჰ, აღარც გული მინდობს.

ვეტრფი თავდახრილ იებს და მუხის ბებერ ტოტებს,
 გრივალნი მოიძიებს სულში წვიმისფერ ნოტებს.

ისევ ხარხარებს ქარი... და შემოდგომის ქარვა
 ისევ მწუხარედ არი... მეც ვარ, მაგრამ მე არ ვარ!

ქარსაც ვანიჭებ გვირგვინს, ქარი მე ბინად მექცა,
 კიდევ – მთა, ტყე და ჩირგვი და ქარისფერი ზეცა!

რა კარგი იყო ჭყვიშვი... მზე, პოეზიის ფუნჯი,
 სიამოვნება გიჟი, სოფლის შარავ ზა მუნჯი,

რიონი წმინდა, ცივი, სტუმართმოყვარე ხალხი,
 ოქროს სალამოს სხივი და მდუმარების თალხი.

აჰა, იშლება ტაბლა, აჰა, იხსნება ქვევრი,
 მზემ ჩაიხედა დაბლა, რომ გაანათოს ტვევრი.

დღეს აქ ვართ, ხვალ იქ, მაგრამ არ უნდა ვიყოთ სადაც,
 მზეს მოვეხვიოთ მაგრად, წყვდიადს ვებრძოლოთ ათასს!

ხალხი მიგყავდა, როგორც გემი მიყავს კაპიტანს,
 ხალხს დედობდი და ტახტი გეპყრა, დავითის ცოლო,
 ჩოხა არასდროს არ დადგება ქალის კაბიდან,
 მაგრამ შენ მეფობ ქალთა შორის მხოლოდ და მხოლოდ.

მკვდარი ვარ. ქვესკნელშეთქვეფილი მე ვლექავ ლოდებს, აღარ მალეღვებს, ცნობადის ხე ახლა რას ისხამს, ვუსმენ ნიანგებს, ჯოჯოს სისხლით ვწერ გიშრის ნოტებს და მშობიარე დედამინას ვუსმენ საზიზღარს.

დიდხანს ვტიროდი, დიდხანს ვტკეპნე ცისკენ ბილიკი, მაგრამ ჩემს დემონს ედემისთვის აღარ ცალია... დღეს ქვესკნელს ანგრევს ჩემი მოთქმა, ჩემი ქვრივი კი მარადიული მარტოობის პატარძალია.

ყოფილი

21.11.2010.

ცხოვრების რიტმში ბნელ გრიგალებს ფოთლად ვერგებით, ამ სტრიქონებით მისამართი ახლა you are!
– ცივი თვალები, ნანვალები აისბერგებით და ჩვენი ტრფობის ნამლეკავი ინტერვიუა!

ზიზღის მომგვრელი, ცინიკური კითხვა მაზიდებს!
ცინიკოსები დარჩებიან მუდამ ძალღებად!
ასე უარყოფ ძუ ეშმაკებს და პარაზიტებს,
გულს მირევს მათი ნაყოფების გასაძაგლება!

ელგარი

30.05.2009.

სულის მუსიკად აღიქვამდა უნაზეს ყვავილს, ის თავის ნერვებს ვერ ხედავდა ყინულის ლოლოდ, სახეშეშლილი ახლაც ტკივილს ზეცას შებღავის: „დე დაიქეცი, თუ ტკივილი ჩემია მხოლოდ!“

მან ვერ იხილა თავის ყოფის ნამოქმედარი, ის მკვდარიც წყევლის მოურჩენელ თავის იარებს და უსამართლო ტანჯვა-გვემის გამო ცხედარი დღეს გამარჯვებულ გარდაცვლილთა ბედს იზიარებს.

ჩვენ ვნახეთ სივრცე და სიმაღლე მონარქის ტახტის, ვიარეთ მთებში და კოშკების ზღვაში შევცურეთ, გმირების მინავ, ცის და ღმერთის სურნელი აგდის, როცა ჯიხვივით ვეუფლებით კლდოვან ხევსურეთს.

* * *

29.05.2011

ირგვლივ შავია ყოველივე... ვნატრობთ სხვა ფერებს, არც შუქის აღქმა შეუძლიათ თვალებს, ფაქიზებს, ვეთაყვანებით ყოველს, რაც კი გვკლავს და გვაბერებს და რაც უსაზღვრო ჰარმონიას გვიდრამატიზებს.

* * *

06.06.2011.

ხანდახან, როცა გავბრაზდებით და სული მიგვდის სიკვდილისაკენ, წუთით გიშრის ბავეს დავკოცნით, თვალს გავუსწორებთ ღამის წყვილადს – პატარა სიკვდილს და შევშინდებით სიკვდილისგან მზერანატყორცნი.

უპაერობა

07.01.2011.

„სიყვარული ატრიალებს დედამინას“...
ცაში მტრედთა მოფარფატე გუნდებია,
ჩემი მუზა სიკვდილისგან ვერ დამიცავს,
თუ შვილები შინ ძონძებით ბრუნდებიან.

ჩამომკიდეთ გულზე მძიმე მე ლოდები,
სულის გარეთ, ვიცი, ყველგან ჰაერია...
მოდის დილა, მე კი ღამეს ველოდები,
ჩემს სიცოცხლეს მისამართი აერია...

ჩემს პირდაპირ

10.01.2011.

ჩემს პირდაპირ ტაძარია, უკან – ფრთები ღამის,
ხილვაც ქალმა გადარია, ვიღრიალო ღამის.
მეუფლება დეპრესია – მზე ვარდება ზღვაში;
თუ ცხოვრება ხეპრესია, ბრძენმა რა ქნას მაშინ?!

ახალი მთვარის ხელჯოხი

30.03.2007.

გაშინებდა ყორნისფერი, უბოლოო კალთები,
გაურბოდი ახალ მთვარის ხელჯოხს, ცეცხლში ალესილს,
ტბის სიღრმეში ჩაფრქვეული ნვიმად მუსიკალები,
რომ სიცოცხლის თრობად იგრძნო განცდა ჩემი ალერსის!

127

ჩემი შვილი

02.11.2011.

ჩემი შვილია ჩემი სევდა. „გთხოვთ მომინათლეთ“...
მე ვევედრები ყველა ქრისტიანს.
არავის უნდა!
ყალბი ღიმილით „უკაცრავად“, მეუბნებიან.
მე რა ვქნა, რა ვქნა? ჯოჯოხეთში გავვ ზავნო შვილი?
მე გევედრებით: მომინათლეთ! პირმშოა ჩემი,
მამა ვარ, მამა!
გსურთ, თქვენი შვილი ბინადარი გახდეს სამოთხის?
ასეა, ვიცი.
მაგრამ მე რალა დავაშავე? მე ის ავად მყავს!
მე ის ყველაზე მეტად მიყვარს, რადგან ავად მყავს!
მე ვეძებ სულის ჰიპოკრატეს,
მე ვეძებ ჩემი სულის ნათლიას,
შველა მჭირდება, ვილუპები,
არ გინდათ, ნახოთ ჩემი მუხლები,
გადაყვლეფილი დაბლა ფორთხვისგან?
მთხოვეთ, იხილავთ.

ჩემი ნერვები განიცდიან საშინელ ნგრევას,
 მაშინ, როდესაც მპირდებიან და მატყუებენ!
 მე გევედრებით: ნუ მატყუებთ! თორემ იცოდეთ,
 მეც გამოვიბამ ცოფიანი ცოდვების ენას,
 ვაგვიუბულმა წყეულ თავზე რომ დავიტეხო
 ორიათასი სისხლიანი წლის განაჩენი!

ქუჩის სიმშვიდე

30.11.2014.

წვიმს და ქუჩაში რანაირი არის სიმშვიდე!
 ქათქათა შურით შემოდგომის ყვითელი ფოთლის
 შემშურდა: მას ხომ შეუძლია ასეთ დროს ფრენა.
 წვიმის წკაპუნის ფონზე მოჩანს ქალაქის სივრცე
 და ეკლესია-მონასტრების დამუფლებია
 უბერებელი საუკუნის სიმშვიდე თვითონ!
 პატარავდება ჩემში მხეცი, სხვა რალა გზა აქვს,
 ვერაფერს იზამს, რადგან ნახა ჩემმა ცხედარმა,
 მირონმდინარე სასწაული ნახა ხატების.
 პატარავდება, რადგან ვუსმენ ყოველდღე სუნთქვას
 ხეპრე ბრბოსადმი ხელგაშვერილ მაცხოვრის შუბლის!
 და მე მშვიდად ვარ, რადგან მხეცი თუ მოკვდა ჩემში,
 სხვა რალამ უნდა სული ჩემი დააუძღუროს.

128

ღუმილის ბაასი

26.10.2014.

როგორ ტრიალებს დედამინა! ყურს ვუგდებ ღუმილს,
 რომელიც მეფობს ყველგან და მუდამ,
 ამბობს ყველაფერს, რასაც ვერ ვისმენთ,
 როცა გვწყურია სიტყვების წყალი
 და კვლავ ტრიალებს დედამინა, აღარ ჩერდება
 და ისევ ვუსმენ მარადიულ ღუმილის ბაასს,
 როცა ფუჭია ირგვლივ სიტყვები!

ადამიანთა უმწეობაზე არ გაიცინოთ, გემუდარებით.
 მე უმწეო ვარ, მაგრამ არასდროს
 არ ვაღიარებ ამას თქვენთან,
 მხოლოდ დავწერ და დავიტოვებ პანია იმედს,
 რომ არ იცინებთ ამ სიტყვების ნაკითხვის შემდეგ.
 მე მიჭირს, მიჭირს ამ სიტყვების დანერა, მიჭირს!
 დღეს ჩემი სული ტირის შივნით. მინდა ვიცოდე,
 მინდა ვიცოდე, რომ თქვენი სახე
 არასდროს აღარ ითამაშებს, როგორც თეატრი.

გამიგეთ!

19.01.2011.

შუბლით დაკვანრავ დედამინას! რა გინდათ ჩემგან?
 გრძნობებს დავანთხევ საფლავის ქვას,
 ხელისგულებზე მზე დამინერს ცეცხლოვან სიტყვებს,
 ხელებს სახეზე ავიფრებ სარკის წინ, მაგრამ
 ვერ გაექცევა ჩემი გონება
 ცეცხლოვან სიტყვებს, ხელისგულებზე რომ მანერია!
 შუქურებია შემეცნებავ, შენი თვალები,
 ის თავის ქალის კარებს მინგრევს, ტვინში მეჭრება,
 რომ გამაგიჟოს!
 გამიგეთ, არ მსურს, თქვენ რომ გგავდეთ,
 მაგრამ თქვენს მიმართ სიყვარულში ხელს ვერ შემიშლის
 საკუთარ მძაფრი ნაპირების თქვენთან სიშორე!
 მე გადავხტები ღრმა უფსკრულში, ჩვენ რომ გვაშორებს,
 კბილებით ავალ მეორე მხრის კლდოვან მწვერვალზე,
 მაგრამ მე მაინც მოვალწევ თქვენთან!

ოცდამეხუთე შემოდგომას ითვლიდი მაშინ,
რომ შეგიცანი, შავ-თეთრო მთვარევ.

იყავ უმწეო, მაგრამ მაინც (მთვარე მთვარეა)
მაინც ხედავდი მთელ დედამიწას.

მე არ ვიცოდი, თუ შეეძლო წყვდიადის მნათობს
ადამიანთა გაშუქება და დაბრმავება.

მე არ ვიცოდი, შენი თმები თუ დამახრჩობდნენ,
მომეხვეოდნენ ყელზე გველივით.

მე არ ვიცოდი, თუ მთვარის სხივს შესწევდა ძალა,
სიცარიელით რომ დავესაჯე,
რადგან მეგონა, თვითონ მზეც ვერ გამიბედავდა
სხივთა თვალეებში შემონათებას.

„კოსმიურ სხეულს რა შეუძლია – ვფიქრობდი მაშინ –
კაცის ბედ-იღბალს როგორ გადანყვეტს?

გათენდება და დალამდება, ამოვა, ჩავა,
თავს შემახსენებს და დამავინყებს“.

მე აღარ ვიცი, მაგიურო შავ-თეთრო მთვარევ,
დღე რომელია, ღამე რომელი.

ამერია და დამავინყდა დღე-ღამის ფერნი.

შავ-თეთრი მთვარით გონარეული

უფერო მთვარეს ორფეროვანს, შავ-თეთრს დავარქმევ.

მთოვარი მთვარე ახლაც მათოვს, ჯერ ბიჭს, მათეთრებს,

გარდა გულისა, ათეთრებს ყოველს,

ამიტომ, შავი გული აღარ აღმერთებს

და დავინყებას ამიტომ თხოვენ.

მაგრამ ვის ძალუძს დავინყება მისი ნაკვთების?

როდესაც შენზე მოგონებებით

გასათუთებულ გულისცემას გამისინჯავენ

შავ-თეთრი მთვარის თლილი თითები,

ღამით მე კვლავ შენს ერთგულებას დამაფიცებენ

და უარყოფილს ისევ მოგძებნი

და მთვარევ, შენზე ოცნებების მიერ დევნილი

დაგიბრუნდები შვილი უძღლები.

გპირდები, ჩემთან პაემნებით შენც გაიხსნები

და ერთმანეთით ნაავადარებს
სხვა ნათელ ფერთა შეგრძნებებიც დაგვიბრუნდება,
შენ ზენიტისას შევიძლია შავ-თეთრო მთვარევ,
მინიერ ძალთა მოდრეკა და გასათუთება.

მე – დასჯილი

18.07.2009.

(Pink Floyd-ის ერთ-ერთი კლიპის ნახვისას განცდათა ნაზავი)

ოჩოფეხებით ვარდისფერი სითეთრე მოდის,
ქვაფენილებზე მოგორავენ ვაშლები ჩვენსკენ.
წყალში ელექტროგიტარები ცურავენ ზევით,
შავი დინების საპირისპიროდ.

ორი ბრმა კაცი შუადღისით ეძებს ერთმანეთს,
ეჯახებიან, ხელს ართმევენ და ეხვევიან,
ქვაფენილზე კი მოგორავენ ვაშლები ჩვენსკენ.

ჩვეულებრივი სუნთქვა ჩემი ვიცი, რა არის?
არა. ის არის უცხო, უცხო, უცხო და უცხო
და უბინაო სიზმარია ჩემი ცხოვრება,
მოხეტიალე, გაოფლილი და დასჯილია,
ისევე, როგორც მე ვიქნები მუდამ დასჯილი.
არ შემიყვაროთ გოგონებო, ვისაც გგონიათ,
რომ არ ღირს ჩემი სიყვარული! – ჩემი ცხოვრება
მუდამ დასჯილი სიზმარია მოხეტიალე.

ის თქვენ მოგიტანთ დაუვინყარ, რალაც უმძაფრესს,
რალაც უცხო ავადმყოფობას.

მე ვიცი, რატომ არ გიყვარვარ, ჩემო გოგონავ:
შენც იცი, მოაქვს ამ სიყვარულს უბედურება
შენთვის ისევე, როგორც ჩემთვის მოქონდა მუდამ,
მაგრამ არ იცი, ჩემი ხსოვნის ავადმყოფობა
რა ტკბილია და დაუვინყარი.

მე კი გთხოვ, რადგან მარტოობა მომიღებს ბოლოს,
ადამიანთა განწყობის მტერს ნუ დამიძახებ.

შეუნუხებლად რომ მიყვარდე, შენ ხომ გეყოფა
ჩემს არსებაში ჩემო სიცოცხლე?

ადამიანთა განწყობის მტერს ნუ დამიძახებ!

ქალაქის ბოლოს, ნაგავსაყრელზე,
ადამიანთა დაძრწოდა ჯგუფი
– მათთვის იქაა პური არსობის.

გადამხმარ ველზე ღამე უსმენს ტურების კივილს.
თეთრი მთვარის ქვეშ ქეიფობენ ტურებთან ერთად
ჩამოძონძილი უპოვრები და ხაფი ხმები
ხარობენ ხორხში, სადაც ერთ დროს უხსოვარ დროში
ჩაეშვა იგი – კაცისათვის ვარგისი ლუკმა.
ახლა თავიდან: ქალაქის ბოლოს, სასახლეში...

სანნახელი

26.03.2008.

132

როდესაც ხელში მე ვიღებ კალამს,
მე მაგონდება ქუჩები ისევ.
ქუჩები, მტკვერი და ლაყურები.
მე ვეურჩები ყინვისფერ ალამს,
მე ყინვას ვათბობ და ვამაისებ.
მე თვალწინ მიდგას ბევრი კარავი
და სანნახელი კაცთა გულების.
ნუ შეგვეჩვევი ცოდვის ნაყოფო!
აქ სიცოცხლეა ჯერ შემზარავი,
ჯერ ჩრდილიც არ ქრის დიდებულების.
აქ გუბებში იღვრება შხამი
და საბრალოს ხდის იმ ადამიანს,
ვინც კარგადაა, თან ავადმყოფობს.
რას უპასუხებ თეთრო ხალათო
ნიანგის თვალებს, სველს და ნამიანს?
რაც კი ანათებს თითქოს მზესავით,
გაუგებარი არის სრულიად,
სადაც ცა არის სუნთქვის მთესავი,
უჰაერობა და უფსკრულია
და ტვინში აბამს ბნელ ქსელს ობობა.

არ მესმის ის, რაც აბოდებს ყველას,
როგორც სიმართლე ჩვენი არსობის.
(ან უკაცრავად, ჰო, თითქმის ყველას)
მადლი ნაყოფის და ათასობით
ხარხარა ცოდვის უნაყოფობა.
მე მიყვარს დანა, პურს ჭრის რომელიც,
არ მიყვარს, როცა ჭრის კისრის ძარღვებს,
არც დანა, შუბლის ძარღვზე მშრომელი,
ან ის, რომელიც სუნთქვის რიტმს არღვევს,
– ბრმა იარაღი სისხლში უხვია.
დე, ჩაითვალოს კომპასი ყალბად,
თუ მან არ იცის ყველა ბილიკი
და სწორი გზიდან გადაუხვია.
მასაც უგრძვნია დაცინვა ალბათ,
ყალბს არ აღელვებს მაგრამ ქილიკი.
როცა სიჩუმე ყურებში ნივის,
მარტო ვარ, როგორც ხმელი ნიფელი,
წყალზეც დავდივარ გვერდიგვერდ ტივის,
თვალს ვერ მისწორებს ვერც ეიფელი.
დილით, როცა მსურს მე ნახემსება,
გამომკვებავენ ჩემი მუხები,
ლამით გავუბამ ღრუბლებს დიალოგს,
ანდა კლდეებთან ავიტუზები,
შემდეგ ფიქრებით დავუბრუნდები
ქუჩებს, სადაც დგას ბევრი კარავი,
სადაც დაძრწიან მეძავი, ბომჟი,
ლოთი, ყაჩალი და მომპარავი,
იქ გამოდიან დილით კარვიდან
ჰალსტუხიანი მოლაყბეები.
ლაყბობას უჭირს შებმა დუმილთან,
შენ კი სიჩუმევე, ლაყაფს შეები!
ჩემო თვალებო, რისი ხილვა გსურთ
ისეთის, რაც კი ჯერ არ გინახავთ?

თქვენ ხომ კაცებზე ამხედრებული
 უკვე იხილეთ ბობოლა ვირი.
 თქვენ ხომ გიხილავთ არისტოკრატი,
 ჰალსტუხიანი ცხენების რემა,
 ხომ არ უგრძვნია პატრონს სიმშვიდე
 და შიგნეულის უგრძვნია გვრემა.
 თქვენ ხომ იწვნიეთ სიმძიმე სუნთქვის,
 ყლაპეთ სიტყვები, მტვერი და ნისლი.
 თქვენ ხომ გინახავთ გვირგვინოსანი
 გველი, რომელიც დიდხანს ზეობდა,
 ხომ გეხებოდათ ცოდვის ნაყოფი
 და განგიცდიათ უნაყოფობა,
 ხომ იხუჭებით იმ სინათლისგან,
 რეალობაში რაც კი შავია,
 ხომ ეგუებით იმ აზრს, რომ ახლა
 თქვენი ხვედრია ძილი სიფხიზლის,
 ხომ გინატრიათ უგისოსობა,
 ხომ სიცივია თქვენს ნაპერწკლებში,
 გულს ხომ გირევდათ კოლტი ღორების,
 მწვანე თავების მცობნავი კოლტი
 და ამავე დროს, პარიკიანი
 მწვანე თავები გენატრებოდათ,
 თქვენ ხომ, უბრალოდ ისეთი კაცის
 თვალები ხართ, რომ მისთვის ძნელია,
 მისთვის ძნელია, მას ეკუთვნოდეთ,
 უთქვენობა კი იქნებ, ჯობს კიდევ,
 თქვენში ხომ ჯერაც არ ქრება ნესტი,
 თქვენში ხომ ბრწყინავს სხვა ევერესტი.
 ახლა, როდესაც მე ვიღებ კალამს,
 მე მაგონდება ქუჩები ისევ.

„ჩამომავლობით მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც დაჯილდოებულია ძალუმი ფანტაზიით და მეზნებარე ვნებით. გიჟს მეძახოდა ხალხი; საკითხავი კი ის არის, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად – ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ უფრო მეტი ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია. ცხადში სიზმრის მხილველებილა შენიშნავენ იმას, ღამეული სიზმრის მხილველებს რომ გამოორჩებათ“.

ედგარ ალან პო, „ელეონორა“

1

არა არ მინდა დაძინება იქ მზე არ არის
 ყველა მძინარეს უკაცრავად მაგრამ მძინარე
 მკვდარს გავს რალაციით
 მე შევეჩვიე თქვენს გამოხედვას
 გოცებულს და ჩემსკენ მომართულს
 მე ხან ცეცხლი ვარ ხანაც ცივი ქვა
 ანდა ის კერპი მსხვერპლს რომ აკლავენ
 მე როცა მძინავს მაშინ დავფრინავ
 და კომშარების ვარ მესაფლავე
 თვისუფალი მხოლოდ ღორია იმ ზეიმამდე ვიდრე დაკლავენ
 როცა მინდა და სადაც მინდა მაშინ წავალ და
 მაშინ მოვალ ანდა დავწვები
 მე მუდამ მახსოვს
 რომ რეალობას მილამაზებს ოცნების შერწყმა სინამდვილესთან

135

2

მიცვალებულებს დღეს მეორედ და
 სამუდამოდ კლავთ თქვენი დუმილი
 მათაც ახსოვთ რა ის გულგრილობა
 ცოცხლებისაგან რომ დაინახეს
 მამ მიუძღვენით მიცვალებულებს
 ჭიქის წკრიალის გაორკესტრება
 პატივი ეცით ჭიქის დირიჟორს
 რომ ჩაითვალონ მკვდრები ცოცხლებად

ვხედავ ჩემს კუბოს სულს სურს ისკუბოს და ადგეს ფეხზე
რადგან არ ადგა ჩემი ხორცი

სიცოცხლევე მეხსენ

ოცდაათის ვარ სამოცის ვარ მაგრამ სამოცის
მნათევ შენ იცი ხელებს მიანდე ზარის ზანზარი

დღეს იმართება აზრთა ტურნირი

ფართობი ოცი კვადრატული სანტიმეტრია

იბრძვის ქალაში მთელი სამყარო

აზრთა დუელი დიდია უფრო ვიდრე დუელი ხმლებით შუბებით
ხორცი ეცემა მაგრამ თუ რწმენას დაგვინარცხებენ დავილუპებით

ენის მოსმენა ნიჭია დიდი ის არ იჭმევა უნდა უსმინო
ენა და სმენა

ენა სჯობს სიტყვას სიტყვა ბნელ ზრახვას

თანაც უსიტყვოდ რას მოისმენ დუმილის გარდა

სახევ ოცნების მინდა არ იყო მილოსელი

მინდა შენს ხელებს გადავყავდე მუდამ ჭკუიდან

136

შენ უნდა იწვევი გიშრის ღრუბელზე

თვალთაგან ჩქეფდეს შავი გუაში

რა შუაშია შენი ხელები ჩემი თვალები იყვნენ შუაში

როცა ვხედავდნენ და იშლებოდნენ

იყავი ყველა ქალაქიდან მილოსის გარდა

3

ზარს მოუსმინე ზარს მოუსმინე თავი აწიე აბა ზარია

ტირის არია რამ გადარია ჩვენი არღნები რამ გადარია

მაგრამ დრო გარბის შეუმჩნეველად ნიკ ნიკ ნიკ ნიკ ნიკ

ვერ შეაჩერებ ხანდახან თავს ისისხლიანებს

მერე ჭრილობას სისხლიანი ენით ილოკავს

მეტი სიმძაფრით ცხოველებმა იციან ვიდრე

დროის კილოკავს ვინც აგებებს თავის კილოკავს

მათშია ქვეყნის ყველა სიმდიდრე

4

ნამებს ანამებს ზიზლის გუბე

მყრალი უფსკერო ლაპლაპა და ხაოიანი

ჩემსკენ ლოლავენ ეშმაკები თავზე დავყურებ

მე მათ დავცინი და ვლრიალდები

ვგრძნობ რომ ახლავე ყველას ერთად ვწვდები ყურებში
ზოგს კი ხელებზე ან ფეხებზე ანდა კისერში ოცივე თითით
მერე კუდებით დავიხვევ ხელზე
ვგრძნობ და ვიცი რომ ყველას ერთად ვესვრი ჯოჯოხეთს
ვესვრი ისე რომ ველარ ჩამითრევს
მათთან წყვდიადში გაყოლის შიში
რადგან მე უკვე ბავშვობიდან გამოვლილი მაქვს
ჯოჯოხეთური კოცნა კოცონის
ველანდებოდი ბავშვობაში ალბათ ჰეროდეს
ოცდაათის ვარ თუმცა მხოლოდ ოცდაათის ვარ
თითქოს სიკვდილი ჩემს სხეულში ახლაც მღეროდეს
მაგრამ წკრიალებს თეთრი ლამის ცა
მე ახლა ვხვდები ტანჯვა ნამებამ
ან მარტოობამ ჩემს სულს რა მისცა
მე გეკითხებით
აქვს მნიშვნელობა საით მიქრიან ამ სტრიქონების თეთრი აფრები
ზღაპრებია თუ ლექსის ფიქრია
რომ პოეზია მეყველაფრება და ჩემს სამყაროს ვეყველაფრები

137

5

ვერ შევიცანი ჩემი თავი
ხან ჩრდილებს დავდევ აჩრდილების და
ხან მეშინია ჩემი ჩრდილისაც
ხან გულჩვილი ვარ როგორც ყვაილი
ხანაც ყინულის დიდი ლოდი ვარ
ხან შემძლია მიტევება ყველაფრის ხან კი
ჩემგან ამაოდ დიდი კაცის ქცევას ელიან
ხანდახან მკერდში მენვის სამყარო
ხან ვგრძნობ უგრძნობი ლოდის სიმძიმეს
ხან პატარა ვარ როგორც ლანდი და
ხან დიდი როგორც სხვა ატლანტიდა
მე ხან იმედის ცეცხლი მედება ხან მიჭირს თავის დაიმედება
ხან პოეზია მმართავს დანტესი ხან აზრი მჯიჯგნის უპედანტესი
ჩემს ბავშვობაში დარჩენა მსურს რადგან მე მაშინ
თვით უდაბნოსთან ან სიგიჟესთან გავაიგივე ბავშვობა ჩემი
სინამდვილეში რომ არ მქონია
ის უკან არის მიყურებს ტირის
ვერ შევიცანი ჩემი თავი არ ვიცი ვინ ვარ

6

ჩემი ენა მაქვს და ჩემს ენაზე თქვენ გეუბნებით ზერეალურად
ძალიან ვნუხვარ და მიხარია
რომ ჩემს საუბარს მსოფლიოში იგებს ვერავინ
ეს მე ვარ მე ვარ მხოლოდ ჩემი თავის მზვერავი
გამირბის წვიმა დაიჭირეთ გამირბის წვიმა
არ მინდა წვიმა გამირბოდეს მე
გავეკიდები და დავიჭერ ალბათ ოდესმე
ძალიან მინდა გეფიცებით ღრუბლებო ვინვი
მზად ვარ ამისთვის
ხომ განმიცდია მე ბავშვობიდან ჯოჯოხეთური კბენა კოცონის
მართლა წვიმაზე გამახსენდა
როცა დავიჭერ დავინახავ ბაღს ცისარტყელის
მე შენთვის მიყვარს ნაირფერი ბაღი ყვავილთა

138

7

მე როცა ოცი წლისა ვიყავი ორმოცი წლისა ვიყავი მაშინ
დღეს უსახელო კალმის ციმციმი
ღამეს ათეთრებს ბნელ აკლდამაში
მე ოცდაათი წლისა ვარ ახლა შემსრულებია უკვე სამოცი
არც მინისა ვარ არც ვერცხლისა ვარ პოეზიაა ჩემი სამოსი
აჰა სიკვდილო რა დაგიშავე
რატომ მიყურებ გაბუტული ქალის ტუჩივით
რატომ ხტის შენში მანანნალა ხმა
ნუ ხარ ბოროტი როგორც ჰადესი
ვერ გაგიმეტოს დასასვრელად ველარც ტალახმა
გული გქონია უფოლადესი

8

მინა იყოს ჩვენი ბინა რალა ცა
არ გვჭირდება ცა არის თუ რალაცა
აი ასე თქვეს ეშმაკებმა
მე ვამბობ ამას
მე მინაში არ მოვძებნი საფლავს
მინას მყრალი დავინყება ახლავს
მე მცირა სითბოვ ჩემში შემოდი
ან შემა მომე ერთი იღლია

გველის თვალები მზერას ილღიან
მე იქ ვარ სადაც მზის თვალები აღწევენ ახლა
შენი ფიქრებით სად ვარ აბა მე
მე ჩავაქსოვე ტრაგიზმი ჩემში
და პოეზია შევუსაბამე
მე ვარ საზღვარი ღრმა გუშინდელის და დღევანდელის
ჩემი მნათობით
ნათდება ბნელიც და მის სიღრმეში
მზე იტანჯება უნიათობით
მე ის ქარი ვარ სულის გარშემო
რომელიც უკრავს მღერის და ცეკვავს
ყური დაუგდო მუსიკას ნიშნავს
ყური დაუგდო ზარების რეკვას
ყური დაუგდე მუსიკას ის ხომ
ჩემს დადუმებულ სულშიც ტრიალებს
დარწმუნებული არ ვარ რომ დუმილს
ის არ დაუდგამს მემორიალებს
არც იმაში რომ მკვდრად ყოფნის დროს მკვდარი ვიქნები
არც იმაში რომ რაშიც ეჭვი მაქვს
მე ჩემს ბედ იღბალს შუქი ნავართვი
არც იმაში რომ დამცინებენ ჩემი წიგნები
არ დაბეჭდილან რომლებიც ჯერ და
უკვე გაურბით სული წარმართი
მე ბავშვობაში არ ვუსმენდი რუტინულ მენტორს

139

9

ჩემი ბავშვობის კარნავალის დროს
არ ვუსმენდი და ვერ ვცნობდი მენტორს
ამიერიდან მინდა სულში კოცონი მენტოს
განხეთქილება ვაშლი ერიდა
არ მსურს ვიხილო ამიერიდან
მაგონდებიან აქაველები მენელაოსი ელენე ტროა
სისხლის წვიმების დრო კი არ არის
დღეს სიმღერის და სიცოცხლის დროა
მას დამტკიცება არ შეუძლია იმის რომ არის უფრო ძლიერი
ვიდრე არიან მუზეები ზეცის ან ხერხის ხმები ხორხისმიერი
ჩემი წარსულის ახლა ვინყებ ნითელ სინანულს

10

დიდია ჩემი სამყარო მაგრამ თავის ქალაში ეტევა იგი
მე მუდამ ვფიქრობ იმაზე რა ვქნა
ლექსო რომ მუდამ სულში გეთესო
კიდევ იმაზე რომ ავაშენო მარადიული ოცნების კოშკი
ყველა მწვერვალზე უფრო გიგანტი
და ყველა ტახტზე საუკეთესო
დაგხატო როგორც ზღვას ხატავდა აივაზოვსკი
ამ ქვეყნის ზღვებზე ბობოქარს და მარად უხილავს
რომ ყველა დილა ათეთრებდეს ნუხანდელ ლამეს
რომ ყველა ღამე ატირებდეს წინა წყვდიადებს

11

140

მე მივმართავ უძველეს სოლომონის გასაღებს
ის ქვენარმავალია თავს რომ ჩიტად ასაღებს
დაგრეხილი გველია თავი მოაქვს კვირტებად
უდაბნოში ყვავილი თვალს ხომ გაუკვირდება
მაგრამ ბალს ვერ აოცებს ცისარტყელის ფერებიც
მატერიის მირაჟებს რადგან არ ვემტერები
მე გთხოვ ღმერთო იმ ყვავილს მზე არ უერთადერთო

12

ქალაქის ჩიხში შიშხინებს შიში
უცხო გრძნობები ველარ იცდიან
მტრის გვამი არ ყარს ხმა თუ გავს ხარხარს
და თუ ბალზამიც მორალისტია
ყოველ ნაბიჯზე მისაფრდებიან წითელი ცა და თეთრი ეშვები
თავის ქალაში რომ მაქვს ფრთები
და მუქ მორევში გადავეშვები
ვხედავ ჩემ კუბოს სულს სურს ისკუპოს
სახეზე მადევს დაშრეტილი ძარღვების ფერი
არა არ მინდა დაძინება იქ მზე არ არის
ყველა მძინარეს უკაცრავად მაგრამ მზე მინდა
მკითხა წყვდიადმა
დარწმუნებული თუ ხარ ამაში
მე შევცვლი მნათობს შენს ცხოვრებაში
და ვუპასუხე ალოგიკური ლოგიკურობის ორომტრიალი

დარწმუნებული მე იმაში ვარ რომ უნდა ვიყო დარწმუნებული
კიდევ იმაში რომ შენც ამაში უნდა იყო დარწმუნებული
და კიდევ ექვსჯერ უნდა იყო დარწმუნებული
კიდევ იმაში დარწმუნებული თუ ამაში არ ვიქნებოდი
დარწმუნებული ვიქნებოდი ურწმუნობაში
კიდევ იმაში დარწმუნებული თუ აქამდე არ ხარ ცუდია
მაგრამ იქნები წიგნები ნახე მალე იქნები
დარწმუნებული მე იმაში არა ვარ მხოლოდ
რომ ჩემს რწმენაში ჩემსავით ხარ დარწმუნებული
და ვერც იქნები ბნელო ვერასდროს
ჰოდა იცოდე ურწმუნო ბნელო
უკვე იმაში შენც ხარ ახლა დარწმუნებული
რომ აღარასდროს აღარ მკითხავ ამ უაზრობას
კარგი კალამი დამელალა ახლა კი საქმე
ჩემს დახშულ რწმენას ენატრება ზარის ნკრიალი
მნათევ შენ იცი აბა შენ იცი არც შენ არ იყო
მილოსელი და მომასმენინე ზართა ვალობა

13

ახლა მივმართავ ჩემს საყვარელ ქალს
მე რომ მიყურებ ხვდები ძვირფასო
ჩემსკენ ილტვიან დახუნძლული მწვანე რტოები
მიცდის ცნობადის უხილავი ხე
მე ვწყევლი ჩემს გულს ვდევი ხუნდებს განმარტოების
ბედის ღიმილზე ხელი ავიღე
მე მესიზმრება გეფიცები მე ძილში ვხედავ
ბაღში ვართ მზეა ჩვენს მალლა მზეა
ლალად უღიმის იას იქ დილა
მაგრამ ვიღვიძებ და სინამდვილემ ვხედავ ოცნება მიასიკვდილა
რატომ არ გინდა გადამარჩინო ძველრომაელი მძაფრი ბატივით
რატომ არ გინდა ვიყო მოსილი შენი სურნელის მსხვილი პატივით
რას მალავ ვიცი მაგრამ არ ვიცი
წმინდა ხარ როგორც კონტი კლელია
არ ვცდები შენში მე შენში ვცდები
როცა ეს ჩვენთვის ხელსაყრელია
ჩვენ ვიფანტებით ათასწლეულის
უხილავი მზის სხივთა სიღრმეში

თვალეების დახუჭვა არ მინდა იმიტომ რომ ჩემი თვალეები ვაჩუქო სამყაროს არ მინდა არც მაშინ თუ უნდა ცხოვრებას დამჩაგროს დამჭრას და ზეცაში ამყაროს გავყვები ცხოვრების დინებას თუ მიდის ტაატით ან მიდის ან ჩქარა ან მდორედ მე აღარ ვაპირებ დახუჭვას თვალეების მე უკვე ცხოვრების ჩლიქებმა დამტორეს ჭინკებო ქაჯებო ჩემთან მოეთრიეთ მე თქვენ ერთ ადგილზე გავგ ზავნით ახლავე მე მზად ვარ მე მზად ვარ ასეა მაგრამ დღეს სად ხარ ქარიშხალო იქარე ინვიმე შიშის და სიჩქარის წყურვილით ვინვი მე ქალაქო მილოსო

იქნებ დამილოცო ხელები ქალისა ვინც მე მომაჩეჩა ხელებში კალამი ვინც მე შთამაგონა და გამახალისა მე შენგან გავრბივარ ქალაქო მილოსო ქარებო ნვიმებო ჩემს სურვილს ჩემს წყურვილს რად არ ეთანხმებით ან რატომ უკივით გრძნობა მაქვს ისეთი თითქოს სულ დავფრინავ ქუდი კი მახურავს მე პარაშუტივით სიცოცხლე რაც მოგვცა ნეტარმა ვალია რომ სხვებიც ვაცოცხლოთ ნეტარი ვადიდოთ იგი რაც დახობავს ქვენარმავალია ხოლო რაც დაფრინავს ნივნი სამაგიდო მე ძილი არ მინდა იქ მზე იმარხება მე მინდა სიცოცხლე ასი და ათასი წლის შემდეგ ყოველთვის როგორც დედამინა მარადი ძლიერი ახლა კი ნავედი დროებით დროებით

სარჩევი

ისეთი ენა მაქვს.....	3
მსოფლიო.....	4
თეთრი ხმაური.....	6
ნითელ დარბაზში.....	7
სარდაფის ქარი.....	8
სტალაქტიტები.....	8
სააქაოს მემორიალი.....	9
მე რომ შემეძლოს.....	10
დაღლილის ვედრება.....	10
მთვარეული.....	11 143
სიყალბე.....	11
განაჩენი.....	12
გველის ხარისხი.....	13
სუექტაკლი.....	14
ჩონგურის ხმა.....	15
შორს ქალაქიდან.....	15
ზმანების მიღმა.....	16
გრივალი თესავს.....	16
ლამის მარნუხები.....	17
*** (კაცთა ცინიზმი).....	17
ამალა.....	18
უთქმელობა.....	18
საერთმანეთო.....	19
უ(სა)სამართლო.....	20
მტრედისფერ ბინდში.....	20
ფიქრის ჩანჩქერზე.....	21
ტაეპების ტალღა.....	21
მახინჯის ჩივილი.....	22
„დალანდი“ სტრიქონებზე.....	22
ტკივილები.....	24

შუალამის ეშაფოტები.....	24
კოცონის რკალი.....	26
ქურა და ბავშვი.....	26
ნიგნი, ვნისი.....	27
მარტოობისას.....	28
შემოდგომის ბინდი.....	28
შავი ჯეჯილი.....	29
სიყვარულის შიში.....	30
ვერცხლი შავ დაფაზე.....	30
პირდაპირობა.....	31
ივლისის ქლექი.....	31
მონყენილობა.....	32
დრამა.....	32
ფიქრობობა.....	33
ვაგროვებ დუმილს.....	33
ჩემი აკლდამა.....	34
მე მოვალ ლამით.....	34
ჩაუმქრალი.....	35
მოლოდინი.....	35
ბიჭი ლიმნებით.....	36
ლეღვის ფოთლები.....	37
ჯახი.....	37
ჩემი სასთუმალი.....	38
ცხოვრების კიბე.....	38
ღმერთის ეზოში.....	39
ყოველდღე ვგრძნობ.....	40
ჯადოქრის მსხვერპლი.....	40
მოგონებები ჩარგალზე.....	41
ფუნჯი, პალიტრა.....	41
მდუმარე სტუმარი.....	42
ღმუოდა მინა!.....	42
ვულკანი, სიაღე ქალის.....	43
ჩემი გამები.....	44
ზღვის და ლამის ელეგია.....	44
ულისე.....	45
თეთრი სამეფო.....	46
მე მემღერება.....	47

აჭარაში ვარ!	48
შუალამის ჩრდილი	49
მინის ტირილი	49
აღრენილი	50
სადღაც, მთვარეზე	50
ლექსის მარტოობა	52
კალმური	52
ვირი-მზე	54
უსალომეოდ	54
მუხა	55
ხმა	56
გამქრალი ბალის ნაკვალევო	57
ხილულის მიღმა	57
ჩემში უკრავენ თქვენი არღნები	58
ლანდი	59
სიცოცხლის დროა	60
უდედამინო	61
ჯამბაზის ჩივილი	61
წვიმისფერ თვალებს	62
ფიქრი-არწივი	63
კელაპტრის გოდება	63
ცეცხლის წრეში	64
მოცეკვავე ლანდები	65
მონანიება	65
სიმღერა	66
ზამთარი	67
ჩემო სარკვე, მშვიდობით!	67
წამის მარადისობა	68
ცა, სინმინდის მთოველი	68
ჩემი ყოფის მიზანი	69
მოდლიანის ხმა	70
დუმილის რეპერტუარი	71
შემოდგომაა	71
ზომბების ქვეყანა	72
მენამული ქალა	77
ურჩხულების წიაღი	78
მე-მორიალი	78

ლაბირინთიდან	79
უნდა ვნერო!	79
ლამის როიალთან	80
ლურჯი საფეხურები	80
ლავლავი	81
მეზღვაურის სიმღერა	82
ნამი და მარადისობა	83
კლდე და ორქიდეა	83
ელადიდან	84
არყოფნის ალლო	84
ქარიშხლის ხარისხი	85
იები	85
დინგების ტომარა	86
ზღვა, თილისმა, არაკი	86
კონკები	87
ჯაშუშები	88
სმების თამაში	88
ბრმა ვარ	89
მე – ურწმუნო	90
ეპიტაფია.....	90
თეთრი ღამეები	91
კაენი.....	92
უკვდავება.....	92
ბურუსი.....	93
შველა არსაიდან	93
ლურსმნები	94
ლექსი.....	94
ბავშვების სიმღერა.....	95
ამაოდ	95
„მორალი“.....	96
ორმო	96
მძიმე კალამი.....	97
ვებრძოლი ფიქრის რიგებს.....	98
სიკვდილის ღვა.....	98
შავი კოლაჟი.....	99
ყინულის კაცი.....	100
მზე, მოგონილი ჩემში.....	100

*** (უდაბნოც ბალს გავს)	101
რუხი.....	101
ხლართები.....	102
გიშრის სარკეები.....	102
ცერბერის დუჟი.....	103
დილის მარში.....	103
მდუმარეს მონოლოგი.....	104
თეთრი ოკეანე	104
სისხლი ტაძართან	105
სადღაც, კუთხეში	105
მორვეი	106
25 წლისთავი.....	106
რძისფერ დარბაზში.....	107
ხილვების ხილი.....	107
დაბადებიდან.....	108
ლამის სტუმარი.....	108
ჩაფიქრებული.....	109
გაზაფხულის სონეტი.....	109
ხმა ორგანიზმის.....	110
ჩემს ირგვლივ ზღვაა.....	110
მოლოდინი.....	111
მენამულ ატმებს.....	111
წინილასავით.....	112
ყვავილების საფლავი.....	112
Forever.....	113
ფრენა.....	113
ლექსი-ზენაარი.....	114
არაკაცებო.....	114
გისოსების მიღმა.....	115
უდაბნოთა ბოლოს.....	115
შევდივარ დარბაზში	116
თეატრი	116
გაფრენა.....	117
ვრიგალი	117
სამყაროს ბურუსში	118
თრთვილის თრთოლა.....	118
წელიწადის წრიალი	119

	ბუმერანგი.....	119
	ფიფქები თოვლის.....	120
	ჩვენი სამყროს ოკეანე.....	120
	დუმბილის ტრიუმფი.....	122
	ჩემი ჯვარის სურვილი.....	122
	ფრინველი მინაზე.....	123
	ბინა-ქარი.....	124
	ჭყვიშში.....	124
	მეფე თამარს.....	124
	ქვესკნელშეთქვეფილი.....	125
	ყოფილი.....	125
	ედგარი	125
	მატილში	126
	*** (ირგვლივ შავია ყოველივე)	126
	*** (ხანდახან, როცა გავბრაზდებით)	126
148	უპაერობა	126
	ჩემს პირდაპირ.....	127
	ახალი მთვარის ხელჯოხი.....	127
	ჩემი შვილი.....	127
	ნგრევა.....	128
	ქურის სიმშვიდე.....	128
	დუმბილის ბაასი.....	128
	აღსარება.....	129
	გამიგეთ!	129
	შავ-თეთრი მთვარე.....	130
	მე – დასჯილი.....	131
	ქალაქის ბოლოს.....	132
	სანახელი.....	132
	თეთრი აკლდამა.....	135